საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 დეკემბერი შაბათი 2012 №303 (13 909) ფასი 80 თეთრი

# დინამო და ჩემპიონი ხვალ დაეჭიდებიან



2

პირველ წრეში დინამომ ზესტაფონი 2:1 დაამარცხა

ფოტო: www.fcdinamo.ge

კიდევ ერთი ცხელი წერტილი საფეხბურთო რუკაზე:

## ზუგდიდელების წერილი: მოედანზე არ გავალთ, თუ...

4

# კოკაი, გაგამარუ და გულშემატკივრები



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

31 წლის **კოკაი ფუტოშის**, ჩვენებურად, **ლევან ცაგურიას** დებიუტი პროფესიულ სუმოში 2001 წელს შედგა. „შავმა ზღვამ" დიდებული კარიერა წლეულს დაასრულა. ის არა მარტო პირველი ქართველი პროფესიონალი სუმოისტია, არამედ პირველი ევროპელიცაა, რომელიც სუმოს ელიტაში მოხვდა. კოკაი ორჯერ ფლობდა კომუსუბის ტიტულს, მას ორჯერ ჰყავს დამარცხებული დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** და ამდენჯერვე მოიგო „მებრძოლი სულის" პრიზი. გუშინ კოკაის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გულშემატკივრები შეხვდნენ და სპორტიდან გააცილეს. შეხვედრას კიდევ ერთი პროფესიონალი სუმოისტი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** და სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი **თენგიზ რუხაძე** ესწრებოდნენ.

*„ყველას დიდი მადლობა დაფასებისთვის და დღევანდელი შეხვედრისთვის. გულშემატკივრების მხარდაჭერას მთელი კარიერის განმავლობაში ვგრძნობდი. მიხარია, რომ სუმო თანდათან პოპულარული ხდება ჩემს სამშობლოში და რომ მეც შევიტანე წვლილი საქართველოსა და იაპონიას შორის ურთიერთობის გაღრმავებაში"*, - განაცხადა კოკაიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა დანელიას ფოტო

11

# თორნიკე შენგელიას სპრინგფილდში ელიან



გამოცემა „სპორტანდოს" ინფორმაციით, „ბრუკლინ ნეთსმა" ორი კალათბურთელი, თორნიკე შენგელია და ტაიშონ ტეილორი NBA-ს განვითარების ლიგის გუნდ „სპრინგფილდში" გაგზავნა. ამ ლიგაში ის კალათბურთელები იღებენ სათამაშო პრაქტიკას, რომლებსაც NBA-ში გამოსვლა იშვიათად უწევთ.

წინასწარი ცნობით შენგელია მაქსიმუმ სამ კვირას დარჩება „სპრინგფილდში", რის შემდეგაც ისევ „ბრუკლინს" დაუბრუნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



7

# უეფამ მალაგას წითელი აუნთო!

## 4 სეზონი ევროთასების გარეშე

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო. მატჩის წინ

# დუშან უჰრინი: ეს ისეთივე პრინციპული მატჩია, როგორიც დილასთან გვქონდა

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურის უმთავრესი მოვლენა "ზესტაფონისა" და თბილისის "დინამოს" დაპირისპირება იქნება, რომელიც არა მხოლოდ ამ კლუბების ქომაგს, არამედ ქართული ფეხბურთის ნეიტრალურ გულშემატკივარსაც ვერ დატოვებს გულგრილს.

გვსურდა, შეხვედრის წინ ორივე მწვრთნელის მოსაზრება შემოგვეთავაზებინა, მაგრამ "ზესტაფონის" თავკაცმა კახა კაჭარავამ მატჩისწინა კომენტარისგან თავი შეიკავა, "დინამოს" ჩეხი მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის მცირე ინტერვიუ კი თქვენს წინაშეა.



დუშან უჰრინი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**- როგორი განწყობით ხვდებით ზესტაფონში სტუმრობას?**

- პირველი ეტაპის ბოლო მატჩია და ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა ჩვენი გუნდისთვის. ჩემი აზრით, ისეთივე პრინციპული, როგორც გორის "დილასთან" მატჩები. "ზესტაფონმა" ბოლო ორი შეხვედრა მოიგო. მეტოქე კარგი გუნდია, იცის, როგორ ითამაშოს სახლში. "ზესტაფონში" მწვრთნელი შეიცვალა. ფეხბურთელები დიდი მოტივაციით და კონცენტრაციით ითამაშებენ, რათა ახალ მწვრთნელს თავიანთი საუკეთესო თვისებები აჩვენონ. ჩვენ მიზნად, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ.

**- ჩემპიონატის პირველი ეტაპის თქვენეული მოკლე შეფასება როგორია?**

- ჩვენ სეზონში ერთი ცუდი თამაში ჩავატარეთ – ეს გორში, "დილასთან" გამართული შეხვედრა იყო. სამაგიეროდ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში გულშემატკივრებმა "დინამოს" მონაწილეობით ბევრი კარგი მატჩი იხილეს. ბლომად გოლიც გავიტანეთ, დაცვაში კი ცოტა არ იყოს, გარკვეული შეცდომები გვქონდა და უფრო მეტი კონცენტრაცია გვმართებს, რათა ეს შეცდომები გამოვასწოროთ. ძალიან კარგი იყო ასევე ისიც, რომ ჩვენი გუნდის ფანები ყოველთვის ჩვენს გვერდში იდგნენ.

**- ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის შესახებ რას გვეტყვით?**

- ზესტაფონური მატჩის შემდეგ გუნდი დაისვენებს და 15 იანვრიდან შეიკრიბება. თბილისსა და ანთალიაში მოვემზადებით, სადაც ორ შეკრებას გავივლით და შვიდ სპარინგ-მატჩს გავმართავთ.

ლევან ჯანეზაშვილი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | დინამო (თბ) | 21 | 16 | 4 | 1 | 62 | 17 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 10 | 5 | 4 | 1 | 19 | 6 | 19 |
| 2 | დილა | 21 | 15 | 1 | 5 | 33 | 13 | 46 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 10 | 8 | 1 | 1 | 15 | 4 | 25 |
| 3 | ტორპედო | 21 | 13 | 3 | 5 | 37 | 17 | 42 | 10 | 8 | 1 | 1 | 21 | 6 | 25 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 21 | 12 | 4 | 5 | 33 | 21 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 10 | 4 | 2 | 4 | 15 | 16 | 14 |
| 5 | ზუგდიდი | 21 | 10 | 5 | 6 | 26 | 21 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 10 | 2 | 3 | 5 | 7 | 11 | 9 |
| 6 | ზესტაფონი | 21 | 10 | 4 | 7 | 28 | 19 | 34 | 10 | 5 | 2 | 3 | 9 | 6 | 17 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 7 | მეტალურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 16 | 25 | 28 | 10 | 4 | 2 | 4 | 8 | 13 | 14 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 21 | 7 | 2 | 12 | 21 | 33 | 23 | 10 | 6 | 1 | 3 | 14 | 10 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 21 | 5 | 6 | 10 | 14 | 28 | 21 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 10 | 4 | 1 | 5 | 7 | 16 | 13 |
| 10 | სიონი | 21 | 4 | 6 | 11 | 13 | 34 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 10 | 3 | 1 | 6 | 8 | 16 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 21 | 3 | 4 | 14 | 22 | 45 | 13 | 10 | 2 | 1 | 7 | 11 | 19 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 21 | 0 | 3 | 18 | 10 | 42 | 3 | 10 | 0 | 2 | 8 | 5 | 18 | 2 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

23.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 14:00

**ზესტაფონი-დინამო (თბ)**

ურთიერთშეხვედრები:
26 მატჩი, 7 მოგება, 6 ფრე, 13 წაგება. ბურ. 23-33

დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - მილხრაუში; დინამო (თბ) - არავინ

23.12. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 14:00

**მერანი-დილა**

ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება. ბურ. 6-13

დისკვალიფიკაცია:
მერანი - არავინ; დილა - არავინ

23.12. ფოთი. ფაზისი. 14:00

**კოლხეთი-ვიტ ჯორჯია**

ურთიერთშეხვედრები:
30 მატჩი, 11 მოგება, 6 ფრე, 13 წაგება. ბურ. 25-41

დისკვალიფიკაცია:
კოლხეთი - არავინ; ვიტ ჯორჯია - არავინ

23.12. ქობულეთი. ჩელე არენა. 14:00

**დინამო (ბთ)-ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება. ბურ. 3-4

დისკვალიფიკაცია:
დინამო (ბთ) - არავინ; ჩიხურა - გუშარაშვილი

23.12. რუსთავი. ფოლადი. 14:00

**მეტალურგი-ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები:
18 მატჩი, 14 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება. ბურ. 31-14

დისკვალიფიკაცია:
მეტალურგი - არავინ; ზუგდიდი - კუტალია

23.12. ქუთაისი. ტორპედო. 14:00

**ტორპედო-სიონი**

ურთიერთშეხვედრები:
35 მატჩი, 23 მოგება, 5 ფრე, 7 წაგება. ბურ. 73-32

დისკვალიფიკაცია:
ტორპედო - ტულუში; სიონი - ქუცურუა, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე

● აქტუალური ინტერვიუ

# გია გეგუჩაძე: საქართველოს საფეხბურთო ცენტრები ესაჭიროება

**ყოველ ახალ ხელისუფლებას ხალხი სიახლეებსა და ცვლილებებს უკავშირებს. ცხადია, საფეხბურთო სამყაროშიც გაჩნდა მოლოდინი, რომ ადრე მოუგვარებელ პრობლემებს ახლა მაინც მიხედავენ. მეორე საკითხია - რა ცვლილებები სჭირდება ქართულ ფეხბურთს? ამის შესახებ "ლელოს" თავის მოსაზრებებს ქუთაისის "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე უზიარებს.**

**- ყველა თანხმდება, რომ დღეს არსებული ვითარება კატასტროფულია და ცვლილებები ჰაერივით გვჭირდება, რისი გამოხატულებაც სანაკრებო დონეზე წარუმატებლობაა. თქვენ პირადად რა რეფორმებს ისურვებდით?**

- ყველა პრობლემა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ყველა მათგანის მოგვარება საჭიროა. მდგომარეობის შესაცვლელად ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და აუცილებელი პირობაა, რომ კლუბების შეძენით ინვესტორები დაინტერესდნენ. ამისთვის საკანონმდებლო ბაზა უნდა შეიცვალოს. ცხადია, ეს იურისტების სამუშაოა და დეტალებზე მათ უნდა მიმართოთ. მაგრამ არაერთხელ თქმულა, რომ წყლის გადასახადი არ შეიძლება ერთნაირი იყოს მოედნისთვის და მაგალითად, ლიმონათის ბიზნესისთვის. იგივე უცნაურობაა მოედნის საფრისა და სპორტული ინვენტარის განბაჟების შემთხვევაში, რომლებზეც საკმაოდ დიდი გადასახადებია.

მხოლოდ რამდენიმე პრობლემას შევეხე, მაგრამ ჩამონათვალი გაცილებით მეტია და ამ კუთხით ბევრი სამუშაოა. ამ დეტალებს რომ ჩავუღრმავდეთ, კანონმდებლობაში არაერთი ხარვეზია გამოსასწორებელი...



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გია გეგუჩაძე

**- წმინდა საფეხბურთო კუთხით რა არის შესაცვლელი?**

- ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარება დამაფიქრებელია: ფაქტობრივად, ჩვენს ბავშვებს გასაზრდელად პირობები არ აქვთ. არ არის ნორმალური მინდვრები, სავარჯიშო ინვენტარი, ეკიპირება, საშხაპეები... შესაძლოა, სასტიკი გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ სკოლების ლიცენზირება აუცილებელია. ერთი პერიოდი, ფეხბურთის ფედერაციამ ეს დაიწყო კიდეც. მიმაჩნია, რომ ბავშვებთან უნდა მუშაობდნენ ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, ნიჭიერი თაობები რომ გაზარდონ და სწორ გზაზე დააყენონ. კონკრეტულ ასაკში კონკრეტული დატვირთვებია რეკომენდებული, რაც მცოდნე მწვრთნელებმა იციან.

**- თბილისსა და რამდენიმე ქალაქში ნიჭიერი ბავშვები შედარებით ნაკლებად იკარგებიან, მაგრამ ზოგადად რაიონებში ეს დიდი პრობლემაა.**

- ჩემი აზრით, ფეხბურთის ფედერაციაში უნდა ჩამოყალიბდეს ტექნიკური განყოფილება, რომელიც ქართულ საფეხბურთო ფილოსოფიას, მომზადებისა და აღზრდის სისტემასა და მეთოდიკას შეიმუშავებს. აუცილებელია, ეს ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით მოხდეს, რადგან ანალოგიური გზა აქვთ გავლილი ესპანეთს, ჰოლანდიას, ჩეხეთს, საფრანგეთს... სხვათა მიბაძვით შექმნილი, ჩვენი ბუნებისთვის უცხო მეთოდიკა ვერ იმუშავებს.

რეგიონების საფეხბურთო ცენტრები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა ჯგუფმა უნდა გააკონტროლოს და კონკრეტული რეკომენდაციებით მოამარაგოს. სხვანაირად ეს საქმე არ გამოვა. საერთოდ, დღეს პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული. რა თქმა უნდა, ამ პროგრამისა და მიმართულების შემუშავებაში სპეციალისტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და უნდა აიხსნას, რატომ იქნება არჩეული გზა უფრო მისაღები და არა სხვა.

ჩემი აზრია, ნიჭიერი ბავშვები თბილისში და სხვა ცენტრებში არ უნდა ნავიყვანოთ, მათ ადგილზე სჭირდებათ ვარჯიშისა და ზრდის პირობები.

**- იქიდან გამომდინარე, რომ მშობლიური გარემოდან მოწყვეტა ბევრ ბავშვზე უარყოფითად მოქმედებს?**

- არა მხოლოდ ამის გამო – უბრალოდ, ყველა რაიონში უნდა იყოს ძლიერი საფეხბურთო ცენტრი. ქართულ ფეხბურთს ამ რესურსის ამოქმედება ჰაერივით სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ამის შედეგად ძალიან ძლიერ შევსებას მივიღებთ. ახლა კი, როდესაც დავკარგეთ ქუჩის ფეხბურთი, აფხაზეთი და სამაჩაბლო მოწყვეტილია, მხოლოდ და მხოლოდ ნიჭის იმედად ვართ, ხოლო ბავშვებს ფაქტობრივად, სწორად თითქმის არსად ზრდიან. ამიტომ არის, რომ სათანადო ცვლას ვერ ვიღებთ და ყველა კლუბი მძიმე საკადრო პრობლემებს განიცდის.

**- სხვათა შორის, დინამოელი ჩისკო ამბობს, ქართველებს ესპანელებზე ბევრად ათლეტური ბავშვები გყავთ, მაგრამ არასწორად იზრდებიანო.**

- ეს ისეთი მნიშვნელოვანი და ვრცელი თემაა, ერთ ინტერვიუში ამომწურავად ვერ ვილაპარაკებთ. ზოგადად გეტყვით, რომ შემუშავებული მაქვს პროგრამა, რომელიც ფურცელზე გადავიტანე და იქიდან მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ: ჩემი აზრით, დუბლშემადგენლობებსა და ჭაბუკთა გუნდებს შორის ასაკობრივი წყვეტაა და ერთ-ერთი ასაკი ყოველთვის დაიჩაგრება.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა კლუბში აუცილებელია მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. დღეს კი გვყავს, ერთი მხრივ, შედარებით ძლიერი კერძო კლუბები და მეორე მხრივ, სახელმწიფოს დოტაციაზე არსებულები, რომლებიც სულს ღაფავენ.

ეს არის საკითხების მთელი კასკადი, რომლებიც უნდა მოგვარდეს, რომ ფეხბურთი ფეხზე წამოდგეს და მხოლოდ ნიჭის იმედად არ ვიყოთ. ასე უნდა წამოვწიოთ ბავშვთა ფეხბურთი, რასაც შემდეგ მოჰყვება ძლიერი ნაკრებები, კლუბები და ეროვნული ჩემპიონატი, ამ პროცესის გვირგვინი კი ეროვნული ნაკრების გაძლიერება იქნება.

მერაბ მამულაშვილი

● გაუხმაურებელი ფაქტი

# ფინანსთა სამინისტროში საფეხბურთო კონცეფციაზე მუშაობენ

## განხორციელდება დავით ებრალიძის დავიწყებული იდეები?

ამ ცოტა ხნის წინათ, ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** “ლელოს” გააცნო, თუ რა საკანონმდებლო ინიციატივებით წარმოუდგენია ფეხბურთში ბიზნესის მოზიდვა.

*“საშემოსავლო გადასახადებისგან გათავისუფლებით, ფეხბურთი უფრო მიმზიდველი გახდება და მეორე - სპორტში დახარჯული თანხის გადახდა წმინდა მოგებიდან არ უნდა ხდებოდეს. ახლა მათ ხარჯებშიც ვერ ვატარებთ; წახალისების სხვა ფორმის გამოყენებაც შეიძლება”* – თქვა ფხაკაძემ.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ფხაკაძის ინიციატივიდან. როგორც ჩანს, ფხაკაძე პრემიერლიგის შექმნით დაინტერესებული კლუბების ხელმძღვანელებში იდეების გენერატორის როლს ასრულებს. შევიტყვეთ, რომ საფეხბურთო პროგრამის შემუშავებისა და ხელისუფლების პოზიციის გაცნობის მიზნით, “ტორპედოს” თავკაცი ფინანსთა მინისტრს, **ნოდარ ხადურსა** და მის მოადგილეს, **დავით ებრალიძეს** შეხვდა. ფხაკაძემ ინფორმაცია დაგვიდასტურა.

*“დიახ, 19 დეკემბერს მართლაც შევხვდი ფინანსთა მინისტრსა და მის მოადგილეს. ერთი საათის განმავლობაში ვილაპარაკეთ იმ საფეხბურთო საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებზეც ახლა ვმუშაობთ. ორი აზრი არ არის, დღეს ქართული ფეხბურთი ბიზნესისთვის აბსოლუტურად უინტერესოა და მდგომარეობას მხოლოდ რადიკალური გადაწყვეტილებებით თუ შევცვლით. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნოდარ ხადური და დავით ებრალიძე ფეხბურთის არა მხოლოდ მოყვარულები, არამედ ძალიან კარგი მცოდნეები არიან და გეტყვით, რომ ფინანსთა სამინისტროში დაიწყეს მუშაობა ფეხბურთის განვითარების კონცეფციაზე”* – გვითხრა ფხაკაძემ.

აქვე გეტყვით, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, **დავით ებრალიძეს** საფეხბურთო წრეებში საკმაოდ კარგად იცნობენ. ის 2003 წელს **დავით პეტრიაშვილს** საარჩევნო შტაბის მუშაობაში ეხმარებოდა, 2008-2009 წლებში კი “ზესტაფონის” მენეჯერი გახლდათ. საფეხბურთო თემატიკაზე ბევრი პიროვნების მოსაზრება გამოგვიქვეყნებია, მაგრამ მისნაირად სალი იდეები – იშვიათად.

ებრალიძის მოსაზრებები “ლელომ” ვრცლად გააშუქა. ყოფილი ენერგომომბუდსმენი კანონმდებლობას მშვენივრად იცნობდა და მასში ისეთი დეტალები ალმოაჩინა, რომლითაც საფეხბურთო კლუბებს საქმიანობა და არსებობა უნდა გაადვილებოდათ - ალმოჩნდა, რომ საფეხბურთო კლუბები იხდიდნენ (და დღემდე იხდიან) გაცილებით მეტ გადასახადებს, ვიდრე კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. ებრალიძეს ხარჯების მინიმიზაციის კონკრეტული წინადადებები ჰქონდა.

პირველი მიწის გადასახადს შეეხებოდა. კანონით დღეს საქართველოში არსებული მოედნები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად განიხილება. ერთ ჰექტარზე გადასახადი 3 000 ლარია, მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გადასახადი მხოლოდ 90 ლარია. მისი წინადადება იყო, მოედნები მეორე კატეგორიაში გადაეყვანათ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების



დავით ებრალიძე

მიწების სტატუსი მიენიჭებინათ. ნატურალური ბალახი ზუსტად იგივეა, რაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ზუსტად იგივენაირად ხდება მიწის კულტივაცია, სასუქების შეტანა, დამუშავება და ასე შემდეგ. ამიტომ, მათი პირველ კატეგორიაში განხილვა არასწორია. მანამდე საკითხი ასე არავის დაუსვამს.

მისი მეორე წინადადება წყლის გადასახადს ეხებოდა, რაც კლუბებსა და სტადიონებს უდიდეს ხარჯად აწვებათ. ყოფილი ენერგოომბუდსმენი წყლის ტარიფში კარგად ერკვეოდა და ამბობდა, რომ ის ორი ელემენტისგან შედგება: ერთი არის წყლის გასუფთავება-მოწოდება-დამუშავების ტარიფი და მეორე - მისი უტილიზაცია, ანუ კანალიზაცია.

მოედნების მორწყვის დროს კლუბებს წყლის ხარჯის მეორე ელემენტი, კანალიზაცია, არ სჭირდებათ. არადა, მეორე ნაწილს ტყუილად იხდიან. მოედნების მორწყვის გადასახადიც გადასახედია - ეს არის მელიორაცია, ამიტომ, მისთვის სპეციალური ტარიფი უნდა დაწესდეს, რაც საფეხბურთო კლუებსა და სკოლებს არათუ მნიშვნელოვან, არამედ კოლოსალურ შელავათს მისცემს. ამ საკითხის მოსაგვარებლად ფეხბურთის ფედერაციამ სემეკ-ს უნდა მიმართოს. სემეკ-ი კი, ვალდებულია, საკითხი განიხილოს და დააკმაყოფილოს.

ებრალიძემ ტრანსფერების საკითხიც წამოსწია. კლუბი უცხოეთიდან მოთამაშის ჩამოყვანისას თანხის 10 პროცენტს ბიუჯეტს უხდის, რადგან ეს მომსახურების ხარჯად განიხილება. არადა, ფიფა-უეფას მიდგომით, ტრანსფერი არის არამატერიალური აქტივი, იურიდიული უფლება, იგივე ლიცენზია და არა ხარჯად, არამედ, იურიდიულ აქტივად უნდა აღირიცხოს. ეს კი ნიშნავს, რომ ხარჯის გადასახადს ალარ იხდი. 23-წლამდელი ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში რომ გადიან, კლუბები ვერ ასაბუთებენ, მასზე რა ხარჯი გასწიეს. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, უცხოური კლუბები მიზერულ თანხებს გვიხდიან. როცა ხარჯებს დაასაბუთებენ, მერე ტარნსფერის ღირებულებაც გაიზრდება. ეს ჩვენი კლუბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ახალგაზრდების უცხოეთში გაშვებით იღებენ.

ამას ემატება მოთამაშეთა მომსახურების ხარჯები, რაც სერიოზულ თანხებს უკავშირდება. საკითხი აქაც არასწორადაა დაყენებული - ფეხბურთელების კვება შელავათადაა მიჩნეული. ამ დროს, მოთამაშეს გარკვეულ ფიზიკურ კონდიციამდე მისაყვანად კვებავ. ასე რომ, ეს არის ჩადებული აქტივი და არ უნდა იბეგრებოდეს. არადა, დღეს მოთამაშის კვება საშემოსავლოთი იბეგრება. მერე კლუბები შავი ბუღალტერიით აღარ დაინტერესდებიან, ფეხბურთელთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს აღრიცხავენ და დაინტერესებულ კლუბს წარუდგენენ.

ებრალიძემ საფეხბურთო სამყაროს უზარმაზარი გადასახადების მინიმუმამდე შემცირების იდეალური გზა აჩვენა, მაგრამ ეს იმდენად მაგარი წამოწყება იყო, ვერ გაუგეს და მხარი არ აუბეს - საფეხბურთო სამყაროში ხომ ინტელექტის ნაკლებობა და ინიციატივებისადმი გულგრილობა ყოველთვის იგრძნობოდა.

*“ფეხბურთში დარჩენის სურვილიც აღარ მქონდა. სამწუხაროდ, ჩემს ინიციატივებს ფეხბურთის ფედერაციაში დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებოდნენ, ასე მუშაობა კი წყლის ნაყვას ჰგავდა და აზრი არ ჰქონდა”* – გვითხრა მაშინ ებრალიძემ.

სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთს რევოლუციის ტოლფასი ეს გადაწყვეტილებები არ ეღირსა. არადა, გუნდები და საფეხბურთო სკოლები გაცილებით ნაკლებს გადაიხდიდნენ, მთელი საფეხბურთო სისტემისთვის კი ეს უდიდესი ეკონომია იქნებოდა. ებრალიძე გვთავაზობდა არა კანონის შეცვლას, არამედ არსებულის გამოყენებას და კორექტირებას. ეს მარტივი გამოსავალი იქნებოდა და მის ამოქმედებას გაცილებით მცირე დრო დასჭირდებოდა, ვიდრე ახლის მიღებას. წესით, სახელმწიფოც დათანხმდებოდა, რადგან სახელმწიფოს შელავათების დაწესება უხერხულობას უქმნის – ფეხბურთს თუ აქვს, რა დააშავა ხელოვნებამ, ადგილობრივმა წარმოებამ, კინოინდუსტრიამ და ა.შ.

მაშინ ვწერდით, რომ არაორდინარულად მოაზროვნე ეს კაცი ფეხბურთის მიღმა არ დაიკარგებოდა და ასეც მოხდა. იმედია, დავით ებრალიძის ინიციატივებს ახლა მაინც უწერია განხორციელება, რითაც ქართული ფეხბურთი უდავოდ მოიგებს – მისი თქმით, წელიწადში, მინიმუმ, 25-27 მილიონ ლარს. ახლა სახელმწიფო ფეხბურთში წლიურად დაახლოებით ამდენს ხარჯავს.

**მერაბ მამულაშვილი**

● სალერის თასი

# აქაც ესპანელები

“ბენდელას” სტადიონზე “სალერის თასის” (1997 წელს დაბადებულთა შორის) გათამაშებაში მხოლოდ გამარჯვებული დარჩა გამოსავლენი.

“ლევან ჟორდანიას” ფონდისა და საფეხბურთო სკოლა “საბურთალოს” ორგანიზებული ტურნირის გრაფიკი თავიდანვე აირია, რადგან **ანდრეს კარასკოს** გაწვრთნილ “მალაგას” თბილისში ჩამოსვლა ერთი დღით დაუგვიანდა და “საბურთალოსთან” პირველი ტურის შეხვედრა გადაუდეს. მაგრამ შემდეგ ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ ამ ორმა გუნდმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

გუშინ გამოტოვებული შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა და ესპანელებმა 2:1 გაიმარჯვეს. ეს გუნდები კიდევ ერთხელ ფინალში შეხვდებიან, რომელიც “ბენდელაზე” (ყოფილი სამედიცინოს სტადიონი) ხვალ, 23 დეკემბერს 16 საათზე დაიწყება.

მე-3 ადგილზე გასულის ვინაობა თბილისის “ლოკომოტივისა” და არნემის “ვიტესის” შეხვედრაში გაირკვა. კვლავ მშვენივრად ითამაშა თბილისელთა პლეიმეიკერმა **გიორგი არაბიძემ**, რომელიც თავისიანთა შეტევებს უნარიანად ხელმძღვანელობდა. დაძაბული მატჩი ქართველების გამარჯვებით 3:2 დასრულდა.

**მერაბ ჟორდანიას** “ვიტესმა”, რომელსაც ჰოლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო სკოლა აქვს, ტურნირზე ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო. არნემელთა ასეთი სუსტი გამოსვლა მოულოდნელი იყო. ამავე დროს, იმაზეც მიუთითებს, რომ ქართულ ფეხბურთს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, რადგან “საბურთალომ” და “ლოკომოტივმა” სამივე შეხვედრა მოუგეს, თუმცა, ჯერ “მალაგასთან” მოგება ვერც ერთმა მოახერხა.

ვნახოთ, ნავსი 23 დეკემბერს თუ გატყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1000 კვირის მოგონებანი

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი ზღვის მეკობრეები

## რა სიბრძნე ედო უილ ბრინერს გადაპარსულ თავში

გუნდი, რომელიც წინა სეზონში კინაღამ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა – რუსთავის “მეტალურგს” ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა და ვერც “ზესტაფონის” პრობლემებმა.

არადა “მეტალურგს” ურიგო გუნდი ნამდვილად არ ჰყავს. შემადგენლობას თუ ჩავუკვირდებით, “მეტალურგს” წესითა და რიგით სუსტი პოზიცია არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ რუსთაველები თითქოს დანავსულები აღმოჩნდნენ.

“მეტალურგის” საქმე დაღმა წავიდა, არადა საქართველოს ჩემპიონატს ბევრი კარგი გუნდი სჭირდება, ლამაზი სახე რომ მიიღოს.

რუსთავში არ დადის იმდენი ქომაგი სტადიონზე, რამდენიც ზესტაფონში თუ ქუთაისში. თქმა რად უნდა, სადაც კერა ძლიერი არ არის, იმ პერიფერიაში ძალიან ძნელია მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. მაგრამ მხოლოდ ეს ვერ იქნება “მეტალურგის” ჩაფლავების მიზეზი. შეცდომების გარეშე საქმე არ ფუჭდება.

■ ■ ■

ექვსეულში მოხვდა ‘ზესტაფონი”, რომელმაც 2012 წელს მართლაც ბევრი




უილ ბრინერი



ილია კოკაია

ამბავი გადააგორა. კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია** ამასწინათ ტელევიზიით გამოვიდა და ‘ზესტაფონის” ამბებზე ესაუბრა ჟურნალისტ **დავით მინაშვილს**. სიმხდალე, თავხედობა, ხალტურა – სხვათა გარდა კოკაიამ ეს სიტყვებიც ჩართო საუბარში და ისე ჩანდა, რომ ის მართლაც იმას ამბობდა, რასაც ფიქრობს.

ტელეგადაცემაში მხოლოდ ერთი მხარე იყო მიწვეული, “ზესტაფონის” ფეხბურთელები კი იქ არ იყვნენ, არადა ფეხბურთელს ფეხბურთის თამაშის გარდა ლაპარაკიც უნდა შეეძლოს, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

კლუბის პრეზიდენტის მდგომარეობაც გასათვალისწინებელია, დიდ ფულს ხარჯავს, მაგრამ საქართველოში ფეხბურთი ბიზნესი ჯერ არ არის და სახელმწიფოსგანაც ჯერ არ ჩანს შელავათების დაკანონების სურვილი ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებისთვის.

კოკაიას თქმით, “ზესტაფონმა” “დინამო თბილისს” **ჯაბა დვალი** 400 000-ის სანაცვლოდ დაუთმო. შიდა ბაზარზე ეს ალბათ სარეკორდო ტრანსფერია, ოღონდაც ტრანსფერიდან შემოსული ფული დაუგეგმავი შემოსავალია კლუბისთვის და ამის მიხედვით ბიუჯეტის დაგეგმვა შეუძლებელია.

ფეხბურთის ფედერაციას კარგად ესმის ჩვენი საკლუბო ფეხბურთის მდგომარეობა და “ზესტაფონს” შელავათი გაუწია – “ჩიხურასთან” თამაში გადაუდო და სეზონის პირველი ეტაპის რამდენიმე ტურის კალენდარიც შეცვალა. ამ ყველაფერზე ადრე უკვე ვთქვით, ოღონდაც ასეთ შელავათებს ზღვარი თუ არ დაუწესდა, შელავათი სისულელედ გადაიქცევა.

იყო ასეთი მსახიობი **უილ ბრინერი**, თავი გადაპარსული ჰქონდა და თამბაქოს მადიანად აფუილებდა. მან თქვა, ქალებს ის არაკანონიერი უპირატესობა აქვთ მამაკაცებთან, რომ შეუძლიათ სისულელეები ჩართონ იქ, სადაც გონება უძლური არისო.

ფეხბურთი ალბათ უფრო კაცების თამაშია, ვიდრე ქალების, საქართველოს ჩემპიონატმა კი ბევრი სისულელე მოიწელა და თუ ეს არ დასრულდა, ერთი-ორი მოფულიანებული კლუბის გამოჩენა საქმეს ვერ უშველის.

საქართველოში თავი ბევრს აქვს გადაპარსული, ოღონდაც მხოლოდ უილ ბრინერს შეეძლო, ეთქვა ასეთი რამ.

■ ■ ■

გულწრფელად გამიხარდა, “ვიტ ჯორჯია” – “ბათუმის” მატჩზე კარგი თამაშის გარდა ბათუმიდან მცხეთაში ჩასული ოციოდე ფანი რომ ვნახე. შეხვედრა დაგვიანებით დაიწყო და მათ სამი საათი მოუწიათ სუსხში თავის გატანა და გუნდის ქომაგობა. “ვიტ ჯორჯიასაც” ჰყავს ერთი ისეთი ფანი, ავდარს რომ არ შეუშინდა და სკოლიდან მცხეთაში წავიდა საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად. ამ ვიტჯორჯიელი ფანისგან გავიგე, ბათუმურ ფან-კლუბს “შავი ზღვის მეკობრეები” ჰქვიათო. მეორედ გამიხარდა “მცხეთა პარკზე”, ფანობაც ხომ ის არის, რომ ასეთი სახელი შეურჩიო საკუთარ თავს. ასეთი ხალხის გარეშე ფეხბურთი მკვდარია...

ქართული ფეხბურთი

სკანდალი

# ზუგდიდი რუსთავში დუბლებით ჩადის

## წერილი ფედერაციის პრეზიდენტს და კლუბის ბუნდოვანი მომავალი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბ/ნ დომენტი სიჭინავას
საფეხბურთო კლუბ ზუგდიდის "ზუგდიდის" ფეხბურთელების

### განცხადება

კლუბში არსებული ვითარებიდან გამომდინარე იძულებულები ვართ თხოვნით მოგმართოთ. დაპირებების მიუხედავად გაუსაძლის პირობებში ვართ. გაუცემელი ხელფასები, პრემიები და კვების პრობლემების მიუხედავად, ჩვენს გუნდს საკმაოდ კარგი შედეგი აქვს. ჩვენ უკვე აღარ ვიცით დასახმარებლად ვის მივმართოთ. გთხოვთ მოგვაქციოთ ყურადღება. ჩვენი მოთმინება ყველანაირ საზღვრებს გადაცდა. ს.კ. ზუგდიდის "ზუგდიდი" არ გავა სათამაშოდ ბოლო ტურის მატჩზე, რომელიც რუსთავში რუსთავის "მეტალურგის" წინააღმდეგ უნდა გავმართოთ. ამდენი ცრუ დაპირებებით გუნდი სრულიად უპატრონოდაა მიგდებული. როგორც სჩანს გუნდის მიხედვას არავინ არ აპირებს. იქნებ თქვენ გაგვცეთ ამ ყველაფერზე პასუხი, ან მოსთხოვეთ კლუბში არსებულ ვითარებაზე პასუხი იმ პირებს ვისაც ეკუთვნის გუნდის მიხედვა.

პატივისცემით ს.კ. "ზუგდიდის" ფეხბურთელები. ვიმედოვნებთ ჩვენს გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანთ და თქვენგან მაინც მივიღებთ კითხვებზე პასუხს.

სტილი დაცულია (რედ.)

1. ლაშა ძაგანია
2. დავით გამეზარდაშვილი
3. სევასტი თოდუა
4. ნიკოლოზ აფაქიძე
5. როინ ონიანი
6. ვალიკო ტყემალაძე
7. ზვიად სიხარულია
8. ალექსანდრე კოშკაძე
9. ლევან კუტალია
10. გიორგი გაბედავა
11. ირაკლი ქობალია
12. მირზა მერლანი
13. მაკარ აქუბარდია
14. ლევან აკობია
15. შოთა ლომია
16. ლუკა გუგუჩია
17. ლევან წურწუმია
18. ლაშა კუკავა
19. დავით ბოლქვაძე
20. ირაკლი ეხვაია
21. აკაკი ფარჯიკია
22. ზამირ ჯანაშია
23. დაჩი ფოფხაძე


L.T.D FOOTBALL CLUB "ZUGDIDI"

განცხადება

■ ■ ■

"ზუგდიდისთვის" ფინანსური პრობლემები ძალიან კარგად ნაცნობი თემაა, თუმცა ამჯერად საქმე უფრო სერიოზულად ჩანს – მიუღებელმა ანაზღაურებამ გუნდის ფეხბურთელებს რადიკალური ნაბიჯისკენ უბიძგა და მათ რუსთავში "მეტალურგთან" სათამაშოდ წასვლაზე უარი თქვეს, გარდა ამისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს წერილი მისწერეს, რომელიც თქვენს წინაშეა.

როგორც "ზუგდიდის" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვაცნობა, რუსთავში მატჩი მაინც ჩატარდება, ოღონდ იქ ზუგდიდური კლუბი დუბლშემადგენლობით ჩავა.

*"რა გითხრათ, მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია. თუკი წინა ტურებში ავად თუ კარგად მაინც ვახერხებდით სათამაშოდ გასვლას, პირველი ეტაპის ბოლო ტურში ეს უკვე შეუძლებელია – გადაწყვეტილია, რომ "მეტალურგს" დუბლებით ვესტუმრებით. პრემიები და ნოემბერ-დეკემბრის სახელფასო დავალიანება ბიჭებს არ მიუღიათ და მათი ეს ნაბიჯი სწორედ ამით არის განპირობებული. სიმართლე რომ გითხრათ, ისინი ახლა ისეთ მდგომარეობაში არიან, მათი მოედანზე გასვლა არც იქნებოდა მიზანშეწონილი"*, - გვითხრა ქომეთიანმა.


ელგუჯა ქომეთიანი

როგორც იცით, "ზუგდიდს" ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს, ზუგდიდის გამგებელი კი თანამდებობიდან გადადგა და კლუბის დაფინანსების საკითხი ჰაერში ამიტომაც გამოეკიდა. ჯერჯერობით, "ზუგდიდის" მომავალი სრული ბურუსითაა მოცული და იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

ქომეთიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განცხადებაში დაფიქსირებულ 23 ფეხბურთელს კლუბი არ დაუტოვებია და საუბარი მხოლოდ "მეტალურგთან" სათამაშოდ არგასვლაზეა. "ზუგდიდის" დამრიგებელმა იმედი გამოთქვა, რომ მალე ამ მოთამაშეებს გუნდში დაბრუნების საფუძველი გაუჩნდებათ.

ჯერჯერობით, პოსტზე რჩებიან ქომეთიანი და "ზუგდიდის" მწვრთნელ-კონსულტანტი **ოთარ გაბელია.**

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს "ზუგდიდის" ფეხბურთელებმაც.

**ლევან აკობია** (გუნდის კაპიტანი): "დაგვღალა გაუთავებელმა დაპირებებმა, ჩვენი კუთვნილი ანაზღაურება კი არადა არ ჩანს. ყველაფერთან ერთად, გუნდს უკვე კვების პრობლემაც აქვს".

**დავით გამეზარდაშვილი:** "ელემენტარული პირობები არ გვაქვს, უშედეგოდ ველოდებით ორი თვის ხელფასს და ოთხი თვის პრემიას. არც თბილისის "დინამოსთან" ვაპირებდით თამაშს, მაგრამ ცრუ დაპირებით გადაწყვეტილება შეგვაცვლევინეს. რუსთავში სათამაშოდ კი ძირითადი გუნდი არ წავა".

ლევან ჯანეზაშვილი

კოლხეთი

# საჩივარი უკვე დაწერილია: თერთმეტი გაშვებული ფეხბურთელი კლუბის წინააღმდეგ

## კოლხეთის ფეხბურთელს შეკრების დროს იატაკზე ეძინა... გუნდი სამი ბურთით ვარჯიშობდა...

ფოთის "კოლხეთის" ამბავი გეცოდინებათ: წინა კვირას ცნობილი გახდა, რომ გუნდიდან თერთმეტი ფეხბურთელი დაითხოვეს.

მანამდე "კოლხეთში" მწვრთნელი შეიცვალა – დათო მახარაძე წავიდა და მისი ადგილი სოსო ფილიამ დაიკავა.

გუნდს ამან ვერ უშველა და მომდევნო ნაბიჯი თერთმეტეულის გაშვება გახდა. ეს ამბავი კი ალბათ იოლად არ ჩაივლის – "კოლხეთიდან" დათხოვნილი ფეხბურთელები საკუთარი უფლებების დაცვას ფეხბურთის ფედერაციაში აპირებენ და იურისტებთანაც კი ჰქონიათ კონსულტაციები.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით "ლელო" პაატა დათუნაიშვილს დაუკავშირდა, რომელიც სხვებთან ერთად მოხვდა იმ თერთმეტკაციან სიაში.

**- იქნებ მკაფიოდ, დეტალურად გაგვაცნო ვითარება...**

- 8 დეკემბერს "ბათუმთან" თამაშის წინ ვაპირებდით გუნდის დატოვებას, რადგან კლუბს ჩვენი დავალიანება ჰქონდა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე ჩემპიონატში "კოლხეთს" ერთი მოგებაც კი არ ჰქონდა, ფეხბურთელები შევთანხმდით იმაზე, მაინც გავსულიყავით მოედანზე იმ მიზნით, რომ "ბათუმთან" მოგვეგო. ამ თამაშამდე ფეხბურთის ფედერაციაში დანარეკი გვქონდა იმის თაობაზე, რომ "ბათუმთან" შეხვედრის შემდეგ მოედანზე გასვლას არ ვაპირებდით. "კოლხეთის" ხელმძღვანელობამ ეს გაიგო და ვითომ აქეთ დაგვასწრეს – თერთმეტი ფეხბურთელი გუნდიდან დაგვითხოვეს.

**- "კოლხეთს" ფეხბურთელების რა ვალი მართებს?**

- სექტემბრიდან მოყოლებული ხელფასი არ აგვიღია. კლუბის ხელმძღვანელობა "ბათუმთან" მატჩის შემდეგ გუნდის ერთ ფეხბურთელს ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა, ვისაც არ დავურეკავთ, გუნდში ნულარ მოვაო. ფოთში მაინც ჩავედით და მიზეზი ვიკითხეთ, რაზეც სოსო ფილიამ გვიპასუხა, თქვენი სათამაშო კლასი არ აკმაყოფილებს "კოლხეთსო".

მინდა ყველას შევახსენო, რომ ამ თერთმეტი ფეხბურთელიდან ექვსი წინა სეზონშიც "კოლხეთში" ვთამაშობდით, გუნდის მიზანი უმაღლესი ლიგიდან არგავარდნა იყო, ჩვენ კი მე-6 ადგილზე გავედით. მოკლედ, ფილიას ასეთი განმარტება ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**- და ეს თერთმეტი ფეხბურთელი რას აპირებს?**

- საკუთარი უფლებების დაცვას, საჩივარი უკვე გამზადებული გვაქვს.

**- კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შანსი უკვე გამორიცხულია?**

- კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, თემურ ბარქაიას ველაპარაკეთ და მისგან პასუხს ველით, თუ ორშაბათამდე შევთანხმდებით, საჩივარს აღარ შევიტანთ ფეხბურთის ფედერაციაში. ფეხბურთელები იმას ვითხოვთ, რაც კონტრაქტით გვეკუთვნის.

**- "კოლხეთმა" მიმდინარე სეზონში ერთი თამაშიც კი ვერ მოიგო...**

- ამას თავის მიზეზები აქვს. სულ უფულოდ რომ ვყოფილიყავით, ერთი მატჩი მაინც უნდა მოგვეგო და ფეხბურთელები ამ პასუხისმგებლობას არ გავურბივართ. სამი თვეც ამიტომ ვიყავით გუნდში უფულოდ. კლუბის შედეგზე კი მხოლოდ ჩვენ ვერ ვიქნებით პასუხისმგებლები. სეზონისწინა შეკრების დროს მხოლოდ სამი ბურთი გვქონდა და ჩვენი მწვრთნელი დათო მახარაძე ამის გამო უბურთო ვარჯიშებს იგონებდა. მესმის, რომ შედეგზე პასუხი პირველ რიგში მწვრთნელს მოეთხოვება, მაგრამ ისიც არ შეიძლება, ჯოხი მხოლოდ მასზე გადატყდეს. შეკრებაზე ურეკში რომ წავედით, სასტუმროში ყველა ფეხბურთელისთვის არ აღმოჩნდა ადგილი და ზოგი სხვაგან, კოტეჯებში გადაიყვანეს, ერთისთვის კი დასაწოლი არსად არ აღმოჩნდა და იატაკზე ეძინა. ვარჯიშების შემდეგ ფეხბურთელებს არ გაგვაჩნდა დასვენების და აღდგენის სათანადო პირობები, ამას მოჰყვა სამი თვის არგაცემული ხელფასები და მერე უკვე ჩვენი, ფეხბურთელების კლასზე ალაპარაკდნენ.


პაატა დათუნაიშვილი (მარცხნივ) დინამოსთან მატჩის დროს

**- ფეხბურთელებს კონტრაქტში გაქვთ ისეთი პუნქტი, სადაც წერია, რომ ვერმოგებული შეხვედრების შემთხვევაში კონკრეტული სანქციების დაწესება შეუძლია კლუბს?**

- ასეთი რამე არ წერია, კლუბს შეუძლია სანქციის გამოყენება, რაც ითვალისწინებს 50-დან 500 ლარამდე დაჯარიმებას.

**- ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის მწვრთნელი დგას. მას შემდეგ, რაც ფილია დაბრუნდა "კოლხეთში", რა ურთიერთობა იყო მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის?**

- ბოლო ხუთი თამაშის შემდეგ ფილია მადლობას გვეუბნებოდა. როცა ჩავეკითხეთ, ფეხბურთელების კლასი მიზეზად რატომ მოგყავთ-თქო, გვითხრა, თერთმეტი მოთამაშის სია "ზემოთ" დაიწერაო. მოკლედ, მისგან არეულ-დარეული განმარტებები მოვისმინეთ.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია, "კოლხეთი" ფოთის მერიას ეკუთვნის...**

- ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ წყვეტს კლუბის საქმეებს, უბრალოდ საწყენია, რომ ორი წელი ვითამაშე "კოლხეთში", ყველა თამაშში გულსა და სულს ვდებდი და ასეთი ფორმით მოისურვეს ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება. სულ მცირე, იმას მაინც არ ვიმსახურებდით, რომ ნორმალურად აეხსნათ ჩვენი გაშვების მიზეზი?!

დავით თავართქილაძე

დინამოს ამბები

## დინამოს აკადემიის ხელმძღვანელად გიორგი მინაშვილი დაინიშნა

„დინამო თბილისის" საფეხბურთო აკადემიის ხელმძღვანელად გიორგი მინაშვილი დაინიშნა. 31 წლის გიორგი მინაშვილი სამწვრთნელო განათლებას 2005 წლიდან ეუფლება ინგლისში. მან წარმატებით გაიარა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში არსებული სამწვრთნელო ლიცენზირების კურსები და უეფას A ლიცენზიის მფლობელია. გიორგი მინაშვილი 2008 წლიდან დღემდე ლონდონის კრისტალ პალასის საფეხბურთო აკადემიის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

**გიორგი მინაშვილი**- პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ დინამოს საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობდი და დინამოელად ვთვლი თავს, მით უმეტეს, რომ მამა წლების მანძილზე იცავდა დინამოს ღირსებას. მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც ჩვენი გუნდის დიდი წარმატებების შესახებ, სამწუხაროდ მხოლოდ მონათხრობით ვიცით. იმ პერიოდში დინამოში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები თამაშობდნენ და ასე უნდა იყოს მომავალშიც. მდიდარი ტრადიციებიდან გამომდინარე, „დინამო" ქართული ფეხბურთის სახეა. როდესაც ეს შემოთავაზება მივიღე, ბევრი არ მიფიქრია, დავტოვე ინგლისი და სამშობლოში დავბრუნდი. ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია, ქართული ფეხბურთის განვითარების და დინამოს სერიოზული პროგრესის თანამონაწილე გავხდე.

fcdinamo.ge

**დუბლების ჩემპიონატი. XXI ტური**

| | |
|---|---|
| დილა – კოლხეთი | 1:1 |
| ზუგდიდი – ზესტაფონი | 3:0 |
| ჩიხურა – ტორპედო | 1:0 |
| დინამო (თბ) – მერანი | 4:1 |
| ვიტ ჯორჯია – დინამო (ბთ) | 6:0 |
| სიონი – მეტალურგი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 20 | 14 | 2 | 4 | 54-23 | 44 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 13 | 4 | 4 | 51-23 | 43 |
| 3. ზუგდიდი | 20 | 12 | 4 | 4 | 36-17 | 40 |
| 4. ზესტაფონი | 21 | 11 | 5 | 5 | 60-37 | 38 |
| 5. ჩიხურა | 21 | 10 | 4 | 7 | 27-25 | 34 |
| 6. ტორპედო | 21 | 8 | 5 | 8 | 28-25 | 29 |
| 7. დილა | 21 | 8 | 5 | 8 | 25-26 | 29 |
| 8. მეტალურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 35-37 | 28 |
| 9. კოლხეთი | 21 | 8 | 3 | 10 | 23-39 | 27 |
| 10. დინამო (ბთ) | 21 | 6 | 3 | 12 | 27-40 | 21 |
| 11. მერანი | 21 | 4 | 2 | 15 | 11-46 | 14 |
| 12. სიონი | 21 | 0 | 5 | 16 | 15-54 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტურის წინ

# წლის უკანასკნელი მშვიდი უქმეები

XVIII ტურის პირველ შეხვედრაში "უიგანი" "არსენალს" მასპინძლობს. **არსენ ვენგერის** შეგირდებმა წინა ტურში "რედინგს" თავბედი აწყევლინეს. მათ ზედიზედ მეორე აუტსაიდერთან მოუწევთ ძალების მოსინჯვა და ისევ გასვლაზე. **რობერტო მარტინესის** გუნდი საშინელ ფორმაშია, მაგრამ მას ჯერ კიდევ კარგი შანსი აქვს, რომ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლაში ძალიან არ ჩამორჩეს. შესაბამისად, DW Stadium-ზე "უიგანი" მაქსიმალურად შეეცდება 3 ქულის აღებას. ჩრდილოლონდონელთა ბანაკში სიტუაცია მეტნაკლებად ლაგდება. შუა კვირაში გუნდმა ერთბაშად ხუთ ფეხბურთელთან გააფორმა ახალი ხელშეკრულებები. წყვილში ფავორიტი აშკარაა – "არსენალი".

"მანჩესტერ სითი" პრემიერლიგის ყველაზე სუსტ გუნდს ხვდება. "არისტოკრატებმა" ზედიზედ 6 თამაში წააგეს ჩემპიონატში და რა შანსი შეიძლება ჰქონდეთ მოქმედ ჩემპიონთა გასვლით შეხვედრაში, თავად დაასკვენით. ორშაბათს "არსენალთან" განადგურების შემდეგ **ბრაიან მაკდერმოტის** შეგირდები თავად აცხადებდნენ: "კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ ერთი რანგით უფრო დაბალი ლიგისთვის. განსხვავება ჩვენსა და პრემიერლიგის ლიდერებს შორის კოლოსალურია". ფსიქოლოგიურად გატეხილი ფეხბურთელების საბრძოლველად განწყობა კი ურთულესი საქმეა. ბუკმეიკერები "ქალაქელთა" მოგებაზე ფსონს ძალიან ცოტას ჩამოდიან. ცხადია, ჩვენც "სითის" მოგებაზე ვდგავართ.

## გაუქმებული შობა

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ "ნიუკასლის" მიერ **ალან პარდიუსთან** 8-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ "კაჭკაჭების" ბანაკში რაღაც აირია (ბოლო 7-დან 6 წააგება). ჩრდილოელები იმდენად დაჩაჩანაკდნენ, ცოტა აკლიათ, "რედინგსაც" გაუტოლონ თავი. გუნდში იმდენად არიან დაძაბულები, რომ საშობაო სადღესასწაულო ღონისძიებებიც კი გაუქმდა. დღეს "ნიუკასლის" მეტოქე აუტსაიდერთა რიგებიდან არის, რომელსაც მთლად აუტსაიდერადაც აღარ განვიხილავთ. "ქუინზ პარკს" **ჰარი რედნაპი** ჩაუდგა სათავეში, ვინც "რეინჯერებს" თავისი ხელი უკვე დაატყო. ჩვენი პროგნოზით სტუმარს "სენტ ჯეიმს პარკიდან" მინიმუმ ქულის წაღება შეუძლია.

"შავმა კატებმა" სეზონი სტაბილურად დაიწყეს, მაგრამ მერე თამაშს ძალიან მოუკლეს და აუტსაიდერთა შორის დაეშვნენ. პირიქით მოხდა "საუთჰემპტონის" შემთხვევაში. "წმინდანებმა" ბოლო პერიოდში შესამჩნევად მოუმატეს. მასპინძლებს წინა ტურში არ უთამაშიათ და, წესით, მეტი ენერგია უნდა ჰქონდეთ მიზნის მისაღწევად. ჩვენი პროგნოზით, "სანდერლენდს" უნდა გაუჭირდეს ქულის აღება, თუმცა ამ შედეგს გამორიცხვითაც ვერ გამოვრიცხავთ.

## გარანტირებული არაფერია

"ტოტენჰემს" ზედიზედ მეორე შეხვედრა უწევს "უაით ჰართ ლეინზე". მეტოქე ამჯერადაც ისეთი გუნდია, ვისთანაც გარანტირებულ მოგებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. კარგია, რომ "დეზების" შემადგენლობაში **სკოტ პარკერის** შემდეგ მეორე ლიდერიც ბრუნდება – **გარეთ ბეილმა** ნატკენი ფეხი უკვე მოირჩინა. პროგნოზი ასეთია: სტუმარს სერიოზული ოფლის ღვრა მოუწევს თუნდაც ქულის ასაღებად. ჩვენ უფრო მასპინძელთა მოგებას ველოდებით.

სეზონის წინ ძნელად თუ ვინმე იტყოდა, რომ "ვესტ ბრომვიჩი"-"ნორვიჩის" დაპირისპირება შეიძლებოდა ყვე-



წესით, დავიდ სილვასა და კომპანიას გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ

[illegible]- საინტერესო ყოფილიყო ზე. რეალობა ასეთია: მასპინძელს მცირე ჩავარდნა აქვს, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მის შანსებს ამ შეხვედრაში. სტუმარი არნახულ ფორმაშია. **კრის ჰიუტონის** გუნდი 10 თამაშია, ჩემპიონატში არ დამარცხებულა. ჰოდა, ყველა წარმატებულ სერიებსაც აქვთ ხოლმე დასასრული...

## აუცილებლად ასაღები 3 ქულა

"ჩაქუჩებს" ცუდი დროება უდგათ. ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, **სემ ელერდაისის** გუნდს ფავორიტებთან შეხვედრებში პირველ რიგში ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათო. ეს რაღაცით ჰგავს სიმართლეს, თუკი "ტოტენჰემთან", "მანჩესტერ იუნაიტედთან" და "ლივერპულთან" მატჩებს გავიხსენებთ. "ჩელსისთან" თამაში ამ შემთხვევაში სხვა თემაა. "აპტონ პარკს" ზედიზედ მეორე მერსისაიდული კლუბი სტუმრობს. "ევერტონს" დისკვალიფიცირებული **მარუან ფელაინი** აკლია, რაც სტუმართა შანსებს ერთიორად ამცირებს. ჩვენი პროგნოზი: ფრე.

"ლივერპულს" მიჯრით მეორე საშინაო შეხვედრა ელის. "წითლებმა" უსიკვდილოდ უნდა აიღონ 3 ქულა და "ენფილდზე" თავმოყრილი ფანების წინაშე "ასტონ ვილასთან" სამარცხვინო გამოსვლისთვის ბოდიში მოიხადონ. მით უფრო, რომ "ფულჰემი" ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე. ფეხბურთელებს ესმით, რომ კიდევ ერთი წაფორხილება და **ბრენდან როჯერსის** ავტორიტეტი მეტისმეტად შეილახება. ჩვენი პროგნოზი: მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვება.

## ფერგის კონცენტრაცია

"მანჩესტერ იუნაიტედის" ტრადიციულ წინასაშობაო საქველმოქმედო ღონისძიებას **ალექს ფერგიუსონი** იშვიათად აკლდება ხოლმე. წელს გამონაკლისი იყო. შოტლანდიელის თქმით, ის მაქსიმალურად კონცენტრირებულია ახალ წლამდე დარჩენილ შეხვედრებზე. ვეტერანი მწვრთნელი ხვდება, რომ გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, მის გუნდს გარანტირებული არაფერი აქვს. ცხადია, ამას მოთამაშეებიც ხვდებიან. ჩვენი აზრით, "ეშმაკებს" შეუძლიათ მოგება, მაგრამ არც "გედებისგან" არის რამე გასაკვირი.

"ასტონ ვილას" გასავარდნი ზონიდან 3 ქულა აშორებს. ასეთ დროს გუნდს აუტსაიდერის გარდა სხვა იარლიყს ვერ მიაწებებ, თუმცა ბირმინგემელებისთვის ის მაინც არ გვემეტება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ "ენფილდზე" წინა ტურში ზღაპრულად ითამაშეს. **პოლ ლამბერტის** განკარგულებაში საკმაოდ კვალიფიციური შემადგენლობაა იმისთვის, რომ გუნდმა დარჩენაზე ცოტა უფრო ამბიციური გეგმები დაისახოს. "ჩელსი" ამ შეხვედრაში ფავორიტია, მაგრამ "ვილას" ხაზს ასე იოლად ნუ გადავუსვამთ.

### დღეს:

**უიგანი-არსენალი 16:45**

**ტრავმა:** მიაიჩი, კრუსატი, ალკასარი, უოტსონი – სანტოსი, დიაბი, ფაბიანსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +3=2-13 (15-40)

**სითი-რედინგი 19:00**

**ტრავმა:** კომპანი, რიჩარდსი, მილნერი, როდუელი – მორისონი, მაკარტი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 | +0=0-6

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 11 თამაში: +4=1-6 (9-15)

**ნიუკასლი-ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** გოსლინგი, ს. ტეილორი, კაბაი, რ. ტეილორი, ვუკჩიჩი – პარკი, ზამორა, ჯონსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 | +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +13=7-12 (45-50)

**საუთჰემპტ.-სანდერლენდი 19:00**

**ტრავმა:** ლალანა, გასანიგა – ბერდსლი, ლ. კატერმოული, ბრაუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 | +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +16=7-9 (44-32)

**ტოტენჰემი-სტოკ სითი 19:00**

**ტრავმა:** ბეილი, კაბული – დელაპი, უილსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 | +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 61 თამაში: +31=14-16 (95-64)

**ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი 19:00**

**ტრავმა:** ფოსტერი – სარმანი, რადი

**დისკვალიფიკაცია:** მულუმბუ -

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 | +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 43 თამაში: +17=12-14 (54-45)

**ვესტ ჰემი-ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** ბენაიუნი, მაკარტნი, დიამე, დიარა, კოლისონი, ვას ტე, კეროლი – მირალიაში, ჰიბერტი, ანიჩებე, ნევილი

**დისკვალიფიკაცია:** - ფელაინი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 107 თამაში: +30=23-54 (122-185)

**ლივერპული-ფულჰემი 21:30**

**ტრავმა:** ბორინი, კელი – ს. დევისი, რუისი

**დისკვალიფიკაცია:** - სიდუელი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 | +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 40 თამაში: +20=11-9 (65-36)

### ხვალ:

**სუონსი-იუნაიტედი 17:30**

**ტრავმა:** პ. ერნანდესი, ნ. ტეილორი – ევანსი, კაგავა, ანდერსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 | +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +1=1-4 (3-6)

**ჩელსი-ასტონ ვილა 20:00**

**ტრავმა:** რომეუ – ბენტი, ვლაარი, დანი, გარდნერი

**დისკვალიფიკაცია:** მიკელი -

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 | +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 133 თამაში: +51=32-50 (200-198)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 17 | 14 | 0 | 3 | 43-24 | 42 |
| 2. სითი | 17 | 10 | 6 | 1 | 33-15 | 36 |
| 3. ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28-17 | 29 |
| 4. ტოტენჰემი | 17 | 9 | 2 | 6 | 30-25 | 29 |
| 5. არსენალი | 17 | 7 | 6 | 4 | 31-18 | 27 |
| 6. ევერტონი | 17 | 6 | 9 | 2 | 28-21 | 27 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 8 | 3 | 6 | 24-21 | 27 |
| 8. ნორვიჩი | 17 | 6 | 7 | 4 | 19-25 | 25 |
| 9. სტოკ სითი | 17 | 5 | 9 | 3 | 15-13 | 24 |
| 10. სუონსი | 17 | 6 | 5 | 6 | 26-22 | 23 |
| 11. ვესტ ჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 21-20 | 23 |
| 12. ლივერპული | 17 | 5 | 7 | 5 | 23-23 | 22 |
| 13. ფულჰემი | 17 | 5 | 5 | 7 | 28-29 | 20 |
| 14. ასტონ ვილა | 17 | 4 | 6 | 7 | 15-24 | 18 |
| 15. ნიუკასლი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-26 | 17 |
| 16. სანდერლენდი | 17 | 3 | 7 | 7 | 18-24 | 16 |
| 17. საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 22-32 | 15 |
| 18. უიგანი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-32 | 15 |
| 19. ქუინზ პარკი | 17 | 1 | 7 | 9 | 15-30 | 10 |
| 20. რედინგი | 17 | 1 | 6 | 10 | 21-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - მიგელ მიჩუ (სუონსი), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 11 - დემბა ბა (ნიუკასლი)

● ამბები

## ევანსი გაირკვა. მგონი, ლევანდოვსკიც

"მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩრდილოირლანდიელმა ცენტრალურმა მცველმა, 24 წლის **ჯონი ევანსმა** კონტრაქტი 2016 წლამდე გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულების ფინანსურ დეტალებზე "ეშმაკების" ვებგვერდი არაფერს წერს, სამაგიეროდ ის ფეხბურთელის კომენტარს გვთავაზობს: "მოხარული ვარ, რომ ვრჩები. ვამაყობ ამ დიდი გუნდის წევრობით. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს "იუნაიტედი" ჩემი მეორე სახლი იყო".



ჯონი ევანსი

goal.com-ის ინფორმაციით კი, "იუნაიტედმა" დორტმუნდის "ბორუსიასთან" **რობერტ ლევანდოვსკის** ტრანსფერი შეათანხმა. კუნძულელებს 24 წლის ცენტრფორვარდის შეძენა 12-14 მილიონი ფუნტი (15-17 მილიონი ევრო) დაუჯდებათ. ეს ალბათ იმის ნიშანია, რომ **ალექს ფერგიუსონი** გუნდიდან რომელიმე შემტევის გაშვებას გეგმავს. სავარაუდოდ ეს **დენი უელბეკი** იქნება. თანაამპლუელებს შორის მას ყველაზე მწირი სათამაშო პრაქტიკა აქვს.

## ნიუკასლი ადასტურებს

"მირორის" ინფორმაციით, "მარსელის" 25 წლის თავდამსხმელი **ლოიკ რემი** 2013/14 წლების სეზონს "ნიუკასლში" დაიწყებს. პროვანსელები 12,28 მილიონი ევროს კომპენსაციის გარდა 26 წლის ნახევარმცველ **სილვენ მარვოსაც** მიიღებენ. "კაჭკაჭებს" რემი **დემბა ბას** შემცვლელად სჭირდებათ. მოგეხსენებათ, 27 წლის სენეგალელი დიდი ხანია, ტრანსფერზე დაყენებას ითხოვდა და როგორც იქნა ოცნება აუხდა. სად გააგრძელებს კარიერას ბა, ამ ეტაპზე ჯერ არ გარკვეულა.

## არსენალის კომპრომისი

"არსენალის" მიერ ამ დღეებში 5 ფეხბურთელთან კონტრაქტების გახანგრძლივებაზე უკვე ვწერდით. ცხადია, ეს ფაქტი გულშემატკივრებს შედარებით მშვიდი ძილის საშუალებას აძლევს, მაგრამ "მეთოფეებს" მთავარი პრობლემა ჯერაც გადაუჭრელი აქვთ - **თეო უოლკოტის** საკითხი კვლავაც ჰაერშია გამოკიდებული. "მოხარული ვიქნები, უოლკოტს ის ხელფასი გადავუხადო, რომელსაც თავისი თამაშით ალალად იმსახურებს. ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა "არსენალში" მოვიდა და მას მერე ყველაფერი გააკეთა, რათა მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბებულიყო. თეო ჯერ 23 წლისაა და უკვე 7 წელია, ჩვენთან არის. მისი დონის ფეხბურთელების შენარჩუნება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია," – აცხადებს **არსენ ვენგერი**. შეგახსენებთ, რომ უოლკოტი კვირაში ხელფასის 60 ათასიდან 100 ათასამდე გაზრდას ითხოვს.

აქვე გეტყვით, რომ "სანის" ინფორმაციით, ვენგერმა უარი თქვა იანვარში ბრაზილიელი განაპირა მცველის, 29 წლის **ანდრე სანტოსის** "გალათასარაიში" გაყიდვაზე. "ლომები" "მეთოფეებს" 2,5 მილიონ ფუნტს სთავაზობდნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XVIII ტურის წინ

# ბრძოლა საშობაო განწყობისთვის
## რომში სანახაობის მოლოდინში

**დღევანდელი მატჩებიც და სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში საშობაო პაუზა გამოცხადდება. XVIII ტურის ცენტრალური შეხვედრა "სტადიო ოლიმპიკოზე" შედგება, სადაც ერთმანეთის პირისპირ "რომა" და "მილანი" წარსდგებიან. მართალია, სკუდეტოს მაძიებელი არც ერთი არ გახლავთ, მაგრამ ამ გუნდების ჯახი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.**

**პესკარა-კატანია 2:1**

**გოლები:** 1:0 სელიკი (23), 1:1 ბარიენტოსი (36), 2:1 ტონი (49).

**პესკარა (4-3-1-2):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი, კაპუანო, მოდესტო (68. ძანონი) – ნიელსენი, ტონი, ბარნასონი – ვეისი (80. კაპრარი) – აბრუსკატო, სელიკი.

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი (43. ბელუში), ლეგროტალიე, სპოლი, მარკეზე – ისკო, ლოდი, ალმირონი – ბარიენტოსი, კასტრო, გომესი (76. მორიმოტო).

**გაფრთხილება:** სელიკი – ისკო, ბარიენტოსი.

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-13(3-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 15 000

**კალიარი-იუვენტუსი 1:3**

**გოლები:** 1:0 პინილია (16-პენ.), 1:1 მატრი (75), 1:2 მატრი (90), 1:3 ვუჩინიჩი (90).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, არიაუდო, ასტორი, მურუ (53. პერიკო) – დესენა, ნაინგოლანი, ეკდალი – რიბეირო – პინილია (76. ნენე), საუ (67. დელ ფაბრო).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – კასერესი (62. პადოინი), ბონუჩი, ბარცალი – ლიხტშტაინერი (72. ვუჩინიჩი), ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა – ჯოვინკო, კვალიარელა (61. კვალიარელა).

**გაფრთხილება:** პიზანო, არიაუდო, მურუ, დესენა – ლიხტშტაინერი, ვიდალი.

**გაძევება:** ასტორი (65. კალიარი).

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 12-22; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 3-21(2-10); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 5 000

**დღეს:**

**ინტერი-ჯენოა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** გუარინი - სეიმური, მორეტი.

**ტრავმა:** სტანკოვიჩი, ობი, მუდინგაი, კასტელაცი, ნაგატომო, კოუტინიო - ფერონეტი, ხორკერა, ბოვი, იანკოვიჩი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 | +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +11=3-3, (36-18)

**ატალანტა-უდინეზე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მანფრედინი - ერუ, ალანი.

**ტრავმა:** კაპელი, რადოვანოვიჩი, სკელოტო, პარა, მარილუნგო - ვილიანსი, არმერო, ბარეტო.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 | +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +8=9-12, (24-34)

**ბოლონია-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პალეტა (პარმა).

**ტრავმა:** პულცეტი, პაციენცა, პერესი, ხიმენესი, ლომბარდი, ნატალი - გალოპა, როზი, მირანტე.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 | +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +9=9-8, (23-23)

**პალერმო-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ოლივერა, რონკალია (ფიორენტინა).

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი - აგაცი, კამპორეზე.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +6=3-9, (17-24)

**სამპდორია-ლაციო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ტისონე - კანდრევა.
**ტრავმა:** მაქსი ლოპესი - ედერსონი, როკი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 | +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +8=6-15, (35-47)

**სიენა-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი, პაჩი, ნეტო, ვერგასოლა - ინლერი, კანავარო, გრავა.

**ტრავმა:** ზე ედუარდო, კამპანიოლო, ანჯელო, სესტუ - ჯემაილი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 14 თამაში: +5=4-5, (14-16)

**ტორინო-კიევო 18.00**

**ტრავმა:** დიოპი, ოგბონა, ვერდი, სანტანა - ლუსიანო, ვაჩეკი, მ. რიგონი, ფრეი, ვიოტი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +6=6-4, (19-19)

**რომა-მილანი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი, კასტანი (რომა).

**ტრავმა:** მარკინიო - პატო, ტრაორე, დიდაკ ვილა, მესბა, დე იონგი.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 | +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 40 თამაში: +12=13-15, (48-48)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-11 | 44 |
| 2. ინტერი | 17 | 11 | 1 | 5 | 29-18 | 34 |
| 3. ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 24-17 | 33 |
| 4. ფიორენტინა | 17 | 9 | 5 | 3 | 33-19 | 32 |
| 5. ნაპოლი | 17 | 10 | 3 | 4 | 31-17 | 31 |
| 6. რომა | 17 | 9 | 2 | 6 | 37-27 | 29 |
| 7. მილანი | 17 | 8 | 3 | 6 | 32-22 | 27 |
| 8. კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 26-27 | 25 |
| 9. უდინეზე | 17 | 5 | 8 | 4 | 25-25 | 23 |
| 10. პარმა | 17 | 6 | 5 | 6 | 23-23 | 23 |
| 11. ატალანტა | 17 | 7 | 2 | 8 | 17-26 | 21 |
| 12. კიევო | 17 | 6 | 3 | 8 | 20-27 | 21 |
| 13. ბოლონია | 17 | 5 | 3 | 9 | 20-22 | 18 |
| 14. სამპდორია | 17 | 5 | 3 | 9 | 20-26 | 17 |
| 15. პესკარა | 18 | 5 | 2 | 11 | 15-35 | 17 |
| 16. ტორინო | 17 | 3 | 8 | 6 | 18-22 | 16 |
| 17. კალიარი | 18 | 4 | 4 | 10 | 16-33 | 16 |
| 18. პალერმო | 17 | 3 | 6 | 8 | 15-24 | 15 |
| 19. ჯენოა | 17 | 3 | 4 | 10 | 17-28 | 13 |
| 20. სიენა | 17 | 4 | 5 | 8 | 16-24 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ნაპოლი - 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 14 – ელ შაარავი (მილანი); 12 - კავანი (ნაპოლი); 10 - კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე)

### რომა-მილანი

"რომას" თამაში იშვიათად არის მოსაწყენი და მით უმეტეს, როდესაც გრანდებს ეჭიდავება. მიმდინარე სეზონში, "მილანიც" შემტევ ფეხბურთს თამაშობს, 4-3-3 ტაქტიკით ირჯება და შესაბამისად, "სტადიო ოლიმპიკოზე" კარგი სანახაობა უნდა ვიხილოთ. სატურნირო ცხრილში გუნდები მეზობლები არიან და როგორც ასეთ დროს ამბობენ, ბრძოლა ექვსი ქულისთვის გაიმართება.

**ზდენეკ ზემანი** შეტევის წინა ხაზზე ნაცად ტრიოს დაეყრდნობა **ფრანჩესკო ტოტის, ერიკ ლამელას** და **პაბლო ოსვალდოს** შემადგენლობით. ამჯერად, თადარიგში რჩება **მატია დესტრო**, რომელიც ბოლო პერიოდში სასტარტო თერთმეტეულს გაშინაურდა. მიჯრით მოგებული მატჩების შემდეგ, რომაელებმა ვერონაში წაიმტვრიეს კისერი და რეაბილიტაციას ლომბარდიელებთან გეგმავენ - სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ზდენეკ ზემანი:

*"წინა ტურში საკმაოდ მწარე მარცხი ვიწვნიეთ და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ საშობაოდ ხასიათი გამოვიკეთოთ. "მილანი" პროგრესის გზას ადგას და იოლად არაფერს დათმობს, რაც კარგად უნდა გავითავისოთ. თუ საგოლე მომენტები ისევე გავატანეთ ქარს, როგორც ვერონაში, არაფერი გამოვა. მეტი იმპროვიზაცია და მეტი სისწრაფე გვმართებს".*

როგორც უკვე ალვნიშნეთ, მიმდინარე სეზონში **მასიმილიანო ალეგრი** 4-3-3 სქემას ეყრდნობა და გამონაკლისი არც რომაული მატჩი იქნება. შეტევის წინა ხაზზე **სტეფან ელ შაარავი** გაირჯება, ფლანგებიდან კი მას **რობინიო** და **კევინ პრინს ბოატენგი** დაეხმარებიან. ეს უკანასკნელი ალეგრიმ მკვეთრად შემტევ ფეხბურთელად აქცია და როგორც თავად აცხადებს, ახალ პოზიციაზე თამაში ძალიან მოსწონს. თადარიგში დარჩებიან **ბოიან კრკიჩი** და **ჯამპაოლო პაცინი**, ისევე, როგორც **ურბი ემანუელსონი**, რომელსაც ასევე შეუძლია გარემარბად თამაში. ალეგრი "რომასთან" მატჩს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს:

*"სეზონი იმდენად ცუდად დავიწყეთ, რომ დღეს, თითოეული მატჩი ფინალის ტოლფასია. გამარჯვების შემთხვევაში, "რომას" ადგილს გავუცვლით და ლიდერთა მარაქაში გავერევით. თუმცა, კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება, რადგან მეტოქედ ძლიერი გუნდი გვყავს. "რომა" საკუთარ მოედანზე შესანიშნავად ასპარეზობს და თუ თამაში წაუვიდა, ნებისმიერი მეტოქის გაცამტვერება შეუძლია. ამიტომ, სრული მობილიზება გვმართებს, რომ მიზანს მივაღწიოთ. ჩვენი კოზირი? - გვაქვს ჩვენი პლუსები, თუმცა დღეს, ამის შესახებ საუბარს ნამდვილად არ ვაპირებ. ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება და უმჯობესია, დაველოდოთ ამ უმნიშვნელოვანეს პაექრობას".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა - პირისი, მარკინიოსი, ბურდისო, ბალცარეტი - პიანიჩი, დე როსი, ფლორენცი - ლამელა, ოსვალდო, ტოტი.

**მილანი (4-3-3):** ამელია - დე შილიო, მექსე, იეპესი, კონსტანტი - მონტოლივო, ამბროზინი, ნოჩერინო - რობინიო, ბოატენგი, ელ შაარავი.

### ინტერის შანსი

წლის მაჟორულ ნოტაზე დასრულების საკმაოდ კარგი შანსი აქვს "ინტერს", რომელიც საკუთარ მოედანზე აუტსაიდერთა შორის მყოფ "ჯენოას" დაუპირისპირდება. **ანდრეა სტრამაჩონი** ამჯერად 3-4-3 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **კასანო-მილიტო-პალასიოს** ტრიოს გაამწესებს. "ინტერის" მესაჭე ოპტიმიზმით ალსავსეა:

*"აუცილებლად უნდა მოვიგოთ და წელი გამარჯვებით დავასრულოთ. მჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან შეგირდები არნახულად მოტივირებულნი არიან. დასამალი არაფერი მაქვს, სამი თავდამსხმელით შევუტევთ და ნახევარმცველებსაც ისეთს შევარჩევ, შეტევა რომ ეხერხებათ. მსურს, წლის ბოლო შეხვედრაში გულშემატკივარს უდიდესი სიამოვნება მივანიჭოთ".*

აქვე ერთი მოკლე ინფორმაცია "ინტერის" შესახებ, რომლის მიხედვითაც იანვრიდან გუნდის ღირსებას "პორტუს" მცველი **რონალდუ** დაიცავს. დიახ, "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მილანური გრანდის მესვეურებმა პორტუგალიელ კოლეგებთან შეთანხმებას მიაღწიეს და 27 წლის უკანახაზელთან საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებენ. რაც მთავარია, ზაფხულში "ინტერს" გამოსყიდვის უფლება ექნება და სურვილის შემთხვევაში, "პორტუს" ბიუჯეტი 10 მილიონი ევროთი გამდიდრდება. მოკლედ, სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ გახსნილა და "ინტერის" მესვეურები უკვე საქმეებს ჩარხავენ.

საინტერესო მატჩი შედგება გენუაში, სადაც "სამპდორიას" "ლაციო" ესტუმრება. რომაელები **ანტონიო კანდრევას** მოისაკლისებენ, რომელიც ბოლო ხანებში გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად ყალიბდება... მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **სენად ლულიჩი** იქნება, რომელიც **გონსალესის, ლედესმას, ერნანესის** და **მაურის** მხარდამხარ გაირჯება. ცენტრფორვარდად **მიროსლავ კლოზე** ითამაშებს, რომელიც **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** სათასო პაექრობაში დაასვენა.

რთული გასვლითი მატჩი ელის "ფიორენტინას", "პალერმოსთან". მართალია, კუნძულელები ვერ ბრწყინავენ და ცხრილის ფსკერზე ყურყუტებენ, მაგრამ სიცილიაზე თამაში ნებისმიერ შემთხვევაში რთულია. **ვინჩენცო მონტელა** 3-5-2 სქემას შეარჩევს და თავდასხმაში **სტევან იოვეტიჩი-ლუკა ტონის** ტანდემს გაამწესებს. დიახ, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ორივე ჯანმრთელია და მეტოქეს პირველივე წუთებიდან შეუტევენ. "ვიოლამ" "ნაპოლის" დაჯარიმებით ცხრილში პოზიცია გაიუმჯობესა, თასზეც გაიკვლია გზა და სრული ბედნიერებისთვის სიცილიაზე სამი ქულის ალება საჭირო. ვნახოთ...

**ლაშა წიკლაური**



მთავარი მატჩი რომში

● ლიბერტადორესის თასი



# გრემიოს არ გაუმართლა

გუშინ 2013 წლის ლიბერტადორესის თასის კენჭისყრა გაიმართა. მომავალი წლის გათამაშებაში ისევ 8 ჯგუფი იქნება, სადაც კენჭისყრის შედეგად 26 გუნდი გაანაწილეს, დარჩენილი 6 საგზურისთვის კი 12 კლუბი საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოლებს.

შესარჩევ ეტაპზე გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**"ტიგრე" (არგ) – "დეპორტივო ანსოატეგი" (ვენ); "გრემიო" (ბრა) – "ლდუ კიტო" (ეკვ); "დეპორტეს ტოლიმა" (კოლ) – "სესარ ვალიეხო" (პერ); "ოლიმპია" (პარ) – "დეფენსორი" (ურუ); "სან პაულო" (ბრა) – "ბოლივარი" (ბოლ); "დეპორტეს იკიკე" (ჩილ) – "ლეონი" (მექ).**

კენჭისყრაში არ გაუმართლათ "გრემიოს" და "ლდუ კიტოს" – ამ ორი ძლიერი გუნდიდან ერთი ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩება, რაც ნამდვილად სამწუხაროა. 2012 წლის კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული "სან პაულო" ბოლივიის "ბოლივარს" შეხვდა, რომელთანაც შინ იოლი მატჩი კი ექნება, სამაგიეროდ თუ საკმარისი ფორით ვერ მოიგო, სტუმრად ძალიან გაუჭირდება.

ჯგუფებში კი გუნდები ასე განაწილდნენ:

I ჯგუფი: **"ბარსელონა" (ეკვ), "ნასიონალი" (ურუ), "ბოკა ხუნიორსი" (არგ), "ტოლუკა" (მექ).**

II ჯგუფი: **"სპორტინგ კრისტალი" (პერ), "ლიბერტადი" (პარ), "პალმეირასი" (ბრა), "ტიგრე"-"დეპორტეს ანსოატეგის" გამარჯვებული.**

III ჯგუფი: **"არსენალი" (არგ), "სტრონგესტი" (ბოლ), "ატლეტიკო მინეირო" (ბრა), "სან პაულო"-"ბოლივარის" გამარჯვებული**

IV ჯგუფი: **"ველეს სარსფილდი" (არგ), "პენიაროლი" (ურუ), "ემელეკი" (ეკვ), "დეპორტეს იკიკე"-"ლეონის" გამარჯვებული.**

V ჯგუფი: **"კორინთიანსი" (ბრა), "სან ხოსე" (ბოლ), "მილიონარიოსი" (კოლ), "ტიხუანა" (მექ).**

VI ჯგუფი: **"სანტა ფე" (კოლუმბია), "სერო პორტენიო" (პარ), "რეალ გარკილასო" (პერ), "დეპორტეს ტოლიმა"-"სესარ ვალიეხოს" გამარჯვებული.**

VII ჯგუფი: **"დეპორტივო ლარა" (ვენ), "უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილ), "ნიუელს ოლდ ბოისი" (არგ), "ოლიმპია"-"დეფენსორის" გამარჯვებული.**

VIII ჯგუფი: **"ფლუმინენსე" (ბრა), "უაჩიპატო" (ჩილ), "კარაკასი" (ვენ), "გრემიო"-"ლდუ კიტოს" გამარჯვებული.**

საკმაოდ არ გაუმართლა "ბოკა ხუნიორსს", რომელიც "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდა. არგენტინელების მეტოქეები ევკადორის ჩემპიონი "ბარსელონა", ურუგვაის "ნასიონალი" და მექსიკური "ტოლუკა" იქნებიან.

საინტერესოა IV ჯგუფიც, სადაც "ველესის" და "პენიაროლის" დაპირისპირებას ვიხილავთ.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები 24, 25 და 26 იანვარს, საპასუხო კი 31 იანვარს, 1 და 2 თებერვალს გაიმართება.

ჯგუფური ეტაპი 7 თებერვალს დაიწყება და 19 აპრილს დასრულდება, რის შემდეგაც 16 გუნდი ასპარეზობას პლეიოფში გააგრძელებს.

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტური

# ჯუკიჩის და მისი რაზმის [illegible]

## როგორ დაასრულებს ჟოზე წელიწადს, ანდალუსიაში გამოჩნდება

უცნაური, წინა-საშობაო ტურია ესპანეთში, დღეს შაბათია და თამაშების ნახევარი უკვე გაიმართა, დარჩენილი შეხვედრებიდან კი ორი იქცევს დიდ ყურადღებას: ანდალუსიაში მე-4 და მე-3 ადგილზე მყოფი გუნდების პაექრობაა და ეს ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა - „მალაგას" ჩილელი თავკაცი მანუელ პელეგრინი შეეცდება ყოფილ გუნდს აწყენინოს. აი, მეორე თამაშს კი უფრო მეტი ყურადღება ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ექცევა - ვალიადოლიდში ლიდერი „ბარსელონა" მთავარი მწვრთნელის გარეშე ჩადის, ტიტო ვილანოვამ ყელ-ყურის სიმსივნესთან ხელმეორე ბრძოლა დაიწყო.



ლევანტეს კარს მადრიდელი ფრანკო ვასკესი უტევს

### ლევანტეს ფეხი დაუცდა

მივყვეთ მოვლენებს ქრონოლოგიურად: ტურის პირველ დაპირისპირებაში ყოჩაღი „ლევანტე" მადრიდში „ელვებთან" შერცხვა - 0:3. მეორე ტაიმში **ნაჩომ, პიტიმ** და **ფრანკო ვასკესმა** სამი უპასუხო გოლი გაუტანეს **გუსტავო მუნუას**. ორივე გუნდი ძალზე განსხვავებული ტაქტიკით თამაშობს, მაშინ, როცა „რაიო ვალეკანო" ცდილობს სათამაშო უპირატესობის მოპოვებას, „ლევანტე" კონტრშეტევების დიდოსტატია. კარგი მაგალითი მისცა თანაგუნდელებს 23 წლის ხოსე იგნასიო (ნაჩო) მარტინესმა, რომელმაც გახსნა ანგარიში შორეული დარტყმით.

**პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო): *„სამწუხაროა, რომ სეზონი ახლა არ მთავრდება, რადგან ამ პოზიციით ძალიან კმაყოფილი ვარ".*

**ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე): *„მეტოქემ დიდებული გოლები გაგვიტანა, ჩვენ კი ვერაფერი გავაწყვეთ".*

### სულ ეს არის სევილია?

„ანოეტაზე" „რეალ სოსიედადმა" გამარჯვებით დაასრულა წელიწადი - 2:1 მოუგო **მიჩელის** „სევილიას", რომელმაც თამაში 10 კაცით დაასრულა, წელიწადი კი მისთვის შეუფერებელ მე-14 ადგილზე. ბასკურ გუნდს აშკარად ალმასვლა აქვს, მაშინაც კი, როცა **გარი მედელმა** ანგარიში გაათანაბრა, მასპინძელთა უპირატესობაში ეჭვი არავის შეუტანია. „სევილიამ" კი დაცვაში ლაფსუსები დაუშვა, რაც **ველას** და **დე ლა ბელას** გოლებად დაუჯდა. 74-ე წუთზე ორი ყვითელი ბარათის გამო, მოედნიდან **კოკე** გააძევეს.

**ფილიპ მონტანიე** (რეალ სოსიედადი): *„წელიწადი მაჟორულ ნოტზე დავასრულეთ. 17 ტურში მოპოვებული 25 ქულა კარგი შედეგია".*

**მიჩელი** (სევილია): *„მარცხი ძალიან მძიმედ გადავიტანეთ".*

### თუ არ ჩაგვქოლავთ, გვაცალეთ

**ხავიერ აგირეს** ხელში „ესპანიოლი" სულ სხვანაირად ათამაშდა, „ელ ვასკომ" გუნდს სულზე მოუსწრო. აი, „დეპორტივო" კი ღრმა კრიზისშია. ეს ალბათ ბოლო მატჩი იყო გალისიელთა თავკაც **ხოსე ლუის ოლტრასთვის** პოსტზე. გოლები (თითო - ტაიმში) **სიმაომ** და **სტუანიმ** გაიტანეს.

**ხავიერ აგირე** (ესპანიოლი): *„გამარჯვება გამარჯვებაა, მაგრამ თამაშის ხარისხით მაინც უკმაყოფილო ვარ, მეტი შეგვეძლოა".*

**ხოსე ლუის ოლტრა** (დეპორტივო): *„თუ არ ჩაგვქოლავთ, გვაცალეთ ფეხზე დადგომა".*

### ტიტოს გარეშე

დღეს „ბარსელონას" „ვალიადოლიდთან" მატჩში **ტიტო ვილანოვას** ასისტენტი **ჟორდი როურა** გაიყვანს. თავად ტიტო ჰოსპიტალში ინტენსიურ მკურნალობას გადის, ყელ-ყურის სიმსივნის მეორე ოპერაციაზე. ამასობაში მომავალ მასპინძელთა თავკაცი **მიროსლავ ჯუკიჩი** აცხადებს, რომ მისი გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული: *„ჩვენ ყველანი „ბარსას" დამარცხებაზე ვოცნებობთ"*, - აცხადებს ის.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალიადოლიდი:** *ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - რუბიო, პერესი - ომარი, ოსკარი, ბუენო - მანუჩო.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - ადრიანო, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.*

### შურისძიების ჟამი პელეგრინისთვის?

„მალაგას" უხუცეს ფანებსაც აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის მოუგო მათმა გუნდმა მადრიდის „რეალს", მაგრამ გავრისკავთ და ვიტყვით, რომ დღეს **მანუელ პელეგრინის** გუნდს ამის კარგი შანსი აქვს. თუ ანდალუსიაში „რეალი" ქულებს კვლავ დაკარგავს, „სამეფო კლუბს" შეუძლია, მთლიანად „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშზე გადაერთოს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მალაგა:** *კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ონიევუ, მონრეალი - კამაჩო, იტურა - ხოაკინი, ისკო, ელიზეუ - სავიოლა.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, რამოსი, კოუტინიო - ხედირა, ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

#### ვალეკანო-ლევანტე 3:0

**გოლები:** 1:0 ნაჩო (59), 2:0 პიტი (79), 3:0 ფ. ვასკესი (94)

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი (78. ლაბაკა), ნაჩო - ტრაშორასი, ფუეგო - ლ. ბანგურა (72. დელიბაშიჩი), ა. დომინგესი, პიტი (87. ფ. ვასკესი) - ლეო კარილიო.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა (82. როხერი), დიოპი (71. ელ-ზარი) - მიჩელი (62. ანხელი), ბარკერო, რ. გარსია - მარტინსი.

**გაფრთხილება:** ფუეგო, დომინგესი, ლაბაკა - მარტინსი, მიჩელი, იბორა, ბარკერო

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 11 000

#### ესპანიოლი-დეპორტივო 2:0

**გოლები:** 1:0 სიმაო (30), 2:0 სტუანი (88)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, კაპდევილა - ვ. სანჩესი (46. ბაენა), ფორლინი - ვაკასო (77. სტუანი), ვერდოუ (90. ალბინი), სიმაო - ს. გარსია.

**დეპორტივო (4-2-3-1):** ლუქსი - მ. პაბლო, მარჩენა, აიტამი, ევალდო - ბერგანტინიოსი (71. ანდრე სანტოსი), აგილარი - გამა, პიცი, სალომაო (78. ვალერონი) - რიკი (60. ოლივეირა).

**გაფრთხილება:** სანჩესი, ბაენა - აიტამი, პიცი

**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-16 (5-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 19 000

#### სოსიედადი-სევილია 2:1

**გოლები:** 1:0 ველა (18), 1:1 მედელი (49), 2:1 დე ლა ბელა (69)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - პარდო (67. ზურუტუზა), ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, გრიზმანი, ველა (84. გ. კასტრო) - იფრანი (86. აგირეჩე).

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - კოკე, ბოტია (88. ლუნა), სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, რეიესი (67. რაბელიო), დელ მორალი (81. ბ. დიავარა) - ნეგრედო.

**გაფრთხილება:** ი. მარტინესი, ილარამენდი - სპაჰიჩი, კოკე, ბოტია, ნავარო

**გაძევება:** კოკე (74)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-14 (4-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

#### ვალენსია-ხეტაფე 4:2

**გოლები:** 1:0 სოლდადო (1), 2:0 ჟონასი (7), 2:1 ა. ვასკესი (13), 3:1 რ. კოშტა (30), 3:2 ალექსისი (59), 4:2 ვალდესი (93)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ტინო კოსტა, ალბელდა - ფეგული (64. ბანეგა), ჟონასი (76. ვიერა), პიატი (90. ვალდესი) - სოლდადო.

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - მ. ტორესი, ალექსისი, ლოპო, მანე (6. რაფა) - მიჩელი (73. გავილანი), ხ. ტორესი - ლაფიტა, ბარადა (77. სარაბია), დ. კასტრო - ა. ვასკესი.

**გაფრთხილება:** რამი, სოლდადო, ალბელდა - რაფა, ხ. ტორესი, მ. ტორესი, ა. ვასკესი

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-10 (10-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 32 000

#### ატლეტიკო-სელტა 1:0

**გოლი:** 1:0 ადრიან ლოპესი (77)

**ატლეტიკო (4-4-1-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, სისმა (75. რაულ გარსია) - კოკე, გაბი (58. კ. როდრიგესი), ტიაგო, არდა თურანი - დ. კოშტა (71. ადრიან ლოპესი) - ფალკაო.

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ბელვისი - ოუბინია, ა. ლოპესი (64. ბერმეხო) - ა. ფერნანდესი (85. დე ლუკასი), ინსა (74. ვილა), კრონ-დელი - ასპასი.

**გაფრთხილება:** არდა თურანი, მირანდა, ფალკაო - ტუნიესი, ვარასი, ვილა

**გაძევება:** მირანდა (86)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 10-4 (4-0); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 45 000

### დღეს

#### ბეტისი-მალიორკა 19:00

**დისკვალიფიკაცია:** ჟერომელი (მალ)

**ტრავმა:** დორადო, მარტინესი (?), ადრიანი (?) - ხიმენესი, ლოპესი, ფონტასი (?), ჟოაო ვიქტორი, პერეირა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +10=5-11, (29-30)

#### ვალიადოლიდი-ბარსელონა 21:00

**ტრავმა:** რუედა, ებერტი - ადრიანო (?), ინიესტა (?), კვენკა, ფაბრეგასი, მუნიესა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +6=0-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +3=5-20, (21-69)

#### მალაგა-რეალი 23:00

**დისკვალიფიკაცია:** ველიგტონი (მალ)

**ტრავმა:** ტულალანი, ბაპტიშტა - იგუაინი, ალბიოლი, კოენტრაო (?), მარსელო

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +0=6-18, (23-59)

#### ოსასუნა-გრანადა 23:00

**დისკვალიფიკაცია:** არმენტეროსი (ოსა)

**ტრავმა:** სისი, მასუდი - ტონიო, ფ. რიკო

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +1=1-0, (3-2)

#### ბილბაო-სარაგოსა 01:00

**დისკვალიფიკაცია:** სუსაეტა (ბილ)

**ტრავმა:** ამორებიეტა (?), დე მარკოსი (?), იტურასპე (?), პერესი, რუისი - ობრადოვიჩი, პინტერი, არანდა (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +14=11-9, (48-37)

***შენიშვნა:*** *+ მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

***შენიშვნა:*** *ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 15 | 1 | 0 | 54-18 | 46 |
| 2. ატლეტიკო | 17 | 13 | 1 | 3 | 37-17 | 40 |
| 3. რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 39-14 | 33 |
| 4. მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25-10 | 28 |
| 5. ბეტისი | 16 | 9 | 1 | 6 | 25-26 | 28 |
| 6. ლევანტე | 17 | 8 | 3 | 6 | 21-24 | 27 |
| 7. სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| 8. ვალეკანო | 17 | 8 | 1 | 8 | 22-32 | 25 |
| 9. ვალენსია | 17 | 7 | 3 | 7 | 23-25 | 24 |
| 10. ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21-25 | 24 |
| 11. ვალიადოლიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-18 | 22 |
| 12. ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-32 | 21 |
| 13. სევილია | 17 | 5 | 4 | 8 | 22-26 | 19 |
| 14. სარაგოსა | 16 | 6 | 1 | 9 | 18-24 | 19 |
| 15. სელტა | 17 | 4 | 3 | 10 | 16-22 | 15 |
| 16. ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19-26 | 15 |
| 17. ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13-17 | 14 |
| 18. გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11-24 | 13 |
| 19. მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-28 | 13 |
| 20. დეპორტივო | 17 | 2 | 6 | 9 | 21-39 | 12 |

**ბომბარდირები:** 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - არიც ადურისი (ბილბაო).

#### მომდევნო ტური

**6 იანვარი: სელტა-ვალიადოლიდი, ბარსელონა-ესპანიოლი, გრანადა-ვალენსია, ლევანტე-ბილბაო, მალიორკა-ატლეტიკო, რაიო ვალეკანო-ხეტაფე, რეალი-რეალ სოსიედადი, სევილია-ოსასუნა, სარაგოსა-ბეტისი, დეპორტივო-მალაგა.**

სანქცია

## უეფამ მალაგას წითელი აუნთო!

### და ხურდაში წვრილ-წვრილი გუნდებიც მიაყოლა

მომდევნო 4 სეზონის განმავლობაში, „მალაგა" ევროთასებზე ვერ იასპარეზებს! არა აქვს მნიშვნელობა, მოიპოვებს თუ არა **მანუელ პელეგრინის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის ან ევროპალიგის საგზურს, ანდალუსიელებს ფინანსური დარღვევების გამო სასჯელი დაედოთ. „მალაგა" იმ შემთხვევაშიც ვერ ითამაშებს მომავალ სეზონში ევროთასებზე, ლიგის ეს გათამაშება რომც მოიგოს (შეგახსენებთ, რომ კლუბი ლიგის მერვედფინალშია გასული, სადაც „პორტუს" ხვდება).

გუშინ ნიონში ევროპის კლუბების ფინანსური კონტროლის კომიტეტი შეიკრიბა და 9 კლუბს სასჯელიც გამოუტანა. კონკრეტულად „მალაგას" 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, დასჯილია 300 ათასი ევროთი.

დასჯილთა შორის არიან: „ჰაიდუკი" (ხორვატია), „ოსიეკი" (ხორვატია), „რაპიდი" (რუმინეთი), „დინამო" (რუმინეთი), „პარტიზანი" (სერბეთი), „ვოივოდინა" (სერბეთი), „არსენალი" (უკრაინა) და „ლეხი" (პოლონეთი).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ისკო და ელიზეუ: დებიუტანტის კვალობაზე, მალაგას ლიგაში ბრწყინვალე სეზონი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გერმანელი მესი

**მარიო გიოტცე გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი იმედია. დორტმუნდის „ბორუსიას“ 20 წლის შემტევი ნახევარმცველი ფრანც ბეკენბაუერმა თვით ლიონელ მესის შეადარა. გიოტცე გერმანულ სტილში არ თამაშობს: არ არის ხისტი და აგრესიული, მსუბუქი, ტექნიკური შემქმნელი და შემსრულებელია. თუკი გიოტცეს თამაშის სტილი ახლო წარსულიდან რომელიმე გერმანელი ფეხბურთელისას უნდა მივამსგავსოთ, პირველ რიგში ანდრეას მიოლერისას, რომელიც ასევე არატიპური გერმანელი გამთამაშებელი იყო. არაგერმანელებიდან კი მარიო ყველაზე მეტად იტალიელ ალესანდრო დელ პიეროს ჰგავს. მის ნიჭს უკვე ყველგან აფასებენ. ცნობილია, რომ გიოტცეს გადაბირებაზე „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ ფიქრობენ. მაგრამ ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, ის არის, თუ რას ფიქრობს თავად მარიო. „ბილდმა“ გიოტცეს ძალიან საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**

**- ჰერ გიოტცე, ახლა წითლად შეღებილი კედლის წინ ზიხართ. მოგწონთ მიუნხენის „ბაიერნის“ ფერი?**

- „შალკეს“ „მეფურ ლურჯზე“ მეტად ნამდვილად მომწონს (იცინის).

**- ანუ, „ბაიერნში“ გადასვლა თქვენთვის წარმოუდგენელი არ არის?**

- გულახდილად გეტყვით: სადმე გადასვლის ფიქრზე მიზეზს ვერ ვხედავ და მას მერე, რაც „ბორუსიაში“ მოვედი, გუნდის გამოცვლაზე არასდროს მიფიქრია. აქ ყველაფერი მაქვს, რაც მინდა და დორტმუნდში საკუთარი სახლის აშენებასაც ვაპირებ - იმიტომ, რომ ამ ქალაქში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

**- ანუ, დედასთან ცხოვრება აღარ გინდათ?**

- გავიზარდე და ვხვდები, რომ დროა, საკუთარი სახლი მქონდეს. საკუთარ სახლს მშობლიურთან ახლოს ავიშენებ და დედაჩემი ჩემზე არ ინერვიულებს.

**- ფრანც ბეკენბაუერი თქვენი შექების შანსს ხელიდან არ უშვებს ხოლმე. მას უნდა, რომ ერთ დღესაც „ბაიერნის“ ფორმაში გიხილოთ. კაიზერმა ამას წინათ თქვა, გიოტცესა და როისის წყვილი მსოფლიოში საუკეთესოაო. ეთანხმებით?**

- ბეკენბაუერის ასეთი შეფასება ჩემთვის დიდი პატივია.

**- რამდენიმე მეტსახელი გაქვთ და საინტერესოა, რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად - „ყვითელი გიგანტი“, „გერმანელი მესი“, „გიოტცინიო“ თუ „სუპერ-მარიო“?**

- ოთხივე სასაცილოდ და სასიამოვნოდ ჟღერს. სასიხარულოა, ასეთ ალმატებით ფორმაში რომ მომიხსენიებენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არც ამ თემით ვარ დაინტერესებული. ანუ, კითხვაზე, რომელი მომწონს ყველაზე მეტად, ვერ გიპასუხებთ. ყველა ერთნაირად მომწონს.

**- მუდმივი ქება თქვენში იმის შიშს ხომ არ იწვევს, რომ მთელი საფეხბურთო გერმანიის მოლოდინს ვერ გაამართლებთ?**

- არა, ამის არ მეშინია. საკუთარ თამაშს მხოლოდ ჩემი პირადი მოლოდინის მიხედვით ვაფასებ. ჩემთვის ყოველთვის სულერთი იყო, რას ელოდა ჩემგან გარემოცვა. ვფიქრობ, რომ ეს ჯანსაღი მიდგომაა.

**- საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შეგპარვიათ?**

- არა, არასდროს!

**- როგორ ფიქრობთ, ეს კარგია თუ ცუდი?**

- ეს თავდაჯერების ნიშანია. თავდაჯერება კი კარგია, მაგრამ ნამეტანი არც ეს ვარგა. როცა ყოველ მესამე დღეს მოედანზე გასვლა გიწევს, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული უნდა იყო. ცხადია, ცუდად ჩატარებული ან წაგებული თამაშის შემდეგ მეც ცუდ ხასიათზე ვარ ხოლმე, მაგრამ არასრულფასოვნების კომპლექსი ჩემთვის უცხოა. ამ დროს ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, რა მხრივ უნდა გამოვსწორდე.

**- იქნებ, სწორედ ეს არის მთავარი განსხვავება სუპერ-ნიჭიერ და ნამდვილ სუპერ-ფეხბურთელს შორის?**

- საკუთარ თავს არც სუპერ-ნიჭიერ მოთამაშედ მივიჩნევ და მით უმეტეს, არც სუპერ-ფეხბურთელად. თუმცა იმაში გეთანხმებით, რომ ნამდვილი ვარსკვლავი თვითშეფასებისას არასდროს გადააჭარბებს.

**- მნიშვნელოვანი მატჩების წინ ისევ ნერვიულობთ ხოლმე?**

- ბუნდესლიგაში პირველად 17 წლის ასაკში ვითამაშე და მაშინ თითქმის ყველა თამაშის წინ ვნერვიულობდი, ახლა კი მართლა აღარ ვნერვიულობ ხოლმე.

**- არც მაშინ ნერვიულობდით, როცა „სანტიაგო ბერნაბეუს“ მოედანზე გადიოდით?**

- ოდნავადაც არ მინერვიულია. დიდი და გადაჭედილი სტადიონი რატომ უნდა გამიკვირდეს - დორტმუნდში ყველა საშინაო მატჩს ხომ 80 000 ფანი ესწრება. კრიშტიანო რონალდოსა და ჩაბი ალონსოს დარი ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში კი ჩემთვის უფრო დიდი გამოწვევა იყო, ვიდრე ნერვიულობის მომგვრელი ფაქტორი. ასეთი თამაშების წინ მხოლოდ გახარებული ვარ ხოლმე. ბევრი ფიქრობს, რომ თუ ფეხბურთელს ცხვირი ზემოთ არ აქვს აწეული, სერიოზული წარმატებების მიღწევა გაუჭირდება. ჩემი აზრით, მთავარი თავდაჯერებულობაა. ყოველი წარმატებული მოქმედების შემდეგ ფეხბურთელი უფრო თავდაჯერებული ხდება. როცა საქმე კარგად არ მიდის, იმ მომენტებს წარმოვიდგენ ხოლმე, როცა კარგი დრიბლინგი გავაკეთე, ან მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. მოთამაშისთვის მთავარია, ყოველთვის ახსოვდეს, რატომ თამაშობს ფეხბურთს. მე ფეხბურთს იმისთვის ვთამაშობ, რომ მოედანზე გატარებული თითოეული წუთით ვისიამოვნო.

**- მას მერე, რაც დიდ ფეხბურთში გამოჩნდით, ჩავარდნა ფაქტობრივად არ გქონიათ. ამას როგორ ახერხებთ?**

- ეს პირველ რიგში ჩემი ოჯახის და მეგობრების დამსახურებაა. ახლობლები ყოველთვის მხარში მიდგანან.

**- თინეიჯერობის ასაკიდანვე ძალიან დიდი შემოსავალი გაქვთ, უკვე მილიონერიც ხართ და როგორც წესი, ასეთ დროს ადამიანები ზულუქდებიან ხოლმე...**

- ვიცი, რომ პრივილეგირებული ცხოვრება მაქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. ფულისადმი მიდგომაც ჯანსაღი მაქვს - „ფერარის“ ან „ლამბორგინის“ არ ვყიდულობ...

**- მოგწონთ ის, რომ ბავშვებისთვის მისაბაძი მაგალითი ხართ?**

- რა თქმა უნდა! ეს ძალიან კარგი განცდაა.

**- რატომ არ გაქვთ სვირინგი?**

- სვირინგები ჩემი სტიქია არ არის. თანაც, სვირინგი სამუდამოა და სანამ რამეს ამოისვირინგებ, გადაწყვეტილების სისწორეში ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა იყო.

**- სანამ საყურეს გაიკეთებდით, მშობლებისგან ნებართვა აიღეთ?**

- არ მახსოვს, როდის ვუთხარი. საყურეს 16 წლიდან ვატარებ და მშობლებისგან წინააღმდეგობა არ მქონია.

**- რა ნიშნავს დაუწერთ „დორტმუნდს“ ამ სეზონის პირველი წრის შემდეგ?**

- ბუნდესლიგაში იდეალურად ველარ ვასპარეზობთ, მაგრამ არც ცუდად გამოვიყურებით. ბუნდესლიგაში ჩვენს ასპარეზობას დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. ჩემპიონთა ლიგაში კი ნამდვილი ფურორი მოვახდინეთ - „რეალის“, „მანჩესტერ სიტისა“ და „აიაქსის“ კომპანიაში პირველი ადგილის დაკავება მართლაც იდეალური მიღწევაა. ასეთ წარმატებას ჩვენ თვითონაც არ ველოდით.

**- შარშან ამ დროს კრიშტიანო რონალდომ გვითხრა, მარიო გიოტცეს შესახებ არაფერი მსმენიაო...**

- ამაში გასაკვირი არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ პორტუგალიელმა ახლა უკვე იცის ჩემი არსებობის შესახებ. „რეალთან“ მატჩებში, საფინალო სასტვენის შემდეგ ჩემთან რამდენიმე მადრიდელი მოვიდა, მეუბნებოდა, კარგად ითამაშეო.

**- „რეალის“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ფიქრობს, რომ „დორტმუნდს“ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია...**

- ჩემპიონთა ლიგის მოგება მერვედფინალში გასულ ყველა გუნდს შეუძლია.

**- ანუ, ჟოზეს ეთანხმებით?**

- დიახ. უბრალოდ, მე ვფიქრობ, რომ ტოპ-ფავორიტები „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „რეალი“ და „ბაიერნი“ არიან.

**- გერმანიის ჩემპიონობაზე ხელი ჩაიქნიეთ?**

- ჯერ მხოლოდ ნახევარი სეზონი გავიდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ჩვენ არა „ვერცხლის სინზე“, არამედ თითოეულ მომდევნო ამოცანაზე ვფიქრობთ. გვინდა, რომ ბუნდესლიგაში მაქსიმალურად წინ ვიყოთ, გვინდა, რომ გერმანიის თასის ფინალში გავიდეთ. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა უკვე ძალიან კარგი შედეგია და იმედია, მეოთხედფინალშიც გავაღწევთ. ერთი სიტყვით, ყოველი მომდევნო მატჩის მოგებაზე ვფიქრობ - წაგება არ მიყვარს.

**- ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ თქვენი წყობიდან გამოყვანა შეუძლებელია.**

- ასე არ არის, ხანდახან კიდეც ვბრაზდები ხოლმე. მაგალითად, ტრავმის დროს სულ ცუდ ხასიათზე ვიყავი. ნერვები მეშლებოდა, როცა ექიმები ვერ მეუბნებოდნენ, როდის შევძლებდი მოედანზე გასვლას. ფეხბურთის თამაში ძალიან მენატრებოდა.

**- ეს თქვენი კარიერის ყველაზე რთული ფაზა იყო?**

- დიახ! მართალია, ევროპის ჩემპიონატზე თამაში მაინც შევძელი, მაგრამ კონტინენტის პირველობას ცუდ ფორმაში მყოფი შევხვდი.

**- ცოტა ხნის წინ მრჩეველ ფოლკერ შტრუთთან ერთად თქვენი კარიერის გეგმა შეადგინეთ. საინტერესოა, რა წერია ამ გეგმაში.**

- ტრავმები ნამდვილად არ წერია.

**- მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაზე ოცნებობთ?**

- რა თქმა უნდა! ამაზე ოცნების უფლება ნამდვილად მაქვს.

**- კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზეც არ გიფიქრიათ?**

- უცხოეთზე მხოლოდ შვებულებების წინ ვფიქრობ ხოლმე.






**„ვიცი, რომ პრივილეგირებული ცხოვრება მაქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. ფულისადმი მიდგომაც ჯანსაღი მაქვს - „ფერარის“ ან „ლამბორგინის“ არ ვყიდულობ...“**

ამბები

## კაჩარი: ჰამბურგიდან ჰანოვერში?

„ჰანოვერმა“ „ჰამბურგს“ **გოიკო კაჩარის** გადაბირების სურვილით მიმართა. ეს ინფორმაცია ორივე კლუბმა დაადასტურა. „ჰამბურგის“ სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** თქმით, გუნდებს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია და ახლა „ჰანოვერს“ თვითონ სერბი საყრდენი ნახევარმცველი უნდა მოურიგდეს. შეგახსენებთ, რომ კაჩარს, რომელიც „ჰამბურგში“ ბერლინის „ჰერტადან“ 2010 წელს, 5.5 მილიონ ევროდ გაიყიდა, ჩრდილოგერმანულ კლუბში ძალიან იშვიათად ათამაშებენ. „ჰამბურგი“ მისი გაყიდვით სწორედაც დაინტერესებულია, რადგან სერბის ხელფასი წელიწადში 2 მილიონი ევროა, რითაც ის „ჰამბურგის“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია.

## გლადბახმა თავდასხმა გააძლიერა

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ მეორე წრისთვის ახალი თავდამსხმელი გადაიბირა. 22 წლის **სვენ მიჩელი**, რომელიც რეგიონალლიგელ „შპორტფროინდე ზიგენში“ ასპარეზობდა, პირველი იანვრიდან **ლუსიენ ფავრის** შეგირდი გახდება. მიონხენგლადბახელებმა ყველასათვის უცნობ, მაგრამ როგორც ჩანს, პერსპექტიულ ფორვარდს 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

## ბაიერნი ბადშტუბერს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

რამდენიმე დღის წინ მიუნხენის „ბაიერნმა“ **თომას მიულერს** კონტრაქტი 2017 წლამდე გაუგრძელა, ახლა კი **ჰოლგერ ბადშტუბერის** რიგია. *„მიუხედავად იმისა, რომ ჰოლგერი ახლა ტრავმირებულია, ჩვენ მას ახალი ხელშეკრულების გაფორმება შევთავაზეთ,“* - განუცხადა „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „მიუნხენერ აბენდცაიტუნგს“. კალეს არ უთქვამს, რა ხანგრძლივობის კონტრაქტი შესთავაზა „ბაიერნმა“ ცენტრალურ მცველს, ის კი ფაქტია, რომ ბადშტუბერის ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა 2014 წლის ზაფხულში გასდის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



● საფრანგეთი. ლიგა 1. XIX ტურის წინ.

# ბრძოლა ზამთრის ჩემპიონობისთვის

| | |
|---|---|
| ბრესტი-პსჟ | 0:3 |
| **დღეს** | |
| ლილი-მონპელიე | 20:00 |
| აიაჩო-რენი | 23:00 |
| ლორიანი-რეიმსი | 23:00 |
| ბორდო-ტრუა | 23:00 |
| ლიონი-ნიცა | 23:00 |
| ბასტია-ნანსი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| ვალანსიენი-ევიანი | 17:00 |
| ტულუზი-სოშო | 20:00 |
| მარსელი-სტ. ეტიენი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 19 | 11 | 5 | 3 | 36-12 | 38 |
| 2. ლიონი | 18 | 10 | 5 | 3 | 30-17 | 35 |
| 3. მარსელი | 18 | 11 | 2 | 5 | 23-20 | 35 |
| 4. ლორიანი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-27 | 30 |
| 5. ნიცა | 18 | 7 | 8 | 3 | 26-23 | 29 |
| 6. რენი | 18 | 9 | 2 | 7 | 25-22 | 29 |
| 7. ბორდო | 18 | 6 | 10 | 2 | 21-14 | 28 |
| 8. სენტ ეტიენი | 18 | 7 | 6 | 5 | 24-13 | 27 |
| 9. მონპელიე | 18 | 7 | 5 | 6 | 28-20 | 26 |
| 10. ვალანსიენი | 18 | 7 | 5 | 6 | 29-23 | 26 |
| 11. ლილი | 18 | 6 | 8 | 4 | 20-17 | 26 |
| 12. ტულუზი | 18 | 6 | 5 | 7 | 23-20 | 23 |
| 13. ბრესტი | 19 | 6 | 3 | 10 | 20-28 | 21 |
| 14. აიაჩო | 18 | 5 | 6 | 7 | 19-25 | 19 |
| 15. ევიანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-30 | 19 |
| 16. ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 22-39 | 19 |
| 17. რეიმსი | 18 | 4 | 6 | 8 | 14-18 | 18 |
| 18. სოშო | 18 | 4 | 4 | 10 | 17-27 | 16 |
| 19. ტრუა | 18 | 2 | 6 | 10 | 20-37 | 12 |
| 20. ნანსი | 18 | 1 | 8 | 9 | 13-29 | 11 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 18 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 10 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 7 – ბენ ბასატი (ბრესტი ), გუფრანი (ბორდო), მოდესტი (ბასტია), ალიადიერი (ლორიანი).



**საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი წრე სრულდება და „ლიგა 1" 11 იანვრამდე დაგვემშვიდობება. პირველობის სამი ლიდერიდან ერთმა, "პარი სენ ჟერმენმა" მე-19 ტურის მატჩი გუშინ ბრესტში ჩაატარა, "ოლიმპიკები" კი შაბათკვირას ითამაშებენ. ეს სამი გუნდი ე.წ. "შემოდგომის ჩემპიონის" ტიტულისთვის იბრძვის...**

## რეკორდმაისტერები

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი, ტრადიციულად ბოლოს გაიმართება. "ველოდრომზე" სტუმრად "სენტ ეტიენი" ჩადის, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ ცუდ ფორმაშია – "მწვანეებს" ბოლო ოთხი მატჩია, გოლი არ გაუტანიათ და შესაბამისად, ამ პერიოდში არც მოუგიათ. **კრისტოფ გალტიეს** გუნდის მშრალი სერია უკვე 377 წუთია, გრძელდება – ბოლო გოლი "სენტ ეტიენის" ფეხბურთელებმა 23 ნოემბერს, "ვალანსიენს" გაუტანეს. თუმცა არის მეორე სერიაც, რომელიც აშკარად საამაყოა. კერძოდ, "სენტ ეტიენს" სტუმრად უკვე 7 მატჩია არ წაუგია – ბოლოს "მწვანეები" გასვლაზე 18 აგვისტოს "ტულუზთან", მეორე ტურში დამარცხდნენ, შესაბამისად მიხვდებოდით, რომ სტუმრად ეს მარცხი გუნდისთვის ამ სეზონში ერთადერთი იყო.

დადებითი განწყობაა "მარსელის" ბანაკში – **ელი ბოპის** გუნდმა ბოლო ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და ჩემპიონატის თანალიდერია, თუმცა მეტოქის არ იყოს, საპირისპირო ხასიათის სერია "ოლიმპიკსაც" აქვს: "მარსელმა" შინ ბოლო ორი მატჩი წააგო, თანაც ორივე დიდი ანგარიშით ("ლიონთან" 1:4 და "ლორიანთან" 0:3).

"რეკორდმაისტერების" ("სენტ ეტიენი" 10-გზის ჩემპიონია, "მარსელი" კი 9-გზის) ბოლო ორი თამაში უგოლოდ დასრულდა, უფრო შორს თუ წავალთ, აღმოვაჩენთ, რომ "სენტ ეტიენს" "მარსელთან" უკვე 9 თამაშია, არ მოუგია (3 ფრე და 6 წაგება) და ბოლოს "ოლიმპიკს" 2007 წელს, საკუთარ მოედანზე სძლია.

"ველოდრომზე" სულ 47 თამაში შედგა, რომელთაგანაც 33 მასპინძელმა მოიგო, 6 ფრედ დასრულდა, 8 შემთხვევაში კი სამი ქულა სენტ ეტიენში გაემგზავრა. უკანასკნელად ასეთი რამ 32 წლის წინ, 1980 წელს მოხდა, როდესაც "მწვანეებმა" მარსელში 5:3 მოიგეს, იმის მერე გამართული 19 შეხვედრიდან 16 "ოლიმპიკმა" მოიგო, 3 კი ფრედ დასრულდა.

## კლოდ პუელი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

არანაკლებ საინტერესო მატჩი "სტად ჟერლანზე" შედგება, სადაც "ლიონთან" სათამაშოდ შესანიშნავ ფორმაში მყოფი "ნიცა" ჩადის, რომელსაც სათავეში "ლიონის" ყოფილი მწვრთნელი **კლოდ პუელი** უდგას. ზღვისპირელებმა ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყეს, მაგრამ ბოლო პერიოდში შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ. "ნიცას" უკვე ცხრა თამაშია, არ წაუგია და ამ პერიოდში 23 ქულა დააგროვა (7 მოგება და 2 ფრე). ბრწყინვალე ფორმაშია არგენტინელი **დარიო ცვიტანიჩი,** რომელიც "ბოკა ხუნიორსიდან" საფრანგეთში სეზონის დაწყების წინ გადავიდა. 28 წლის ფორვარდმა უკვე 10 გოლი გაიტანა, აქედან შვიდი, უკანასკნელ შვიდ შეხვედრაში.

"ლიონმა" წინა ტურში "პარი სენ ჟერმენთან" წააგო, მანამდე კი აუტსაიდერ "ნანსის" ვერ მოუგო და ერთპიროვნული ლიდერობა დათმო. **რემი გარდს** მხოლოდ **კლემან გრენიეს** გამოყენება არ შეუძლია, სხვა მხრივ ყველა ლიდერი მწყობრშია, ასე რომ, საკმაოდ საინტერესო მატჩის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

## ჩემპიონი VS ექსჩემპიონი

ლილში ერთმანეთს საფრანგეთის ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული შეხვდება. ორივე გუნდს 26 ქულა აქვს და მე-9-11 ადგილებს იყოფს, მაგრამ თუ მოქმედი ჩემპიონი აღმავლობის გზაზეა, რაზეც ზედიზედ სამი მოგებული მატჩი მოწმობს, ექსჩემპიონს აშკარად ჩავარდნა აქვს. "ლილს" ამ შეხვედრაში **ტულიო დე მელო** და **ფრანკ ბერია** ვერ დაეხმარებიან, "მონპელიეს" კი **სირილ ჟონშამი** ჰყავს დისკვალიფიცირებული, გარდა ამისა საეჭვოა **მარკო ესტრადას** და **გარი ბოკალის** თამაში.

## წარმატებული და წარუმატებელი სერიები

შესანიშნავ ფორმაში მყოფი "ლორიანი" (ზედიზედ 4 მოგება), საკუთარ მოედანზე "რეიმსს" შეხვდება, რომელსაც აგერ უკვე 10 თამაშია არ მოუგია. **კრისტიან გურკუფის** შეგირდები, გამარჯვების შემთხვევაში, პირველ წრეს მეოთხე ადგილზე დაასრულებენ, რაც ამ ეტაპის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია იქნება.

"ბორდო", რომელსაც ხუთი ტურია არ მოუგია, "ტრუას" ეთამაშება და ვალდებულია წარუმატებელი სერია დაასრულოს. წინა ტურში ჟირონდელები ბოლო ადგილზე მყოფ "ნანსის" შეხვდნენ და შინ მხოლოდ ერთი ქულა წამოიღეს, მათი ამჟამინდელი მეტოქე კი მე-19 ადგილზეა და სტუმრად მხოლოდ ერთი ქულა აქვს აღებული.

"ნანსი" ვახსენეთ და სადაც სერიებზე ვსაუბროთ, ამ გუნდის გარეშე არაფერი გამოვა – ლიგა 1-ის აუტსაიდერმა ბოლო 6 მატჩი ფრედ დაასრულა, მათ შორის ბოლო 5 ერთნაირი ანგარიშით, 1:1! გარდა ამისა, **ჟან ფერნანდესის** გუნდს 17 მატჩია (!) არ მოუგია (ერთადერთი გამარჯვება პირველ ტურში მოიპოვა). ამ ტურში "ნანსი" კორსიკაზე "ბასტიას" ეთამაშება და წლის კარგ განწყობაზე დასრულებას ეცდება, თუმცა ამდენი უილბლო სერიის ერთიანად დამთავრება ძალიან გაუჭირდება, რადგან "ბასტია" შინ, ტრადიციულად, კარგად თამაშობს.

**ტატო ბაციკაძე**

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ელვა.ჯი პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო www.elva.ge
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ქართული სპორტი

● წყალბურთი




# ცხრილის ბოლოში წინსვლის შანსით

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებულმა "ლიგამუსი-თბილისმა", როგორც გაუწყეთ, ჩემპიონთა ლიგის **A ჯგუფში** ხუთი მატჩი გამართა და ყველა შეხვედრა დათმო. ბოლო ორთაბრძოლა საბერძნეთის სამგზის ჩემპიონ და ოთხგზის თასის მფლობელ "ვულიაგმენთან" წააგო სტუმრად - 2:16 (**"ვულიაგმენი":** ცალკანისი, მულონაკისი(3), ლოუზიდისი, კომადინა, ელმისიანი, ველონიასი, აფროდაკისი (1), კარუნცოსი (1), ვლაჩოპულოსი (2), გუნასი (5), ტიკასი (2), ვულგარაკისი (2), პროტონოტარიოსი; **"ლიგამუსი-თბილისი": ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, რუსიშვილი, ლაითაძე, ურუშაძე, ხვედელიანი, ბალათურია** (1), **რურუა** (1), **გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი, ქავთარაძე, კაპანაძე**), რის შემდეგაც **რევაზ ჩომახიძის** შეგირდები ისევ გათამაშების ცხრილის ბოლოში დარჩნენ, თუმცა ჩვენს წყალბურთელებს რეალური შანსი აქვთ, 2013 წლის 9 იანვარს შინ გერმანიის "ვასპო-98"-თან პირველ წრეში მარცხისთვის რევანში აიღონ და ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლონ. იმავე დღეს ჯგუფის ლიდერი "ვულიაგმენი" უნგრეთის "ეგერს" ეწვევა, ვოლგოგრადის "სპარტაკი" კი ჰოლანდიის "შუურმანს" უმასპინძლებს.

დღეისთვის **A ჯგუფში** ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: "ვულიაგმენი"-18 (83:29), "სპარტაკი"-15 (69:37), "ეგერი"-9 (61:36), "ვასპო-98"-3 (27:69), "ლიგამუსი-თბილისი"-0 ქულა (30:66).

აქვე გაგაცნობთ დანარჩენ ჯგუფებში მეექვსე ტურის შედეგებსა და სატურნირო მდგომარეობას:

**B ჯგუფი.** "ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი)-"დუბროვნიკი" (ხორვატია) 2:9, "კრეუზლინგენი" (შვეიცარია)-"მონპელიე" (საფრანგეთი) 6:14.

„დუბროვნიკი" - 15 (72:25), "ოლიმპიაკოსი" - 9 (45:39), "ცრვენა ზვეზდა" - 6 (50:34), "მონპელიე" - 6 (46:49), კრეუზლინგენი" - 0 (33:99).

9 იანვარი. "დუბროვნიკი"-"მონპელიე", "ცრვენა ზვეზდა"-"ოლიმპიაკოსი".

**C ჯგუფი.** "ბრეშა" (იტალია)-"სინთეზი" (ყაზანი) 16:12, "ვოივოდინა" (ნოვი სადი)-"მარსელი" (საფრანგეთი) 10:9.

"ბარსელონიტა" - 12 (41:20), "სინთეზი" - 6 (50:48), "ვოივოდინა" - 6 (40:53), "მარსელი" 9 (43:52), "ბრეშა" - (45:46).

9 იანვარი. "სინთეზი"-"მარსელი", "ბარსელონიტა"-"ბრეშა".

**D ჯგუფი.** "ბეტონი" (უნგრეთი)-"გალათასარაი" (თურქეთი) 11:8, "ორადეა" (რუმინეთი)-"შპანდაუ-04" (ბერლინი) 11:7.

„ბეტონი" - 15 (47:33), „პარტიზანი" - 7 (33:30), „ორადეა" - 6 (51:52), „გალათასარაი" - 4 (35:40), „შპანდაუ-04" - 3 (44:55).

9 იანვარი. „გალათასარაი"-„ორადეა", „პარტიზანი"-„ბეტონი".

შეგახსენებთ, რომ მერვედფინალში თითოეული ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო გუნდი გავა.

**ვაჟა დანელია**

● ფალავნობა

# მეოთხედ იფალავნა

ამირანის მითიურ ეპოსში ასახული ქართული ეროვნული ჭიდაობა ჩვენი ხალხის სპორტული შემოქმედების ძირძველი ნაყოფია. სხვათა შორის წარსულში საქართველოში ჭიდაობას, ლელოს, ისინდს და სხვა ხალხურ სპორტს „სავაჟკაცო საქმენს" ეძახდნენ. ინგლისური სიტყვა — „სპორტის" მცნება მხოლოდ XIX საუკუნეში შემოვიდა ჩვენს სინამდვილეში.

ქართულ ჭიდაობაში გამორჩეული ფენომენი — ფალავნობაა (აბსოლუტური ჩემპიონატი). სანამ ფალავნის გამოსავლენად გამიზნულ შეჯიბრებებს შემოიღებდნენ მანამდე ხალხი თვითონ ასახელებდა სოფლის თუ ქვეყნის ფალავანს და მათ განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ...

„მუშა უნდა მუშაობდეს, ქარავანი ქარავნობდეს, შენისთანა კარგი ბიჭი ხალხში უნდა ფალავნობდეს". — მსგავსი ეპითეტებით უხვად ამკობდნენ წარჩინებულ მორკინალებს.

რაც ფალავნობისთვის სპეციალური შეჯიბრებები დაიწყო, 2012 წლის ფალავნობა ჩვენი გამოკვლევით სამოცდამეხუთეა. აწ უკვე განვლილ ამ პირველობებზე სულ 37-მა მოჭიდავემ იფალავნა (ზოგიერთმა მრავალგზის). ოცდამეერთე საუკუნეში კი წლევანდელი ტურნირი — მეოცეა. 2012 წლის ფალავნობაზე ორ ქვეჯგუფში 12-12 ანუ 24 მოჭიდავე ასპარეზობდა. დილომში ერთობ თვალსასეირო ბრძოლები ჩატარდა. მოქმედი ფალავანი **ადამ ოქრუაშვილი** მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან დამაჯერებლად იფალავნა და ზედიზედ მეოთხედ გახდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მეორე ჯგუფიდან ფინალში ძიუდოში ევროპის ჩემპიონი **ვარლამ ლიპარტელიანი** გავიდა, რომელმაც ნახევარფინალშია საგარეჯოელ **დიმიტრი ტურაშვილს** სძლია. ფინალამდე ოქრუაშვილმა საჩხერელი **ონისე ბულაძე** დაამარცხა. ქებას იმსახურებს ეს ახალგაზრდა საჩხერელი, რომელმაც მესამე ადგილისათვის პაექრობაში აჯობა გამოცდილ დიმიტრი ტურაშვილს. როგორც ჩანს, საჩხერეში სერიოზულად მუშაობენ ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ალმავლობისთვის.

ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, 5:0 გაიმარჯვა ადამ ოქრუაშვილმა. მისი მეტოქე ვარლამ ლიპარტელიანი ხომ მთელი 30 კგ-ით მჩატეა მასზე. ოთხგზის ფალავანს ადამ ოქრუაშვილს 5000 ლარი გადაეცა, მეორე ადგილის მფლობელს ვარლამ ლიპარტელიანს - 3000, ბრინჯაოს მედლის მფლობელს ონისე ბულაძეს - 2000.

საქართველოს ფალავნობაზე 24 მონაწილეს შორის იყო ერთი უცხოელი, უკრაინელი **ალექსანდრ მიშენკო,** რომელიც ფალავნობაზე ზაპოროჟიედან თბილისში უკრაინის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **რევაზ შიშინაშვილმა** ჩამოიყვანა (ფედერაცია უკრაინაში 2012 წლის 19 მაისს შეიქმნა). ბატონმა რეზომ უკრაინიდან ჩამოიტანა აგრეთვე მუხის ხის ნერგი, რომელსაც ის დილომში საჭიდაო კომპლექსის ეზოში დარგავს... ალექსანდრ მიშენკოს მწვრთნელი უკრაინაში ახმეტელი **ნუგზარ მესაბლიშვილია,** რომელიც ძიუდოში ვეტერანთა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია.



ადამ ოქრუაშვილი

ტრადიციისამებრ საქართველოს ფალავანს ცოცხალი პრიზი, ჭედილაც გადაეცა.

ქართული ჭიდაობის სპეციალისტთა აზრით, წლევანდელი ფალავნობა საკმაოდ დადებითად უნდა შეფასდეს. იყვნენ ტიტულოვანი ფალავნები, იყო მწვავე ბრძოლები კონფლიქტების გარეშე, ბლომად ქომაგი, კარგი პრიზები და ბოლოს მადლიანი ქართული ვაზის ნაჟურით, ქართული კულტურისა და ისტორიის ნაწილის, ეროვნული ჭიდაობის და ფალავნების დალოცვა.

**საქართველო. ფალავნობა 2012 წ.**

1. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი)
2. ვარლამ ლიპარტელიანი (აჭარა)
3. ონისე ბულაძე (საჩხერე)

**გაბრიელ ბარჯაძე**

ლევან შიშინაშვილის ფოტო

● კოლეგა




# მოუღალავი...

ელგუჯა ბერიშვილის მსგავსი ენერგიული კაცი ალბათ ბევრი არ შემხვედრია ცხოვრებაში. ერთი საქმისგან (დიდი საქმისგან) ჯერ არა აქვს კმაყოფილება-უკმაყოფილების გრძნობა განელებული, ჯერ არ მოუსწრია „განცხრომა", რომ უკვე მეორე საქმეს (არანაკლებ დიდ საქმეს) ეჭიდება, ხშირად ორს ერთად, როგორც ამჟამად მოუნია.

მისთანა იღბლიანიც ბევრი არ მინახავს. რაც გააკეთა, ერთმანეთზე უკეთესი, რასაც შეეჭიდა, ვაჟკაცურად გააკრა ბეჭებზე და ჩვენი, სპორტული ჟურნალისტებისა თუ სპორტსმენების, სამაგიდო წიგნებად აქცია. თუმცა, მართალი რომ გითხრათ, „სპორტის ენციკლოპედია" რომ დავდო ჩემს, ნორმალური ზომა-წონის საწერ მაგიდაზე, ერთ-ორ გაზეთს თუ შემოუწყობ გარშემო, თორემ სხვას ვერაფერს დაატევ. არადა, მე შენ გეტყვი და, არ დაგჭირდება გინდაც სპორტულ ჟურნალისტსა და გინდაც სპორტის მოხელეს თითქმის ყოველდღიურად.

და ბოლოს, გუჯა ბერიშვილი ძალიან ნიჭიერი კაცია, რადგან ნაკლებნიჭიერი ადამიანი ამხელა საქმეებს თავს ვერ მოაბამდა, მაღალნიჭიერად ვერ დაწერდა და მაღალნიჭიერ ხალხს ვერ შემოიკრებდა. მეეჭვება, ვინმემ მასავით შეძლოს საერთო საქმის ასე გულიანად გაკეთება.

თუ ეჭვი გეპარებათ, ჩამოვთვლი მის მიერ შექმნილ ნალვაწს: დიდი სპორტული ჟურნალისტისა და ბრწყინვალე პიროვნების, ნოდარ გუგუშვილის დაწყებული საქმის დამთავრება და მისი წიგნად გამოცემა – „ოლიმპიური ენციკლოპედია"; მერე იყო უზარმაზარი, 700-გვერდიანი „სპორტის ენციკლოპედია", რომელიც შეიცავს 2500-მდე სტატიას, 500-მდე ცხრილს და 4000-მდე ფოტოს; 265-გვერდიანი „ქართული სპორტის ფოტოისტორია"; „ქართული სპორტის ოქროს წიგნი" (სავარაუდო სახელწოდება), რომელიც დღე-დღეზე გაიგზავნება სტამბაში დასაბეჭდად. ამას დაუმატეთ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ყოველწლიური შედეგების შემაჯამებელი ჟურნალები და თავად მიხვდებით, რა ზღვა სამუშაოს ასრულებს, რა თქმა უნდა, ჩვენი, მისი მეგობრების დახმარებით.

სულ თავიდან კი XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენი რეფერენდუმი იყო, რომელიც ოთხმა კაცმა წამოიწყო და ათჯერ ოთხმა დაამთავრა, ოღონდ ყველა გალექტილი რამ შეგვყარა ასე ერთად, ეს მართლაც საინტერესოა! თუმცა რა გასაკვირია, ეს ხომ ამ ორი საუკუნის – XX და XXI საუკუნეების გასაყარზე ხდებოდა, როცა ჩვენი სახელმწიფო ჯერ არ იყო შემდგარი და ხალხის დასაქმებას ვინღა ჩიოდა.

წერილს ვამთავრებ და გუჯას პიროვნულ თვისებებზე არაფერს ვამბობ. და ეს ზედმეტადაც მეჩვენება, რადგან ათი წლის წინათ დაწერილ ჩემივე ტექსტს ხომ არ გავიმეორებ. ამ ათ წელიწადში კი უფრო გაღრმავდა ჩვენი მეგობრობა, საერთო საქმემ უფრო შეგვაკავშირა, ჩვენ შევბერდით, მაგრამ გუჯა ისევ ისეთია, თითქოს წლები არც მომატებია, ისეთივე ენერგიულია, ისევ ყელამდე საქმეშია ჩაფლული. ეგ არის, დღეს მას 60 წელი შეუსრულდა, თუმცა ნამდვილად არ ეტყობა.

მეც ისღა დამრჩენია, კოლეგების სახელით მივულოცო მას ეს იუბილე და ასეთივე მხნეობა ვუსურვო მომდევნო ათწლეულებშიც...

P.S. 20 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, ოლიმპიური კომიტეტის ახლარჩეულმა პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** პირველ ვიცე-პრეზიდენტად ელგუჯა ბერიშვილი დაასახელა. გულით ვულოცავთ მეგობარსა და კოლეგას!

**დავით ჭელიძე**

**მილოცვა**

"ლელოს" რედაქცია დაბადების 60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე გაზეთის ყოფილ თანამშრომელს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **ელგუჯა ბერიშვილს.**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა

# არენამ ამჯერად ბერძენ-რომაელებს უხმო

## ფერსელიძეს დისკვალიფიკაცია მოეხსნა

ამ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში" ბერძენ-რომაელები საქართველოს ჩემპიონატს ატარებენ. ეს ტურნირი იქით კვირაში უნდა გამართულიყო, თუმცა რამდენიმე დღით გადმოსწიეს.

როგორც „თავისუფალთა" ანალოგიურ შეჯიბრებაში, აქაც ყველა წამყვანი ფალავანი გამოვა. ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ბეგი დარჩიას** თქმით, ჩემპიონატს ტრავმების გამო მხოლოდ მძიმეწონოსანი **გურამ ფერსელიძე** და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) გამოტოვებენ.

საბედნიეროდ, ფერსელიძის დისკვალიფიკაციის ამბავი „ჰეფი ენდით" დასრულდა. შეგახსენებთ, რომ მას საერთაშორისო ფედერაციამ 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცა, ჩვენი ფედერაცია კი 12 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. მიზეზი ორი პასპორტი იყო ანუ, როცა სპორტსმენმა გადაკეთებული პირადობა გამოცვალა და ნამდვილით დაიწყო ჭიდაობა, მონაცემთა ბაზაში მის სახელზე ორი პასპორტი აღმოჩნდა. ამის საფუძველზე დაჯარიმება იმთავითვე აბსურდული ჩანდა - ისე გამოვიდა, კაცი სამართლიანობის აღდგენისთვის დაისაჯა. როგორც დარჩიამ გვითხრა, სათანადო წერილობითი განმარტების შემდეგ პრობლემა ამოიწურა - ფერსელიძეს დისკვალიფიკაცია მოეხსნა, ფედერაციას - ჯარიმა, თუმცა თავად სპორტსმენი დაშავდა და ქვეყნის პირველობას გამოაკლდა. დარჩიას თქმით, ტრავმა არაა სერიოზული ანუ ხელვაჩაურელ ფალავანს დიდი დრო არ გაუცდება. მთავარი ისაა, რომ ფერსელიძეს მარტში თბილისში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატში ჭიდაობა შეუძლია, ღმერთმა დაიფაროს და ისევ ტრავმა თუ არ შეუშლის ხელს.

რაც შეეხება გეგეშიძეს, მას ფეხის ძველი ტრავმა აწუხებს. დარჩიას თქმით, ამ დუეტის გარდა საქართველოს ჩემპიონატში უკლებლივ ყველა წამყვანი ფალავანი გამოვა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **რევაზ ლაშხისა** (60) და ბრინჯაოს მედალოსან **მანუჩარ ცხადაიას** (66) ჩათვლით, ოღონდ ეს უკანასკნელი ამჯერად 74-ში იჭიდავებს. მას ზედა წონაში გადასვლა აქამდეც სურდა და შინ თუ გარეთ ხშირად უჭიდავია იქ, წლეულს 74-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონიც გახდა, თუმცა ოლიმპიადამდე წონის ოფიციალურად შეცვლა, მიზეზთა გამო, ვერ მოახერხა, ახლა კი საბოლოოდ გადაწყვიტა იქ გადასვლა. არადა, ჩემპიონატში ამ წონის ბოლოდროინდელი ლიდერი, ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე **ზურაბ დათუნაშვილიც** გამოდის, მისი და ცხადაიას პაექრობა კი, უდავოდ, საინტერესო იქნება. შეგახსენებთ, რომ ისინი შარშან საქართველოს პირველობის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ცხადაიამ ძირითადად გამოცდილების ხარჯზე საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო კონკურენტს. ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად.

ქვეყნის პირველობაში გამოვა ლონდონის ოლიმპიადის კიდევ ერთი მონაწილე, ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი სოსო ჯაბიძე (96), უკლებლად იქნებიან ახალგაზრდულ ასაკში თავგამოჩენილი ფალავნებიც, მძიმე წონაში კი ისევ ვიხილავთ ქუთაისელი ძმების, 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონ **შოთა გოგისვანიძისა** და **სერგო გოგისვანიძის** პაექრობას.

დღეს „არენაში" 55, 66, 84 და 120-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ იასპარეზებენ. შეხვედრები 12 საათზე დაიწყება,

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

## გიორგი შხვაცაბაია

„ორი ათასი წლის შემდეგ ეს იქნება პირველი ხელოვნების ნიმუში, შექმნილი დიდი მოქანდაკის მიერ, რომელიც ძველბერძენთა უკვდავ ნამუშევრებთან ერთად საუკუნეებს გაუძლებს" — ეს სიტყვები წარმოსთქვა ცნობილმა ბერძენმა არქიტექტორმა იოვანის სეფერდისიმ ქართველი მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას ნამუშევრის „მშვიდობის ჩირალდანის" შეფასებისას.



ვაჟა დანელიას ფოტო

თავად ბატონმა გიორგიმ კი, რომელიც დღეს „ლელოს" სტუმარია, გვითხრა:

- ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბრინჯაოს ეს ოთხმეტრიანი (!) ფრთოსანი ქალის ქანდაკება, რომელიც კაცობრიობას მოუხმობს მშვიდობისკენ, აღმართულია ძველი ოლიმპიის ცენტრალურ მოედანზე, სულ ახლოს იმ წმიდათაწმიდა ადგილიდან, სადაც უკვდავი პრაქსიტელეს „ჰერმესი" დგას.

ეს იყო ჩემი გულწრფელი სიყვარულის გამოხატვა ბერძნული ცივილიზაციისა და ქანდაკების მიმართ".

დიდი ხელოვნებისკენ ყველა თავისი გზით მიდის, ზოგისთვის ეს გზა

# უნივერსალიზმის მეხოტბე

**„ჯიუტად ხელოვნება ავირჩიე, — ამბობს ბატონი გიორგი, — დაბადებული ვარ 15 აპრილს. 15 აპრილი ლეონარდო და ვინჩის დაბადების დღეა და რატომღაც სულ ვავლებდი პარალელს. ბავშვობიდან კერპად გავიხადე ეს დიდი ხელოვანი.**

სხვისი სურვილით გაკეთებული არჩევანია, ზოგისთვის - საკუთარი ნებით.

გიორგი შხვაცაბაიას ოჯახი და ნათესავები დარწმუნებულები იყვნენ, რომ 1960-იან წლებში, როგორც მაშინ მოდაში იყო, გოგი ან სამედიცინოზე, ან საინჟინროზე გააგრძელებდა სწავლას, მაგრამ...

„ჯიუტად ხელოვნება ავირჩიე, — ამბობს ბატონი გიორგი, — დაბადებული ვარ 15 აპრილს. 15 აპრილი ლეონარდო და ვინჩის დაბადების დღეა და რატომღაც სულ ვავლებდი პარალელს. ბავშვობიდან კერპად გავიხადე ეს დიდი ხელოვანი. მუდამ იმის შეგრძნება მქონდა, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება უნდა მომესწრო, ოღონდ უნივერსალიზმის გზით.

**— რას გულისხმობდით უნივერსალიზმში...**

— ზუსტი მეცნიერებების დაუფლებას. კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით ძლიერი ვიყავი მათემატიკასა და ფიზიკაში. ლენინგრადში ოლიმპიადაც მოვიგე ფიზიკაში, თუმცა სკოლიდან ოქროს მედალი ვერ გამოვიტანე. მერვე კლასში კონსტიტუციაში მიღებულმა ოთხიანმა „დამწვა".



**— იზრდებოდით მეცნიერთა წრეში. ამავე დროს მამათქვენი, აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია თავის დროზე ცნობილი მძლეოსანი, საერთოდ უნივერსალური სპორტსმენი იყო, რა გავლენა მოახდინა თქვენზე მამის სპორტულმა წარსულმა:**

— უპირველესად გეტყვით, რომ გამაამაყა. მამა იყო ქართველთაგან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში. უცნაური დამთხვევაა; იმ დღეს, როცა მამა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი გახდა, ეს კი 1929 წელს იყო, დაიბადა გივი კარტოზია, რომელიც შემდეგ მსოფლიოს პირველ ჩემპიონად მოევლინა საქართველოს და არა მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, არამედ საერთოდ ქართულ სპორტში.

**— პირადად თუ იყავით გატაცებული სპორტით?**

— როგორ არა, ვთამაშობდი ფეხბურთს. გამოვდიოდი მძლეოსნობაში, ძირითადად ხტომებში. ერთხელ ფეხბურთში სამხატვრო აკადემიის გუნდი, რომლის წევრი მეც ვიყავი, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის მესამე პრიზიორი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შემდეგ. მახსოვს, თსუ-ს ბიჭებს, რომლებსაც თვით ცნობილი გრიგოლ პაგუა წვრთნიდა, 2 გოლი მე გავუტანე.

**— არც სამედიცინო, არც საინჟინრო, არამედ სამხატვრო აკადემია, როგორ...**

— ბავშვობაში რვა წელიწადი თბილისის პიონერთა სასახლეში პედაგოგების ზაქრო კრანაშვილისა და გრიგოლ მესხის ხელმძღვანელობით ვეუფლებოდი ფერწერას. აკადემიაში ჩაბარება ნამდვილად არ გამჭირვებია.

**— დიდი ხანია, თქვენ გიცნობენ, როგორც ქართული სპორტის თავგამოდებულ ქომაგს და თანამემამულე ათლეტთა თაობების დიდ მეგობარს, ხელოვანს. როდის გაჩნდა სპორტი თქვენს შემოქმედებაში?**

— სტუდენტობისას, როცა ძალზე დინამიკური ნამუშევარი „ლელო" შეიქმნა. ისე, სპორტის თემა სულ მანვალებდა, დღესაც ჯიბით დამაქვს მამის სპორტული ასპარეზობის ფოტოები. სხვათა შორის, მამას „შავ ავაზას" ეძახდნენ სპორტსმენობისას. გივი ჩოხელმა რომ გაიგო, ამ ამბავს ყველას ეუბნებოდა. მიხეილ მესხს ისე მოწონებია, „ავაზა" დაარქვა თავის მიერ დაარსებულ ბავშვთა საფეხბურთო სპორტულ სკოლას.

**— მერე რა იყო...**

— მოგეხსენებათ 1960-80-იან წლებში ქართული სპორტი ალმავლობას ვანიცდიდა. განსაკუთრებით გვახარებდნენ ფეხბურთელები და მეც ვქმნიდი მათ პორტრეტებს. ასე გაჩნდა გრაფიკული ნამუშევრები: ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, მიშა მესხი, სხვები და სხვები. უნივერსალიზმის მიმდევარი ვარ შემოქმედებაშიც.

**— სიტყვამ მოიტანა და გკითხავთ: თქვენ მიშა მესხის ქანდაკებაზეც მუშაობდით, დაამთავრეთ?**

— მზადაა ბრინჯაოში ჩამოსასხმელად. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას ველოდები. დასადგენია მესხის სტადიონის შესასვლელის საბოლოო არქიტექტურული სახე, შემდეგ კი საერთო ხედს მიებმება ბიუსტის განთავსების ადგილი.

**— თქვენი მოთხოვნა რა არის?**

— მე მინდა, რომ მიშა მესხის ბიუსტი იქცეს ქალაქის ორგანულ ნაწილად და თვალმისაწვდომი არ უნდა იყოს მხოლოდ სტადიონის ტერიტორიაზე შესულთათვის, მოკლედ, არ უნდა „მიიჩქმალოს".

**— ალექსანდრე მეტრეველის ფიგურა, რომელიც თქვენ ამ დიდი ჩოგბურთელის ზენიტში ყოფნის წლებში შექმენით, დღეს მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეას ამშვენებს. როგორ მოხვდა ქანდაკება ამ გალერეაში?**

— 1970-იან წლებში ეს ნამუშევარი მოსკოვში მქონდა წარმოდგენილი ეგრეთ წოდებულ „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე". ალექსანდრე მეტრეველი იმდენად პოპულარული იყო, ბიუსტი უკან აღარ გამოგვატანეს — ტრეტიაკოვის გალერეამ შეიძინა და იქ რჩება დღემდე.

**— თქვენი შემოქმედების შთაგონების წყარო ქართველი ფალავნებიც იყვნენ...**

— დიდ პატივს ვცემდი გივი კარტოზიას, ის იყო უნიკალური პიროვნება და შევეცადე, ასეთად — ფიზიკურად და სულიერად ამაღლებული გამომესახა ბიუსტში. ბრინჯაოს ეს ნამუშევარი თბილისის სპორტის სასახლესთან დგას, მას შემდეგ, რაც ამ შესანიშნავ სპორტულ ნაგებობას გივი კარტოზიას სახელი ეწოდა. შექმნილი მაქვს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ხალხის საყვარელი ფალავნის, გურამ საღარაძის პორტრეტი.



ბადრი კეთილაძის ფოტო

**— დავუბრუნდეთ ოლიმპიაში აღმართულ თქვენ მიერ შექმნილ ქანდაკებას. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, იქ, სადაც ოლიმპიზმის აკვანი დაირწა, პირველად დაიდგა ახალი ქანდაკება, როგორ?**

— 1987 წელს საბერძნეთში, კერძოდ, ანტიკურ ოლიმპიაში შეიკრიბა საბჭოეთიდან მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია. ქალაქის მერი გვმასპინძლობდა — ვეტერანი ოლიმპიელი და ოლიმპიზმის ისტორიის უბადლო მცოდნე — სპიროს ფოტინოსი. ფოტო ვაჩვენე, მოიწონა. მერე საქართველოში 1989 წელს შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ეს ძეგლი ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საჩუქრად გადასცა ქაქაქ ოლიმპიას. დიდი ზეიმი შედგა მაშინ. და დღეს ამაყად დგას ჩვენი საჩუქარი ოლიმპიზმის სამშობლოში. გეტყვით, რომ ძეგლი იქ 1992 წელს გაიხსნა, ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიაში ცეცხლის ანთების დროს. ოლიმპიურმა ჩირალდანმა მაშინ მოგზაურობა სწორედ ამ ძეგლის არეალიდან დაიწყო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

● ჭადრაკი



## ლიდერობა შეინარჩუნა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის შეჯიბრებაში გუშინ მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი დავით ლომსაძე თეთრი ფიგურებით გიგა ყუფარაძეს დაუზავდა და 6 ქულით მეწინავეობა შეინარჩუნა, რადგან დავით ბენიძემ, რომელსაც 5 ქულა ჰქონდა და ლომსაძის უახლოესი კონკურენტი იყო, ასევე, ქულა გაიყო შოთა აზალაძესთან. ლიდერთა ჯგუფიდან მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ბაჩანა მორჩიაშვილი და გიორგი ნიკოლიშვილიც. დანარჩენი სამი შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა: გაიოზ ნიგალიძე — ზურაბ ჯავახაძე 1:0, გიორგი სიბაშვილი — დავით ჯოჯუა 0:1, ნინო ხომერიკი — მალხაზ სულაშვილი 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: ლომსაძე — 6, ნიგალიძე, ბენიძე — 5,5-5,5, სულაშვილი, ჯოჯუა, ყუფარაძე, აზალაძე — 5-5, შვიდ მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს.

მე-8 ტურში ითამაშებენ: ნიგალიძე — ლომსაძე, ბენიძე — ჯოჯუა, სულაშვილი — ყუფარაძე, ჯავახაძე — აზალაძე.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება და უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურის მფლობელის ვინაობაც გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

## მდგომარეობა გაიუმჯობესა

ქართველმა ფიდეს ოსტატმა **ლილე ცალუღელაშვილმა**, რომელიც მოჭადრაკეთა პადოვას (იტალია) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, გუშინ მასპინძელი შტეფანო ოვიაჯი დაამარცხა და 3,5 ქულით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

გათამაშების ცხრილის სათავეშია რუსი ვლადიმირ ბურმაკონი, რომელმაც მე-6 ტურში მარკო გოდენოტის (იტალია) აჯობა და 5,5 ქულას მოუყარა თავი. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან მასპინძელი რობერტო მოგრანზი (იური სოლოდოვნიჩენკოს დაუზავდა) და სერბი გოიკო ლაკეტიჩი (ვლადიმირ პეტკოვს მოუგო). 9 მოჭადრაკემ 4-4 ქულას მოუყარა თავი. ცალუღელაშვილი 3,5 ქულით ოცდამესამეა.

მე-7 ტურში ცალუღელაშვილი შავი ფიგურებით იგორ ეფიმოვს (ჩერნოგორია) დაუპირისპირდება. ლიდერები: დვირნი — ბურმაკინი, მოგრანიზი — ლაკეტიჩი, გოდენოტი — სოლოდოვნიჩენკო, შიშკინი — ლაზიჩი და კასპაროვი-ნაუმკინი ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

## წყვილებშიც გამოეთიშა

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) **ოქსანა კალაშნიკოვა** წყვილებში, სადაც მერვანა იუგიჩ-სალკიჩთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი, ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშა — ნახევარფინალში პოლონელებთან — მაგდა ლინეტესთან და კატარჟინა პიტერთან დამარცხდა — 6:7, 3:6.

**ვაჟა დანელია**

# კალათბურთი

● სუპერლიგა 2012-13. საუკეთესონი

## ფლინი



ოთხშაბათს გამართული მეათე ტური მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა. ქუთათურმა **რიჩარდ მათიაშვილმა** 31 ქულა ჩააგდო და წინა ტურების რეკორდი გაიმეორა, ხოლო მოხსნებში სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა - 19. თუმცა რიჩოს ქულათა მონაგარს რეკორდის ეფექტი აღარ ჰქონდა, რადგან მანამდე ბათუმელმა **ლაშა კეშელავამ** „არმიასთან" 41 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ბოლო შეხვედრაში მათიაშვილზე მეტი **ვახტანგ ქადარიამ** მოხსნა - 20.

წინა აბზაცში ნახსენები სამი კალათბურთელი ულაპარაკოდ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. დაგვრჩა ორი უკანახაზელის ადგილი. ხუთეულს იმსახურებდა **დავით ბარბაქაძეც**, რომელმაც თსუ-სთან 20 ქულა ჩააგდო, 11 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი აუცდა: 6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო. თუმცა სიმბოლურში დათო ვერც მსროლელის პოზიციაზე გავამწესეთ, რადგან ეს ადგილი ტურის საუკეთესო კალათბურთელმა **ფლინ კლიმენმა** დაიკავა. ბარბაქაძის ხუთეულში ვერმოხვედრა იმაზე მეტყველებს, რომ მეტად გამორჩეული ტური იყო.

კლიმენმა „შსს აკადემიასთან" 27 ქულა ჩააგდო (5 სამიანი), ბოლო წუთებზე **ბექა ჩიკვილაძესთან** ერთად „დინამოს" მნიშვნელოვანი ქულები, საბოლოოდ კი გამარჯვება მოუტანა. ბექა კი სიმბოლურში პირველ ნომრად დავაყენოთ და გამთამაშებლობა გავახსენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| არმია-ბათუმი | 93:76 |
| სამედიცინო-სოხუმი | 7[illegible]:85 |
| დინამო-შსს აკადემია | 83:78 |
| სტუ-ოლიმპი | 75:96 |
| თსუ-ქუთაისი | 69:83 |

### რეკორდები

**ქულა**

41 - ლაშა კეშელავა (ბათუმი)
2-ქულ 5/11; 3-ქულ 10/15; საჯ 1/1
19.12.12 არმია-ბათუმი

**მოხსნა**

20 - ვახტანგ ქადარია (სოხუმი)
(მეტოქ: 7; საკუთ: 13)
19.12.12 სამედიცინო-სოხუმი

**დაჭერება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედ.)
15.12.12 სამედიცინო-სტუ

**ჩაჭრა**

7 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
17.11.12 სტუ-შსს აკადემია

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 9 | 205 | 22.78 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 9 | 182 | 20.22 |
| 3 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 8 | 161 | 20.13 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 9 | 175 | 19.44 |
| 5 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 9 | 153 | 17 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 8 | 135 | 16.88 |
| 7 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 9 | 144 | 16 |
| 8 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 9 | 143 | 15.89 |
| 9 | გივი ბაძრაძე | თსუ | 10 | 153 | 15.3 |
| 10 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 9 | 137 | 15.22 |
| 11 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 9 | 136 | 15.11 |
| 12 | გიორგი რევაზაშვილი | სამედიცინო | 9 | 135 | 15 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 9 | 44 | 72 | 116 | 12.89 |
| 2 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 9 | 32 | 81 | 113 | 12.56 |
| 3 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 8 | 38 | 61 | 99 | 12.38 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 9 | 18 | 87 | 105 | 11.67 |
| 5 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 9 | 20 | 74 | 94 | 10.44 |
| 6 | გიორგი რევაზაშვილი | სამედიცინო | 9 | 28 | 49 | 77 | 8.56 |
| 7 | სერჟი ასელაინი | თსუ | 9 | 18 | 59 | 77 | 8.56 |
| 8 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 9 | 18 | 50 | 68 | 7.56 |
| 9 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 9 | 22 | 45 | 67 | 7.44 |
| 10 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 9 | 21 | 43 | 64 | 7.11 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 8 | 62 | 7.75 |
| 2 | სტენ სოკი | ოლიმპი | 9 | 61 | 6.78 |
| 3 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 8 | 51 | 6.38 |
| 4 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 9 | 54 | 6 |
| 5 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 9 | 51 | 5.67 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 8 | 41 | 5.13 |
| 7 | იოსებ ლეჟავა | დინამო | 6 | 28 | 4.67 |
| 8 | გივი ბაძრაძე | თსუ | 10 | 44 | 4.4 |
| 9 | ნეით ბოუი | რუსთავი | 9 | 34 | 3.78 |
| 10 | კურტის მილიჯი | არმია | 8 | 30 | 3.75 |
| 11 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 9 | 32 | 3.56 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 8 | 24 | 3 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 9 | 24 | 2.67 |
| 3 | კურტის მილიჯი | არმია | 8 | 19 | 2.38 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 9 | 20 | 2.22 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 7 | 15 | 2.14 |
| 6 | მიხეილ ჭოჭუა | რუსთავი | 8 | 16 | 2 |
| 7 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 9 | 17 | 1.89 |
| 8 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 8 | 14 | 1.75 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 9 | 15 | 1.67 |
| 10 | ირაკლი ბაბისონია | სამედიცინო | 9 | 15 | 1.67 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 9 | 15 | 1.67 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 9 | 13 | 1.44 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 9 | 11 | 1.22 |
| 4 | იოაკიმ შელბომი | არმია | 9 | 10 | 1.11 |

### შეცდომა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 9 | 39 | 4.33 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 9 | 33 | 3.67 |
| 3 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 9 | 32 | 3.56 |
| 4 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 9 | 32 | 3.56 |
| 5 | გივი ბაძრაძე | თსუ | 10 | 34 | 3.4 |
| 6 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 10 | 34 | 3.4 |
| 7 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 9 | 30 | 3.33 |
| 8 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 9 | 28 | 3.11 |
| 9 | რატი ბაააკაშვილი | სოხუმი | 8 | 24 | 3 |
| 10 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 9 | 27 | 3 |

*შენიშვნა: კალათბურთელი, რომელსაც მატჩების ნახევარი მაინც არა აქვს ჩატარებული, სტატისტიკურ ლიდერებში ვერ ხვდება.*




● საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**18 დეკემბერი**

**პიუნდაი-დინამო 76:82**

17:24, 21:26, 18:19, 20:13

ჰიუნდაი: სანაძე (5ქ, 7მ, 6პ), ტომარაძე (16ქ, 3პ), ლომიძე (9ქ), ზაქრაძე (9ქ, 3პ), გიორგაძე (22ქ, 6მ, 4პ), სალაყაია (6მ), ბუთხუზი (15ქ, 10მ).

დინამო: ლილუაშვილი (14ქ, 7პ, 4ჩ), ჩოჩია (10ქ), მესხი (4ქ, 6მ, 6პ), ორმოცაძე (12ქ, 11მ), დოლიძე (6ქ, 5მ), გელაზონია (16ქ, 11მ), ლუდუშაური (20ქ), ელისაბედაშვილი.

**სოხუმი-ოლიმპი 75:61**

20:16, 15:11, 19:14, 21:20

სოხუმი: მეგენეიშვილი (3ქ, 6პ), გაფრინდაშვილი (11ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), ტყაბლაძე, გოლეთიანი (5ქ), მეგრელიძე, კვანტალიანი (26ქ, 15მ), მუიჟნიექსი (2ქ, 4პ), ბულიავა (28ქ, 9მ).

ოლიმპი: ნადირაძე (13ქ, 9მ), გოგოძე (11ქ, 6მ), იაკობიძე (2ქ), ცირეკიძე (3ქ, 10მ), აბულაძე (12ქ), ფხაკაძე (8ქ, 11მ, 5პ), ლობჟანიძე (5ქ, 7მ), მიქელაძე (7ქ, 3პ, 3ჩ).

**21 დეკემბერი**

**რუსთავი-შსს აკადემია 60:77**

23:18, 17:22, 8:19, 12:18

რუსთავი: ჩიჩუა (2ქ), ლორთქიფანიძე (7ქ), ქიტოშვილი (4ქ, 5მ, 5პ), ოქროჭელიძე (2ქ), არაბული (8ქ, 10მ, 3პ), დვალი (12ქ), ურიდია (3ქ, 5მ), ნარჩომაშვილი (3ქ, 5მ), რეხვიაშვილი, გაგნიძე (15ქ, 7მ), ხატიაშვილი (4ქ).

შსს აკადემია: მეგრელიძე (5ქ), როგავა (27ქ, 8მ, 8პ), გორდულაძე (13ქ, 3პ), ლოლიშვილი (13ქ, 10მ), ხეთაგური (3ქ), როგავა, კენჭიაშვილი (2ქ), პულუზაშვილი (10ქ, 10მ, 3დ), არუთინოვი (4ქ), გუგეშაშვილი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 9 | 7 | 2 | 596/543 | 16 |
| 2. ოლიმპი | 9 | 7 | 2 | 647/529 | 16 |
| 3. სოხუმი | 9 | 6 | 3 | 638/614 | 15 |
| 4. დინამო | 9 | 3 | 6 | 614/663 | 12 |
| 5. რუსთავი | 9 | 2 | 7 | 656/709 | 11 |
| 6. ჰიუნდაი | 9 | 2 | 7 | 624/717 | 11 |

● ქართველი უკრაინაში

## ათიანში

უკრაინის ჩემპიონატში შედგა მატჩი პირველ და ბოლოადგილოსნებს შორის. ლიდერმა „ბუდიველნიკმა", რომელშიც **გიორგი ცინცაძე** თამაშობს, აუტსაიდერი „კიევი" 88:69 დაამარცხა.

მართალია, „მშენებლებმა" თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ ვინც შეხვედრა პირდაპირ ეთერში იხილა, დაგვეთანხმება, რომ მიუხედავად აუტსაიდერის სტატუსისა, „კიევი" იოლად დასაძლევი გუნდი ნამდვილად არ იყო. მის რიგებში სამი ლეგიონერია, ორი ამერიკელი და ერთი ბრიტანელი. ასე რომ, თუნდაც ამ მატჩის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინელებს ურიგო ჩემპიონატი არ აქვთ.

„ბუდიველნიკის" ქართველი გამთამაშებელი ცინცაძე ძველ კონდიციებს ილიდგენს და მნიშვნელოვან მომენტებში მწვრთნელი სწორედ მასზე აკეთებს აქცენტს. მხოლოდ ბურთის სროლას არ ვგულისხმობთ - ცინცაძეს თამაშის სწორად წარმართვა ევალება.

„კიევთან" მატჩში იგი აკურატულობით გამოირჩა: 22 წუთში 1-დან 1 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. 10 ქულის გარდა მის ანგარიშზე 2-2 მოხსნა-პასი-ჩაჭრა იყო. საინტერესოა, რომ პირველი რეალიზებული სამქულიანით ცინცაძემ ტაბლოზე 39:19 დააფიქსირა, ხოლო მეორე შორეული ტყორცნის შემდეგ - 59:39. „ბუდიველნიკის" ბომბარდირი 18 ქულით **ლეო ლაიონსი** გახდა.

ცინცაძის გუნდს სადღეისოდ 22 მატჩიდან 17 აქვს მოგებული და ერთი გამარჯვებით უსწრებს „აზოტს". „მშენებლები" მომდევნო მატჩს „დონეცკთან" სტუმრად, 23 დეკემბერს გამართავენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**


გიორგი ცინცაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# ხუთი პირველში, ხუთი მეორეში

## აუტსაიდერებიც ჩვენები არიან



**ევროთასების ჯგუფური ტურნირის ორი ტურის შემდეგ ქართველ მორაგბეთა გუნდები საფრანგეთის ჩემპიონატსა და „კელტთა ლიგის“ გათამაშებას მიუბრუნდნენ. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში ხუთი მოწინავე პოზიცია „ქართულ გუნდებს“ უკავიათ. ესენია: „ტულონი“, „ტულუზი“, „კლერმონი“, „კასტრი“ და „მონპელიე“.**

პირველადგილოსანი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ სტუმრად ეთამაშება ბოლოსწინა მე-13 ადგილზე მყოფ „აჟენს“. ტულონელებმა ევროთასებზე შესანიშნავად იასპარეზეს. მათ შინ ინგლისური „სეილ შარქსი“ გაანადგურეს - 62:0, რითაც დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი გამოწვევის მიღება შეუძლიათ და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის მეტოქე, ფრანგული კლუბი თუ უცხოური.

„ტულონს“ ინგლისელებთან დაპირისპირებაში დაშავებული სამხრეთაფრიკელი მეორეხაზელი **ბაკის ბოთა** დააკლდება. ამასთან ერთად, ჩემპიონატის ლიდერს, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ აჟენში ბოლო სამი სტუმრობის შემდეგ შინ სამივეჯერ ხელმოცარული დაბრუნდა.

ქუბრიაშვილი გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაშია, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან.

**ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“, რომელიც საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონია, სტუმრად ეთამაშება დივიზიონის დებიუტანტ „გრენობლს“. „ალპელები“ ყველასთვის მოულოდნელად ბრწყინვალედ ასპარეზობენ და ამჟამად საპლეიოფო ექვსეულში არიან.

ტულუზელთა თავკაცი **გი ნოვე** მასპინძლებს უფრთხის, მით უფრო, „ჰაინეკენის თასზე“ „ოსფრიზთან“ უფერული თამაშის შედეგად წაგების ფონზე. ყოველდღიურ სარაგბო გაზეთ „მიდი ოლიმპიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭმა **ჯაბა ბრეგვაძემ** ტრავმა მოიშუშა, ვარჯიში დაიწყო და სათამაშოდ ექვს კვირაში იქნება მზად. ეს ორმაგად სასიხარულოა, რადგან „ბორჯღალოსნებს“ ერთა თასის გათამაშების პირველ თამაშამდე სწორედ ექვსი კვირა აშორებთ.

ამასობაში უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა „ტულუზის“ პრეზიდენტ **რენე ბუსკატელსა** და „ტულონის“ მულტიმილიონერ მეპატრონე **მურად ბურჯელალს** შორის. კონფლიქტის ინიციატორი ვინ იქნებოდა, თუ არა ბურჯელალი, რომელმაც ტულუზელთა მისამართით თავს უფლება მისცა, არაკორექტულად ელაპარაკა. ცხადია, ბუსკატელმა ამაზე კორექტულად უპასუხა, რაზეც მურადის „კონტრიერიშმაც“ არ დააყოვნა. ყველაფერი ნათელია, „ტულონის“ ყველაზე რეალური კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მხოლოდ „ტულუზია“ და „თავნება“ მილიონერიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავს.

სავარაუდოდ, „ტულუზის“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი ვასილ კაკოვინი.

„ტულუზს“ ორი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“, რომელიც მე-13 ტურში სტუმრად ეთამაშება ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოს“. „ვულკანების“ ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** საამმატჩოდ თითქმის მეორე შემადგენლობა დააყენა.

დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა და სათადარიგოთა შორისაა კოლელიშვილი, ზირაქაშვილს კი კოტერმა ამჯერად დასვენების საშუალება მისცა.

„ვულკანებს“ სამი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელიც შინ ეთამაშება პარიზულ „მეტრო რასინგს“. კასტელებმა „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში დიდი გაჭირვებით მოუგეს შოტლანდიურ „გლაზგოს“ - 9:6. ასეთი დაბალი შედეგიანობა ამ გუნდისთვის უჩვეულოა. სამაგიეროდ პარიზელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ასევე შოტლანდიურ „ედინბურგთან“. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კასტრი“ სახლის გუნდადაა შერაცხილი და საკუთარ მოედანზე თითქმის დაუმარცხებელია.

მოწინავე სამეულში შესვლის კარგი შანსი აქვს **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“, რომელიც „კასტრს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ეთამაშება „პერპინიანს“. ორივე გუნდმა ევროთასებზე წარმატებით იასპარეზა და ერთმანეთთან საბრძოლველად შესანიშნავი განწყობა შეიქმნეს.

თუმცა ამ მატჩს მაინც პრობლემებით ხვდება „მონპელიე“. გორგოძეს 20-დღიანი დისკვალიფიკაცია აქვს და არ ითამაშებს, ჟღენტი ტრავმირებულია, ნარიაშვილი, სავარაუდოდ, სათადარიგოთა შორის იქნება.

ჯერჯერობით სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშია **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“. ამ უძველესმა ფრანგულმა კლუბმა კრიზისს თავი ვერაფრით დააღწია. პარიზელები მე-13 ტურში შინ ეთამაშებიან ბასკურ „ბიარიცს“ და გამარჯვების შემთხვევაში საგრძნობლად გაიუმჯობესებენ მდგომარეობას.

**თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი“, რომელიც გათამაშების დებიუტანტია, სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება. ჩვენებურის გუნდს 6 ქულა აქვს და ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „აჟენს“ ათი ქულით ჩამორჩება. მარსანელებმა „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ ბოლო ორ თამაშში ორივე მოიგეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ გუნდმა თამაშის საკუთარ ხელწერას მიაგნო და მომავალში თავს ადვილად არავის „გაალახვინებს“.

„მონ დე მარსანი“ მე-13 ტურში სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბაიონს“, რომელიც ასევე დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის და შინ მხოლოდ გამარჯვებისთვის გაირჯება. მჭედლიძე განაცხადში არ არის.

### I დივიზიონი

#### XIII ტური

**ბორდო-კლერმონი, გრენობლი-ტულუზა, კასტრი-მეტრო რასინგი, პერპინიანი-მონპელიე, სტად ფრანსე-ბიარიცი, ბაიონი-მონ დე მარსანი, აჟენი-ტულონი.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 47 ქულა, 2. ტულუზი - 42, 3. კლერმონი - 40, 4. კასტრი - 37, 5. მონპელიე - 36, 6. გრენობლი - 30, 7. ბიარიცი - 28, 8. პერპინიანი - 26, 9. მეტრო რასინგი - 25, 10. სტად ფრანსე - 24, 11. ბაიონი - 21, 12. ბორდო - 17, 13. აჟენი - 16, 14. მონ დე მარსანი - 6.**

ელიტური, მეორე დივიზიონის გათამაშებაში მე-16 ტურის წინ საპლეიოფო ხუთეულში მოსახვედრად ერთბაშად ისევ ხუთი გუნდი იბრძვის. საუკეთესო მაჩვენებელი „ქართულ გუნდებს“ შორის **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასიეშვილის** „ორიაკს“ აქვს, რომელიც 45 ქულით მესამე ადგილზეა. ორიაკელები შინ ეთამაშებიან ერთ-ერთ აუტსაიდერს, **ტარიელ რატიანიძის** „დაქსს“, რომელიც 24 ქულით მე-13 ადგილზეა.

„ორიაკს“ ორი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გოდერძი შველიძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი“, რომლის მეტოქეც, 17 ქულით, ბოლოსწინა ადგილზე მყოფი **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ იქნება. ბრიველებს გამარჯვების კარგი შანსი აქვთ და გამორიცხული არ არის, მეხუთედან მეორე ადგილზე გადასკუპდნენ.

„ბრივს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეექვსე ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“. ჩვენებურთა ეს გუნდი შინ ეთამაშება ერთ-ერთ ფავორიტს, **გურამ კავთიძის** „ლიონს“, რომელსაც „ტარბზე“ ერთი ქულით ნაკლები აქვს და მე-7 ადგილზეა.



საპლეიოფო ხუთეულში მოხვედრის შანსი აქვს **სანდრო თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვხტანგ ახობაძის, გიორგი კობერიძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბის“, რომელიც 37 ქულით მე-9 ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდის ბანაკიდან ცუდი ამბებია. გუშინ დილით ალბელთა თავკაცს **ანრი ბორნკანს** მსუბუქი ინსულტი ჰქონდა და ის ქალაქის მუნიციპალიტეტის კლინიკაშია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ ანრი ბრონკანი 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების კონსულტანტი იყო. „ალბი“ მე-16 ტურში სტუმრად ეთამაშება „კოლომიეს“.

ისევე როგორც პირველ დივიზიონში, აქაც სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე „ქართული გუნდია“. **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასიმ“ დღემდე 16 ქულის დაგროვება შეძლო. პარიზელები სტუმრად ეთამაშებიან უშუალო კონკურენტ „ექსს“. გამარჯვების შემთხვევაში მასელები წინ ორი საფეხურით წაიწევენ.

გათამაშებას კი 61 ქულით ლიდერობს „ოიონაქსი“, რომელიც უახლოეს მდევარ „ლა როშელს“ 15 ქულით უსწრებს.

### II დივიზიონი

#### XVI ტური

**ოიონაქსი-ლა როშელი, ექსი-მასი, პო-ნარბონი, კოლომიე-ალბი, ორიაკი-დაქსი, კარკასონი-ოში, ტარბი-ლიონი, ბრივი-ბეზიე.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ოიონაქსი - 61 ქულა, 2. ლა როშელი - 46, 3. ორიაკი - 45, 4. პო - 44, 5. ბრივი - 43, 6. ტარბი - 42, 7. ლიონი - 41, 8. კარკასონი - 40, 9. ალბი - 37, 10. ნარბონი - 30, 11. კოლომიე - 29, 12. ოში - 29, 13. დაქსი - 24, 14. ექსი - 20, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 16.**

■ ■ ■

„კელტთა ლიგაში“ მე-11 ტურის წინ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი“ 21 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფება. ედინბურგელები სტუმრად ეთამაშებიან „გლაზგოს“, რომელიც ჩვენებურის გუნდს შვიდი ქულით უსწრებს და მეხუთე ადგილზეა. ბასილაია „ედინბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **მაიკლ ბრედლიმ** სათადარიგო გუნდში გაამწესა.

გათამაშებას 43 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს ირლანდიური „ალსტერი“, რომელიც უახლოეს მდევარ უელსურ „ჰლანეჰლის“ ცხრა ქულით უსწრებს.



### კელტთა ლიგა

#### XI ტური

**ალსტერი-ლენსტერი, გლაზგო-ედინბურგი, ნიუპორტი-ოსფრიზი, ჰლანეჰლი-კარდიფი, ზებრე-ბენეტონი, ქონოთი-მანსტერი.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ალსტერი - 43 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 34, 3. ლენსტერი - 31, 4. მანსტერი - 29, 5. გლაზგო - 28, 6. ოსფრიზი - 27, 7. ედინბურგი - 21, 8. ბენეტონი - 19, 9. კარდიფი - 19, 10. ქონოთი - 15, 11. ნიუპორტი - 13, 12. ზებრე - 4.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

მძლეოსნობა

# ოლიმპიადიდან პროსტიტუციამდე



სიუზი ჰემილტონი

სამი ოლიმპიადის მონაწილემ, ამერიკელმა მორბენალმა **სიუზი ფეივორ ჰემილტონმა** აღიარა, რომ 2011 წლის დეკემბრიდან მოყოლებული მაღალანაზღაურებად მეძავად მუშაობდა. 44 წლის ჰემილტონი ლას-ვეგასში ესკორტ-მომსახურებაში მუშაობდა, გარდა ამისა, იმავე საქმით იყო დაკავებული სხვა ქალაქებში, მათ შორის, ლოს ანჯელესში, ჩიკაგოსა და ჰიუსტონში.

ჰემილტონმა განაცხადა, რომ სრულად აგებს პასუხს თავის საქციელზე. *„მე არ ვარ მსხვერპლი"*, - აღიარა სპორტსმენმა. მან ესკორტ-მომსახურებაში მუშაობას „დიდი შეცდომა" უწოდა, მაგრამ სამუშაო „აზარტული" იყო. ჰემილტონის თქმით, მისმა მეუღლემ იცოდა მისი საქმიანობის შესახებ და სთხოვდა, თავი დაენებებინა პროსტიტუციისთვის.

ჰემილტონი მუშაობდა ესკორტ-მომსახურებაში, სახელწოდებით „კელი". თავისი მომსახურებისთვის ის საათში 600 დოლარს იღებდა. როგორც ამერიკულ პრესაში წერენ, ჰემილტონი ფულის გამო არ მუშაობდა მეძავად, რადგან მას და მის მეუღლეს წარმატებული ბიზნესი აქვთ და ფულის ნაკლებობას არ უჩივიან. თავიდან ის იმ მცირე ხნით აპირებდა პროსტიტუციაში დარჩენას, მაგრამ მოეწონა და გააგრძელა კლიენტების მომსახურება.

ჰემილტონი 1500 მეტრზე სირბილში გამოდიოდა. ის მონაწილეობდა 1992, 1996 და 2000 წლების ოლიმპიადებში. 2000 წელს, სიდნეის თამაშებზე ფინალური გარბენის დროს, ჰემილტონი მიხვდა, რომ პირველი ვერ მივიდოდა ფინიშთან და 200 მეტრით ადრე შეგნებულად დაეცა ბილიკზე. 2005 წელს, ქალიშვილის დაბადების შემდეგ, მძლეოსანს დეპრესია ჰქონდა.

# დისკვალიფიცირებული ჩემპიონი

50 კილომეტრზე სიარულში პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი **ალექს შვაცერი** ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სინჯმა, რომელიც აპენინელს 30 ივნისს ჩამოართვეს, დადებითი შედეგი აჩვენა ერითროპოეტინზე. მის სახელთან დაკავშირებული სკანდალის გამო შვაცერმა უარი თქვა ლონდონის თამაშებში ტიტულის დაცვაზე.

ტესტი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ გერმანიაში საწვრთნელი შეკრების დროს ჩაატარა. დადებითი სინჯის გარდა, ასევე აღმოჩნდა, რომ სპორტსმენის ბიოლოგიურ პასპორტში მაღალი იყო სისხლის აბნორმალური დონე. გარდა ამისა, შვაცერმა ანტისადოპინგო სააგენტოს კოდექსის სხვა წესებიც დაარღვია, რადგან იძენდა და ინახავდა აკრძალულ პრეპარატებს.

იტალიელმა უკვე აღიარა დანაშაული და კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. *„სპორტიდან მივდივარ. შეცდომა დავუშვი. ლონდონის ოლიმპიადაზე კარგად გამოსვლა მინდოდა. მომხდარზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. მე ეს თავად გავაკეთე, ეს ჩემი იდეა იყო"*, - ამბობს შვაცერი.

■ ■ ■

როგორც ირკვევა, ქალებს შორის ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი **ელენა ისინბაევა** ზამთრის სეზონს გამოტოვებს.

ლეგენდარულმა სპორტსმენმა ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რათა უკეთ მოემზადოს მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც მოსკოვში 10-18 აგვისტოს ჩატარდება.

ჩოგბურთი

# ავსტრალია ზვონარევას გარეშე


ვერა ზვონარევა

მოახლოებულმა ავსტრალიის ღია პირველობამ სერიოზული დანაკლისი განიცადა - 2013 წლის სეზონში „დიდი სლემის" რიგით პირველ ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს რუსი **ვერა ზვონარევა**. მსოფლიოს ყოფილმა მეორე ნომერმა მიზეზად მხარის ტრავმა დაასახელა. რუსი ასევე გამოტოვებს საჩოგბურთო ტურნირს ახალი ზელანდიის დედაქალაქ ოკლენდში.

ამჟამად, 28 წლის ზვონარევას 96-ე ადგილი უჭირავს WTA-ის კლასიფიკაციაში. ის აქტიურ სპორტს თებერვლამდე ან მარტამდე ვერ დაუბრუნდება.

2013 წლის ავსტრალიის ღია პირველობა სტარტს 14 იანვარს აიღებს.

■ ■ ■

არგენტინული ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ჯერ ვერ გადაწყვიტა - ითამაშებს თუ არა 2013 წლის 1-3 თებერვალს დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელშიც არგენტინა ბუენოს აირესში გერმანიას მიიღებს.

*„მე შესანიშნავი ურთიერთობები მაქვს პარტნიორებთან, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა გერმანიის წინააღმდეგ. უახლოეს ხანში შევხვდები არგენტინის ნაკრების კაპიტანს და მაშინ გავაკეთებ არჩევანს"*, - ამბობს დელ პოტრო.

შეგახსენებთ, რომ უკვე დაადასტურეს გერმანიის წინააღმდეგ თამაში **დავიდ ნალბანდიანმა** და **ხუან მონაკომ**. უფრო მეტიც, ნალბანდიანმა დევისის თასის მერვედფინალისთვის უკეთ მოსამზადებლად ავსტრალიის ღიას გამოტოვება გადაწყვიტა.

■ ■ ■

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ხელშეკრულება გააფორმა სპორტული მარკეტინგის სფეროში წამყვან კომპანიასთან - სააგენტო IMG-თან.

ალვნიშნავთ, რომ 25 წლის სერბი ჩოგბურთელის გარდა, IMG მართავს ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და რუსი **მარია შარაპოვას** საქმეებს.

აგრეთვე შეგახსენებთ, რომ ადრე ჯოკოვიჩმა კონტრაქტი გაწყვიტა CAA Sports-თან, თავის მხრივ, IMG-მ შეწყვიტა ურთიერთობა შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან**.

კრივი

# მომხიბვლელი ჰოლივუდი

სუპერმძიმე წონაში უკრაინელმა ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** მონაწილეობა მიიღო ჰოლივუდის ფილმში - Pain&Gain, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ **მარკ უოლბერგი** და **დუეინ ჯონსონი**.

ფილმის რეჟისორია **მაიკლ ბეი**, უფროსმა კლიჩკომ კი ეპიზოდური როლი შეასრულა. მოკრივის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავარი საქმიანობა კრივია, ის ყოველთვის ხვდებოდა, რომ ხელოვანი პიროვნებაა. ალვნიშნავთ, რომ ვლადიმერ კლიჩკოსთვის ეს არ არის დებიუტი კინემატოგრაფში, მაგალითად, მას მონაწილეობა აქვს მიღებული ფილმში - „ოუშენის 11 მეგობარი".

■ ■ ■

ჰოლივუდის თემა ასევე აქტუალური ყოფილა ბრიტანელი **დევიდ ჰეისთვის**. სპორტიდან წასვლის შემდეგ მოკრივე სამსახიობო კარიერის დაწყებას აპირებს. ამისთვის ის სპეციალური კურსების გავლას გეგმავს.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ მინდა, უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში სოლიდური რეპუტაციის მსახიობი გავხდე. ყოველთვის უნდა გქონდეს მოქმედების გეგმა. 2013 წლის დასაწყისში ვაპირებ სამსახიობო კურსებზე შესვლას. ამ საქმეში მთელი ჩემი გული და მონდომება უნდა ჩავდო, რათა საუკეთესო მსახიობი გავხდე. კრივში ვერ გახდები ჩემპიონი ვარჯიშის გარეშე. ასევეა კინოში".

ასე რომ, ჰეის სურს მაგალითი აიღოს ბოდიბილდერ **არნოლდ შვარცენეგერისგან**, მებრძოლ **დუეინ ჯონსონისგან** და წყალში მხტომელ **ჯეისონ სტეტჰემისგან**. *„ჯონსონმა ეს შეძლო. სტეტჰემიც კი მსახიობი გახდა წყალში ხტომების შემდეგ. ორივენი შესანიშნავი მსახიობები დადგნენ. განსაკუთრებით ჯონსონი"*, - ამბობს ბრიტანელი.


დევიდ ჰეი (მარჯვნივ)

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი



მიკაელა შიფრინი

# ახალი ვარსკვლავის დაბადება

შვედეთის კურორტ არეში დასრულდა მსოფლიოს თასის ორდღიანი ეტაპი. გიგანტური სლალომის შემდეგ, პირველობა სპეციალურ სლალომში ჩატარდა და იქ საბოლოოდ ვიხილეთ ახალი ვარსკვლავის დაბადება.

ეს გახლავთ 17 წლის **მიკაელა შიფრინი**, რომელსაც ამერიკული სათხილამურო სპორტის მომავალ ლიდერს უწოდებენ. თინეიჯერს აქამდე მსოფლიოს თასის ეტაპებზე ორი პოდიუმი ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ პირველი ადგილი არასოდეს დაუკავებია.

გუშინ მან და შვედმა **ფრიდა ჰანსდოტერმა** შესანიშნავი დუელი გამართეს და მათგან ერთ-ერთს უნდა მოეპოვებინა კარიერაში პირველი გამარჯვება. ამ დუეტთან ბრძოლა სცადა მსოფლიოს თასის ლიდერმა **ტინა მაზემ**, მაგრამ მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა ორი ცდის ჯამში.

რაც შეეხება შიფრინისა და ჰანსდოტერის დაპირისპირებას, პირველი ცდა მასპინძელმა მოთხილამურემ მოიგო, მაგრამ მეორე დაშვებისას შიფრინმა აბსოლუტურად საუკეთესო დრო დააფიქსირა. ჰანსდოტერი ბოლო გამომსვლელი იყო, მან იცოდა ამერიკელის საბოლოო შედეგი, პირველ ორ საშუალედო ფინიშზე ლიდერობას ინარჩუნებდა, მაგრამ ტრასის ბოლო მონაკვეთი სწრაფად ვერ გაიარა და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

17 წლისა და 9 თვის შიფრინი ყველაზე ახალგაზრდა ქალი მოთხილამურეა, რომელმაც 2008 წლის შემდეგ მსოფლიოს თასის ეტაპზე გაიმარჯვა. მანამდე ასევე 17 წლის ასაკში მიაღწია ასეთივე წარმატებას შვეიცარიელმა **ლარა გუტმა**, რომელმაც მაშინ სუპერგიგანტი მოიგო.

რაც მთავარია, შიფრინი სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს თასზე სპეციალური სლალომის ჩათვლას. მის ანგარიშზეა 196 ქულა, რაც 22-ით მეტია მეორე ადგილზე მყოფი გერმანელის **მარია რიშის** შედეგზე. რიში გუშინდელ ეტაპზე მხოლოდ მე-11 ადგილზე გავიდა.

გერმანელი ასევე მეორე ადგილზეა გენერალურ კლასიფიკაციაში, თუმცა მისი ჩამორჩენა ლიდერ ტინა მაზესთან კიდევ უფრო გაიზარდა. სლოვენიელის უპირატესობამ თითქმის 400 ქულას მიაღწია და დამაჯერებელი ნაბიჯებით მიიწევს მსოფლიოს თასის პირველი ტიტულისკენ.

**სლალომი**

1. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 1:45.36 (54.03+51.33); 2. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედეთი) - 1:45.65 (53.88+51.77); 3. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:45.88 (54.17+51.71); 4. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედეთი) - 1:46.57 (54.12+52.45); 5. **ერინ მილზინსკი** (კანადა) - 1:46.71 (54.35+52.36); 6. ნატალი ეკლუნდი (შვედეთი) - 1:46.75 (54.99+51.76)...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 919 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 532; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 466; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 414; 5. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 350; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 346...

ჰოკეი

# ნახევარზე მეტი გაუქმდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ლოკაუტის გაგრძელების შესახებ. ამან გამოიწვია რეგულარული ჩემპიონატის მატჩების გაუქმება 2013 წლის 14 იანვარის ჩათვლით. ამ გადაწყვეტილების შემდეგ 2012-13 წლების სეზონში გაუქმებული მატჩების რიცხვმა 625-ს მიაღწია, რაც რეგულარული ჩემპიონატის ნახევარზე მეტია.

NHL-ის ვიცე-კომისარმა **ბილ დეილიმ** მოკრძალებული ოპტიმიზმი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა 2012-13 წლების სეზონში შემოკლებული რეგულარული ჩემპიონატის ჩატარება. *„გვექნება თუ არა სეზონი? გვექნება. ჩვეულებრივ, ყველაფერს უფრო პოზიტიურად ვუყურებ, ვიდრე სხვა ბევრი ადამიანი, რომლებთანაც ვმუშაობ. არ გვაქვს არანაირი მიზეზი, რომ ჰოკეი არ ვითამაშოთ. თუ სალი გონება გაიმარჯვებს, ჰოკეი ამ სეზონში იქნება"*, - აცხადებს დეილი.

პროფკავშირების ხელმძღვანელი **დონალდ ფერი** მოხარულია ლიგის წარმომადგენლის მხრიდან ასეთი სიტყვებით. *„ეს კარგი ამბავია, მოხარული ვარ ასეთი ფრაზის მოსმენით. რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ დეილი მართალი აღმოჩნდება. ჰოკეის თამაში - სწორედ ეს არის ჰოკეისტების მიზანი, ეს ის არის, რის მიღწევასაც ვცდილობთ. მინდა მჯეროდეს, რომ შევძლებთ მოლაპარაკებების გაგრძელებას და შექმნილი პრობლემების რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებას"*, - აღნიშნავს ფერი. არადა, უახლოეს დღეებში არ არის დაგეგმილი ოფიციალური მოლაპარაკებები.



ამასობაში, არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ლიგისა და პროფკავშირის მორიგი შეხვედრისას შეიძლება განიხილონ NHL-ის მოთამაშეების მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. დაპირისპირებულ მხარეებს ამ თემაზე ჯერ არ ულაპარაკიათ და არ არის გამორიცხული, რომ ამ პუნქტს საერთოდ არ შეიტანენ ლიგასა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის ახალ ხელშეკრულებაში. ცნობილია, რომ NHL განიხილავდა ამ საკითხს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციასთან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნება მიღებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოკლაჰომა მგლებმა გააჩერეს

ფლორიდაში ორი დამარცხების შემდეგ „მინესოტა" შინ დაბრუნდა და შეწყვიტა „ოკლაჰომას" 12-მატჩიანი მოგებათა სერია. „მგლებმა" პირველივე წუთებიდან გამოამჟღავნეს სერიოზული განწყობა. რამდენიც არ ეცადა **უესტბრუკი** და კომპანია, მისთვის სასურველ ტემპში წაეყვანა შეხვედრა, არაფერი გამოუვიდა. **რიკ ადელმანის** გუნდმა ძალიან სტაბილურად ჩაატარა მთელი შეხვედრა და მხოლოდ ცალკეულ მომენტებში უტოვებდა მეტოქეს მოგებათა სერიის გაგრძელების იმედს. თუმცა იყო მატჩში პერიოდი, როცა „თანდერმა" მართლაც მიიღო მოგების შანსი. შარშანდელი ფინალისტი მეოთხე მეოთხედში სამი ქულით მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა მატჩის ნამდვილი გმირი. რომ არა **ხუან ხოსე ბარეა**, სტუმრები შეძლებდნენ საბოლოოდ თამაშში გარდატეხის შეტანას. ბარეამ მარტომ შეძლო 8:0 გაქცევის ორგანიზება, შემდეგ კი საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე სამქულიანიც ჩააგდო და 11-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა. პუერტორიკოელმა ბოლო 12-წუთეულში 12 ქულა მიითვალა.

გარდა ამისა, გუშინ, როგორც იქნა, წაუვიდა თამაში **ლავს**, ისევ გააკეთა სეზონის ხუთ საუკეთესო ახალბედას შორის მოხვედრის განაცხადი **შვედმა**, რომელმაც 12 შედეგიანი პასი მიითვალა. თუმცა ჯერჯერობით არ არის ფორმაში **რიკი რუბიო**, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი ჩააგდო, ოღონდ ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია.

■ ■ ■

დღის ცენტრალური მატჩი იყო 2010-11 წლების სეზონის ფინალის გამეორება, მაგრამ შეხვედრამ ბრძოლის გარეშე ჩაიარა, რადგან „მაიამის" აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა. „დალასს" პირველივე მეოთხედიდან გაუჭირდა მეტოქის დაბალანსებული თამაშის წინააღმდეგ - „ჰიტი" კარგი იყო როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. მით უმეტეს, რომ **დირკ ნოვიცკის** არყოფნაში „დალასის" დროებითმა ლიდერმა **ო ჯეი მაიომ** სეზონში ერთ-ერთი უარესი შეხვედრა ჩაატარა.



კევინ ლავი

„მაიამიმ" მატჩში 18 შეცდომა დაუშვა, მისმა მეტოქემ მხოლოდ 9, მაგრამ ამან ვერაფრით უშველა **კარლაილის** გუნდს, რომელმაც თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 33 პროცენტი გამოიყენა. „ჰიტი" უკვე მეორე მატჩია, შესანიშნავად თამაშობს პერიმეტრზე დაცვაში და თან ფარქვეშ ბრძოლაში აჯობა ტექსასელებს.

როცა მესამე მეოთხედში სტუმრების უპირატესობა 30 ქულამდე ავიდა, მატჩში უკვე ყველაფერი გარკვეული იყო, მით უმეტეს, რომ „დალასის" შემადგენლობაში ჯერ არ ჩანს ისეთი კალათბურთელი, რომელიც მარტო შეძლებს ამხელა ჩამორჩენის გაბათილებას. „მავერიქსში" მოუთმენლად ელიან ნოვიცკის დაბრუნებას, რომელმაც „კოვბოების" რიგები დეკემბრის ბოლოს უნდა შეავსოს, „მაიამიმ" კი, როგორც ჩანს, სერიოზული ყურადღება მიაქცია დაცვას. უკვე ზედიზედ მეექვსე შეხვედრაა, ფლორიდელები არ უშვებენ 100 ქულაზე მეტს.

■ ■ ■

„პორტლენდმა" ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კალათბურთის მოყვარულებს მალე დაევიწყებინათ მისი ანტირეკორდი. ერთი კვირის წინ, „ბლეიზერსმა" 20 სამქულიანი ააცილა, ამჯერად კი „დენვერმა" განსაკუთრებით „მოინდომა" და 22 შორეული ტყორცნა გააფუჭა. თანაც ვერ ვიტყვით, რომ პორტლენდელები რაიმე განსაკუთრებულ დაცვას თამაშობდნენ, უბრალოდ, მეტოქეს არ მისდიოდა ტყორცნა (ამის დამამტკიცებელია **ანდრე მილერის** გასროლა, რომლისთვისაც ერთი წამი დრო ჰქონდა მოსამზადებლად და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ისროლა, მაგრამ არაზუსტად). სამაგიეროდ, „დენვერს" ყველაფერი წესრიგში ჰქონდა სამწამიანში - ჯამური 93 ქულიდან 74 სწორედ ამ ზონიდან დაგროვა და ამით გაქცევის საშუალება არ მისცა მეტოქეს. მაგრამ მხოლოდ ფარქვეშ კარგი თამაშით რთულია ებრძოლო მეტოქეს, რომელსაც კარგად ჰქონდა დაყენებული შორეული ტყორცნა. „პორტლენდმა" 14 სამქულიანი ჩააგდო, აქედან ხუთი - ბოლო მეოთხედში.

სწორედ დასკვნით 12-წუთეულში **ბატუმმა** და კომპანიამ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. ორივე გუნდმა თამაშიდან 39-ზე ნაკლები პროცენტით ისროლა. „პორტლენდმა" მოიგო ზედიზედ მეოთხე მატჩი და ეს **ლამარკუს ოლდრიჯის** ტრავმისა და **დამიენ ლილარდის** ცუდი თამაშის მიუხედავად. ცალკე უნდა აღვნიშნოთ **ჯეი ჯეი ჰიქსონის** გამოსვლა, რომელიც ბოლო მატჩებში ძალიან კარგად გამოიყურება ფარქვეშ ბრძოლაში. მან თავის ანგარიშზე ზედიზედ მეექვსე ორმაგი დუბლი ჩაიწერა.

**მინესოტა-ოკლაჰომა 99:93**

30:18, 23:26, 23:25, 23:24

**მ:** ლავი (28+11 მოხსნა+7 პასი), პეკოვიჩი (24+10 მოხსნა), ბარეა (18), შვედი (12+7 მოხსნა+12 პასი).

**ო:** დურანტი (33+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (30+11 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), იბაკა (14+9 მოხსნა+5 დაფარება).

**დალასი-მაიამი 95:110**

20:31, 22:27, 19:33, 34:19

**დ:** კრაუდერი (15), ჯეიმსი (12+9 მოხსნა), ჯონსი (12), კოლისონი (11+5 პასი), მერიონი (10+9 მოხსნა), კარტერი (10).

**მ:** ჯეიმსი (24+9 მოხსნა+5 პასი), უეიდი (19+5 მოხსნა+6 პასი), ბოში (17+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატიე (13).

**პორტლენდი-დენვერი 101:93**

25:14, 25:26, 19:21, 32:32

**პ:** ბატუმი (22+6 მოხსნა), მეტიუზი (20), ჰიქსონი (18+18 მოხსნა+3 დაფარება), ბებიტი (14+8 მოხსნა), ლილარდი (12+10 პასი).

**დ:** ბრიუერი (13+9 მოხსნა), ლოუსონი (13+8 პასი), იგუოდალა (13+5 მოხსნა), მილერი (12+9 მოხსნა+7 პასი).

## ამბები

### [illegible] გაცვლას გეგმავს

„[illegible]" ხელმძღვანელობა განიხილავს ფორვარდების - **ჯორდან ჰილისა** და **დევინ ებენქსის**, აგრეთვე მცველების - **დარიუს მორისისა** და **დარიუს ჯონსონ-ოდომის** გაცვლის ვარიანტებს.

სანაცვლოდ კალიფორნიელებს სურთ მიიღონ სათადარიგო გამთამაშებელი ან დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება.

### ორლანდომ დევისი დაკარგა

„ორლანდოს" ფორვარდი **გლენ დევისი** 2-3 კვირას გამოტოვებს მარცხენა მხარის ტრავმის მიზეზით, - წერს ფლორიდული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. შეგახსენებთ, რომ დევისმა დაზიანება „ვაშინგტონთან" მატჩის ბოლო წამებზე მიიღო.

წლევანდელ სეზონში „მეჯიქის" ერთ-ერთი ლიდერი საშუალოდ მატჩში 16.0 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებს.

### მინესოტამ ჰოვარდი გაუშვა

„მინესოტამ" შემადგენლობიდან დაითხოვა ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი**, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო. როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, კალათბურთელმა ფეხი „ნიუ ორლეანთან" მატჩში დაიზიანა, გუშინ კი სამედიცინო შემოწმებამ ჯვარედინი მყესების განწყვეტა დააფიქსირა. ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოთამაშესთან გამოთხოვება შემადგენლობაში ადგილის გასათავისუფლებლად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბლეკპული-ვულვზი | 1:2 |
| დერბი-ჰალი | 1:2 |
| **I ლიგა** | |
| ბერი-შრიუსბერი | 2:2 |
| სუინდონი-ტრანმერი | 5:0 |
| **II ლიგა** | |
| როჩდეილი-ჩელტენემი | 4:1 |
| საუთენდი-ჩესტერფილდი | 3:0 |
| ბარნეტი-ბარტონი | 4:1 |
| **ნაციონალი** | |
| გრიმსბი-რექსჰემი | 1:0 |
| **იტალია** | |
| პესკარა-კატანია | 2:1 |
| კალიარი-იუვენტუსი | 1:3 |
| **სერია C1/B** | |
| პიზა-აველინო | 0:3 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ხეტაფე | 4:2 |
| ატლეტიკო-სელტა | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| რეალი B-ელჩე | 0:1 |
| ალმერია-ალკორკონი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ბრესტი-პსჟ | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-დიჟონი | 1:1 |
| კაენი-შატორუ | 1:0 |
| კლერმონი-ოსერი | 1:2 |
| გინგამი-გფკო აიაჩო | 0:0 |
| ისტრი-ლანსი | 2:2 |
| ლავალი-ჰავრი | 1:2 |
| ნიმი-ნიორი | 3:1 |
| ტური-ანჟერსი | 1:2 |
| **ნაციონალი** | |
| კევილი-პარიზი | 2:2 |
| ამიენი-პარკეფუ | 1:1 |
| კრეტეი-რუანი | 1:0 |
| ფრეჟუსი-ბურჟი | 0:1 |
| ლე პუარი-ბულონი | 2:1 |
| ლუზენაკი-ბასტია | 1:1 |
| ვანი-შერბური | 1:2 |
| მეცი-ორლეანი | 2:4 |
| **ჰოლანდია** | |
| ალკმაარი-ტვენტე | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ფორტუნა | 0:2 |
| კამბური-ვოლენდამი | 2:2 |
| ექსელსიორი-გრააფსხაპი | 1:3 |
| დორდრეხტი-ემენი | 0:0 |
| ჰელმონდი-ტელსტარი | 1:0 |
| მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 3:2 |
| ვეენდამი-სპარტა | 2:1 |
| **ბელგია** | |
| კორტრიიკი-ლოკერენი | 2:3 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. მირენი-მოზერველი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ახისარი-ორდუ | 0:0 |
| ბეშიქთაში-ქაისერი | 3:1 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ებერისტვიტი | 0:0 |
| კარმარტენი-პორტ ტელბოტი | 1:0 |
| ტნს-ქონეჰსი | 5:1 |
| **ავსტრალია** | |
| ვესტერნ სიდნეი-ადელაიდა | 6:1 |
| ბრისბენი-პერტი | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ალბა-ოლდენბურგი | 81:89 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ნანსი | 85:59 |
| პარიზი-პუატიე | 90:65 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-სკა | 2:6 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 2:4 |
| ლოკომოტივი-ავტომობილისტი | 4:1 |
| ტორპედო-მეტალურგი (მ) | 3:5 |
| ატლანტი-ტრაქტორი | 3:4 (ბ) |
| სპარტაკი-იუგრა | 0:1 |
| დონბასი-ბარისი | 2:4 |
| ლევ პოპრადი-ს. იულიაევი | 6:1 |
| სლოვანი-ნეფტიხიმიკი | 1:2 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ვენა | 4:3 (ბ) |
| ვილახი-ინსბრუკი | 4:1 |
| ზალცბურგი-დორნბირნი | 12:3 |
| ზნოიმო-ზაგრები | 2:4 |
| ლინცი-გრაცი | 3:2 (ბ) |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 1:0 |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 2:0 |
| ინგოლშტადტი-ჰანოვერი | 4:2 |
| კიოლნი-აისბარენი | 1:4 |
| შტრაუბინგი-მიუნხენი | 4:5 |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 6:2 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 1:2 (ბ) |
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰვიდოვრე | 5:2 |
| ოლბორგი-სონდერიისკი | 5:4 |
| ჰერნინგი-ელფსბორგი | 4:1 |
| ჰერლევი-როდოვრე | 1:2 (ო) |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-პიესტანი | 3:2 |
| მარტინი-ნიტრა | 3:6 |
| პოპრადი-ჟილინა | 4:3 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 5:1 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 3:9 |
| **ჩეხეთი** | |
| ხომუტოვი-კლადნო | 2:5 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 2:3 |
| ბრნო-ბუდეიოვიცე | 2:3 (ო) |
| სლავია-პარდუბიცე | 5:0 |
| ლიბერეცი-ზლინი | 2:1 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ლანგნაუ | 1:2 |
| კლოტენი-დავოსი | 4:2 |
| ცუგი-ლუგანო | 2:1 |
| ფრიბურგი-სერვეტი | 2:0 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | 7 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 9 | 10 | (წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 10 | (წვიმა) |
| ფოთი | 8 | 9 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 4 | 9 | (წვიმა) |
| გორი | 0 | 7 | (წვიმა) |
| თელავი | -1 | 8 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | -2 | 8 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -3 | 0 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 0 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| მესტია | -5 | -3 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1919 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6548 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6917 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3799 |

## TV პროგრამა

**22 დეკემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ალკმაარი-ტვენტე.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. უიგანი-არსენალი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. მანჩესტერ სიტი-რედინგი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. ლივერპული-ფულემი (LIVE).
23:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბრედა-ეინდჰოვენი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-რასინგი.
17:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ოსპრეი-ტულუზა.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. პანათინაიკოსი-ფენერბახჩე.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. კანტუ-რეალი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
14:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
19:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
21:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. არმია-ოლიმპი (LIVE).

**23 დეკემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბრედა-ეინდჰოვენი.
12:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
15:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. უტრეხტი-აიაქსი (LIVE).
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. სუონსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. ჩელსი-ასტონ ვილა (LIVE).
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. მანჩესტერ სიტი-რედინგი.
23:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ფულემი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-იუტა.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-კლერმონი.
18:15 NBA ACTION.
19:15 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. ბარსელონა-ცსკა.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-იუტა.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ფილადელფია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
13:30 რაგბი. 4 ერი. ახალი ზელანდია - ავსტრალია
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.
22:00 NBA ACTION.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

● კალათბურთი

# მეჯიქ ჯონსონი: ასეთი ლეიკერსი არასოდეს მინახავს

**„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ პრობლემებზე, მაიკ დ'ენტონის უსარგებლო სქემებზე, ფილ ჯექსონთან არშემდგარ მოლაპარაკებებზე ლაპარაკობს კლუბის ლეგენდა მეჯიქ ჯონსონი...**

**- როგორ ფიქრობთ, „ლეიკერსს“ აქვს ამ სეზონში დრო იმისთვის, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალოს?**

- ჯერ ბოლომდე იმედგაცრუებული არ ვარ ამ შემადგენლობით და, რა თქმა უნდა, გუნდს კიდევ ბევრი დრო აქვს. დაახლოებით ასეთ სიტუაციაში ვიყავით 1990 წელს - სეზონი ჩვენი სცენარით არ დაიწყო, მაგრამ ფინალამდე მივაღწიეთ. ახლა, მოთამაშეებმა უბრალოდ თვალებში უნდა ჩახედონ ერთმანეთს და თქვან: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, არ უნდა გავატაროთ ოპონენტი დაცვაში. არ უნდა მივცეთ მეტოქეს იოლად ქულების დაგროვების საშუალება“.

**- უნდა ესაუბროს თუ არა კობი ბრაიანტი მაიკ დ'ენტონის, თუ საქმეები ასევე გაგრძელდება?**

- რა თქმა უნდა. თუ სიტუაცია არ დალაგდება, მათ ორივეს მოუწევს მომხდარზე უფრო ხშირად ერთად მსჯელობა.

**- შეიძლება თუ არა კუპჩაკის ნდობა სეზონის მსვლელობისას შემადგენლობის სავარაუდო გაძლიერების მხრივ?**

- დიახ, უნდა გვჯეროდეს მიტჩის ნიჭის მენეჯერის საქმეში. თუ საჭირო გახდა, ის უბრალოდ უნდა მივიდეს კლუბის მფლობელთან და უთხრას მას, რომ თამაშის გაუმჯობესებისთვის საჭიროა შესაბამისი ტრეიდი.

**- ფიქრობთ, რომ დ'ენტონის სისტემას შეუძლია „ლეიკერსისთვის“ შედეგის მოტანა?**

- მე მაინც მგონია, რომ მას გამოუვა. ასე თუნდაც იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან მიყვარს „ლეიკერსი“ და სხვანაირად ფიქრი არ შემიძლია. მაგრამ მე იმასაც ვგრძნობ, რომ თუ დღევანდელი შემადგენლობის გათვალისწინებით საჭირო კორექტივებს არ შეიტანს თავის სქემებში, პრობლემები გარდაუვალი იქნება.

**- საკმარისად მოინდომა „ლეიკერსმა“ იმისთვის, რომ მთავარ მწვრთნელად ფილ ჯექსონი დაებრუნებინა?**

- თუ კლუბის ადმინისტრაცია თავიდანვე არ აპირებდა მისი კანდიდატურის სერიოზულად განხილვას, მაშინ რა საჭირო იყო ფილისთვის დაბრუნების შეთავაზება? თავიდან ყველა, მათ შორის მეც ავფორიაქდით ამ ახალი ამბის გამო, მაგრამ შემდეგ საქმე სერიოზულ მოლაპარაკებამდე არ მისულა. მომეჩვენა, რომ მისი პირობები ბოლომდე არ მოისმინეს და მოულოდნელად მთავარ მწვრთნელად დ'ენტონი დაასახელეს. საბოლოოდ, მივიღეთ მწვრთნელი, რომელსაც სურს დარბოდეს არამორბენალი გუნდი.

**- თქვენი აზრით, რა განწყობა სუფევს ამჟამად „ლეიკერსში“?**

- ვერ ვხედავ ბედნიერ ადამიანებს გუნდში და აქ საქმე მხოლოდ დამარცხებებში არ არის. ამ შემადგენლობაში უბრალოდ არაა გუნდური სული, არ არსებობს მოგების სურვილი. სად არის თამაშის, თანაგუნდელების, გულშემატკივრების სიყვარული? მათ უნდა მიიღონ სიამოვნება იმისგან, რომ დიადი გუნდის ნაწილს წარმოადგენენ.

**- შეგიძლიათ ეს შემადგენლობა შოუ-თაიმის დროის გუნდს შეადაროთ?**

- სეზონის წინ მათ განაცხადეს, რომ სურთ ლოს ანჯელესში შოუ-თაიმის ეპოქა დააბრუნონ. მაგრამ იმისთვის, რომ კარგად გამოიყურებოდე თავდასხმაში, პირველ რიგში, დაცვაში უნდა იყო მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენს დროში ვიცოდით, რომ თუ ვერ შევძლებდით მეტოქის შეჩერებას, სწრაფ კონტრშეტევაზე ვერ გადავიდოდით. ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო საკუთარ ნახევარზე მძიმე მუშაობა, შეტევა კი ყოველთვის მეორე პლანზე რჩებოდა.

**- რა შეგიძლიათ თქვათ კობი ბრაიანტის თამაშზე?**

- ვფიქრობ, დღეს კობი უარესად თამაშობს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდმა ვერ დაიწყო მოგებები. ამ შემთხვევაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ბრაიანტს ყოველთვის მოგება უნდა, ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც წაგების გამო დეპრესიაში ვარდება. ის თითქოს ცდილობს, მაგრამ შედეგი არ მოდის. ვერ ვხვდები, რატომ დაკარგა მან თავდაჯერება. ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ასეთი შემადგენლობით მოგებათა 50 პროცენტიც სანატრელი გაუხდებოდა. ეს არ არის „ლეიკერსის“ დონე და მას ეს ბრწყინვალედ ესმის.

**- თქვენი აზრით, გამოსადეგია თუ არა ამ გუნდისთვის დ'ენტონის სათამაშო მოდელი?**

- მისი სისტემა არანაირ ვარიანტში არ ერგება ამ შემადგენლობას და თუ ამას მაიკი ვერ მიხვდება, მაშინ ჩვენი შედეგები გაუარესდება. შეხედეთ „ლეიკერსის“ შემადგენლობას - ამ გუნდში, უბრალოდ, არ არიან მორბენალი მოთამაშეები. ნეშის დაბრუნებით საქმეები გამოსწორდება, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ დაცვაში უკეთ ვითამაშებთ. პირველ რიგში, გონება დაცვისკენ უნდა იყოს მიმართული.

**- რას ფიქრობენ სხვა გუნდები „ლეიკერსის“ პრობლემებზე?**

- მე მგონი, ჩვენი სირთულეების გამო, ყველა კონკურენტი ბედნიერია. და არა მარტო კონკურენტები - მთელი ლიგა. ახლა, ყველას შეუძლია ჩვენი დამარცხება. უნდა გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა, მაგრამ ჯერ არა მარტო მისი მოგვარება, არამედ გაცნობიერებაც კი არ შეგვიძლია.

**- დღეს თქვენ იმედგაცრუებული ხართ „ლეიკერსის“ თამაშით?**

- რა თქმა უნდა. როცა გუნდში ასეთი ნიჭიერი მოთამაშეები გყავს, ნებისმიერი სისტემა უნდა აამუშავო. გამოდის, რომ ეს სქემები არც ისე კარგია - მას ვერ მოარგებ ამ კალათბურთლებს. ამასთან დაკავშირებით, სწრაფად არის რაღაც გასაკეთებელი.

**- რას ნიშნავს თქვენთვის „ლეიკერსი“?**

- ძალიან მიყვარს ეს გუნდი და ყოველ წაგებას საკუთარ უბედურებად აღვიქვამ. ახლა, იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ ჩემი საყვარელი გუნდი ვერ ამოდის იმ ორმოდან, რომელიც თავად გათხარა. მაშინებს ის, რომ მოთამაშეების გამომეტყველებით დასკვნას ვერ გამოიტან. „ლეიკერსი“ არასოდეს ყოფილა მსგავს სიტუაციაში.

**გია თვალაბეიშვილი**



მეჯიქ ჯონსონი იმედგაცრუებულია

## საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ქართული ჭიდაობა: საქართველოს ფალავანი
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მონაწილე
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი** (გაგამარუ) სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

მკითხველის სახელი, გვარი ..............................

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53*

*(10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608